ბაღი
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 ივნისი **სამშაბათი** 2014
№ 105 (14 326) ფასი 80 თეთრი

FIFA WORLD CUP Brasil

მუნდიალი დაკრიბლეიზდა
8-9

საამიროები-საქართველო. ამხანაგური მატჩი. 21:00

მარცვალაძეც გამოგვაკლდა

დღეს შვეიცარიაში, საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩში არაბთა გაერთიანებული საამიროების მთავარ გუნდს შეხვდება. მეორე დღეა, „ჯვაროსნები“ ჟენევასთან ახლოს, პატარა ქალაქ მეირინში ემზადებიან.

როგორც იცით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჩვენს ეროვნულ გუნდში არაერთი ცვლილება მოხდა - ზოგი ტრავმამ შეაწუხა, ზოგიც - უვიზობამ...

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ტრავმას ვერც გუშინდელ ვარჯიშზე ავცდით. დღევანდელ სპარინგს, სავარაუდოდ, თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძეც** გამოტოვებს. სამაგიეროდ, ნაკრებს შეუერთდა და უკვე გუნდთან ივარჯიშა პოლონური „იაგელონიას“ მცველმა **გიორგი ფოფხაძემ**.

ამჟამად, **თემურ ქეცბაიას** განკარგულებაში 22 მოთამაშეა, მათ შორის, 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი **გიორგი პაპუნაშვილი**, რომელმაც გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშა.

მატჩი მეირინის „სტად დე არბერზე“ თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება.

მერაბ მამულაშვილი



4

გიორგი ჭანტურია

ჭანტურია უკვე ვერონაშია

და ლუკა ტონისთან ერთად თამაშზე ოცნებობს

Skysports: ხიზანიშვილი ლიდსში ან ბლეიბერნში?

4

ზურაბ ხიზანიშვილი

ყველაფერი მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ შაბათს ლელო WEEK-ის სპეციალურ 80-გვერდიან ნომერში

ПРЕЗЕНТАЦИА

მიხეილ ყაველაშვილი

ეს იდეა დიდ ფეხბურთს დაგვიბრუნებს

გუშინ, რუსთაველის თეატრში დიდი ფუსფუსი იყო. მაგრამ ამჯერად ხალხი ახალი სპექტაკლის საყურებლად არ შეკრებილა: მიხეილ ყაველაშვილმა პროექტი - „ტალანტების ფაბრიკა“ წარადგინა. მართალია, საქართველოს ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს იყო ყაველაშვილის განაცხადი, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში ჩაება. შეხვედრას ესწრებოდნენ საფეხბურთო წრეების წარმომადგენლები - მისი და ადრეული თაობის ფეხბურთელები, მწვრთნელები, კლუბების მაღალი ჩინოსნები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, ოლიმპიური ჩემპიონი რომან რურუა, ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, პარლამენტარი გია ცაგარეიშვილი, კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა, მსახიობები, მომღერლები...

მიხეილ ყაველაშვილი

■ იდეა არ არის, იდეა...

ყაველაშვილი ამბობს, რომ ქართული ფეხბურთის ყველაზე მთავარი პრობლემა იდეის არარსებობაა: *„ამ შეხვედრის რუსთაველის თეატრში გამართვა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემთვის ქართული ფეხბურთი შემოქმედებას უკავშირდება. მაგრამ ახლა ის სანყისს ძალიან დაშორდა. ერთხელ მკითხეს, რა აკლია ქართულ ფეხბურთს ყველაზე მეტადო და ვუპასუხე - იდეა! ჩემთვის ქართული ფეხბურთის იდეის მატარებელი დავით ყიფიანი იყო, სრულყოფილი ფეხბურთელი და პიროვნება. სწორედ ის გვაჩვენებდა ჩვენი ფეხბურთის იდეას - შემოქმედებას. განუწყვეტელი რეგრესი 90-იანი წლებიდან დაიწყო. ამას ციფრებიც ადასტურებს: ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საბავშვო ფეხბურთში შევსების კატასტროფული კლებაა. 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ფეხბურთით 45 ათასი ფეხბურთელი იყო დაკავებული (ბავშვები და ზრდასრული პროფესიონალები), 2012-2013 წლების მონაცემით კი - 11 537. 2002-დან 2012 წლამდე ფეხბურთელთა რაოდენობა თითქმის 30%-ით შემცირდა“*, - ამბობს ყაველაშვილი.

■ ბავშვთა ფეხბურთის პრობლემები

შემდეგ მან ყურადღება ბავშვთა ფეხბურთზე გაამახვილა: *„დღესდღეობით, ჩვენთან არ არსებობს საფეხბურთო იდეოლოგია. სწორედ ასეთი დოკუმენტის შექმნისა და პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ მიიღეს საკლუბო და სანაკრებო დონეებზე შედეგი შვეიცარიამ და ბელგიამ. მათ ბევრმა მიბაძა. ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქართული ფეხბურთის კატასტროფული მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ბავშვთა ფეხბურთში არსებული ვითარებაა. პრობლემები სერიოზულია: უფასო სკოლების ფასიანად გადაკეთებამ განაპირობა მასობრიობის გაქრობა და კონტიგენტის მკვეთრი შემცირება. საფეხბურთო სკოლებში თითქმის არ არის ბუნებრივსაფარიანი მოედანი, რაც ზრდის ტრავმების რისკს. ორიოდე აკადემიის გარდა, არსადაა თანამედროვე წვრთნის მეთოდიკა, რის გამოც ბავშვები საფეხბურთო განათლებითა და კონდიციებით ევროპელ თანატოლებს ძალიან ჩამორჩებიან“.*

■ უკომპენსაციოდ დარჩენილები

ყაველაშვილის აზრით, პრობლემებს სკოლებისადმი კლუბების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება და კორუფცია იწვევს: *„სკოლებს ძალიან აზიანებს ის ფაქტი, რომ ფეხბურთელის აღზრდაში კლუბებისგან კომპენსაციებს ვერ იღებენ. კომპენსაციების გადახდას თავი რომ აარიდონ, კლუბები პროფესიულის ნაცვლად, ფეხბურთელებს სამოყვარულო კონტრაქტებს უფორმებენ. ჩამორჩენის ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია ბავშვთა ფეხბურთში ფეხმოკიდებული კორუფცია და არაჯანსაღი პროტექციონიზმი, რაც ბევრ უსამართლო გადაწყვეტილებას განაპირობებს და დამწყებ ფეხბურთელებს ხშირად გულს უცრუებს“.*

■ ულიცენზიო კლუბები

ვეტერანი ფეხბურთელი საკლუბო ფეხბურთსა და ეროვნულ ჩემპიონატსაც შეეხო: *„უეფას ლიცენზიას რამდენიმე კლუბი რომ იღებს, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. „დინამოს“ გარდა, არც ერთ კლუბს არ აქვს ევროპული ინფრასტრუქტურა. ბაზის უქონლობის გამო, ზოგიერთი კლუბი სათამაშო მოედანზე ვარჯიშობს. ქართული საკლუბო ფეხბურთის სავიზიტო ბარათად იქცა გარიგებული მატჩები, კორუფცია, სტადიონებზე ძალადობა... კატასტროფულად დაბალია მწვრთნელთა კვალიფიკაცია. რეალურად, ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზება თვითდინებაზეა მიშვებული. არანაირი სტანდარტი, არც დებულების და არც უსაფრთხოების თვალსაზრისით დაცული არ არის. სწორედ დებულების დაუხვენაობის მიზეზით მოხდა კურიოზი, როცა ჩემპიონობას ერთდროულად ორი გუნდი ზეიმობდა. ჩვენ მხოლოდ 150 მსაჯი გვყავს, რაც კატასტროფულად მცირე რაოდენობაა და ტურნირების ორგანიზებას ართულებს“.*

■ უგოლო ნაკრების გასაჭირი

ნაკრებ გუნდებზე ყაველაშვილი ასე ფიქრობს: *„ქართული ფეხბურთის მდგომარეობაზე მეტყველებს ეროვნული ნაკრების ბოლო წლების შედეგები, თამაშის ხარისხი და გუნდში არსებული კონფლიქტები. 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მხოლოდ სამი გოლი გავიტანეთ და ევროპის 53 ნაკრებს შორის, მხოლოდ ანდორასა და სან მარინოს გავუსწარით. ცალკე საუბრის თემაა თანამედროვე საფეხბურთო სტანდარტების გათვალისწინებით ეროვნული ნაკრების თამაშის სტილი და ხარისხი. ახალგაზრდულ ნაკრებშიც დაახლოებით მსგავსი პრობლემები და მდგომარეობაა. მომზადების დონით, ჩვენი ახალგაზრდები ევროპელ თანატოლებს საგრძნობლად ჩამორჩებიან. ერთადერთი, 19 და 17-წლამდელთა ბოლოდროინდელი წარმატებებით თუ შეგვიძლია ვიამაყოთ. მაგრამ ეს ძალიან ცოტაა, რადგან ჩვენი ახალგაზრდები საფეხბურთო ნიჭით ევროპელებს არ ჩამოუვარდებიან“.*

■ მე ამისგან გავაკეთებ!..

ამის შემდეგ ყაველაშვილმა დამსწრე საზოგადოებას ქართული ფეხბურთის სტრატეგიული განვითარების გეგმა წარუდგინა. ამ გეგმის არსი ქართული ფეხბურთის ტრადიციების აღორძინება და ინოვაციების დანერგვაა. საამისოდ, ის აუცილებლად მიიჩნევს უფასო საფეხბურთო სკოლების დაფუძნებას - 4 ელიტარული აკადემიისა და 20 სკოლის.

ამას გარდა, პრიორიტეტია 300 კვალიფიციური მწვრთნელის მომზადება, ფეხბურთელთა რაოდენობის 40 პროცენტით გაზრდა. მისივე ჩანაფიქრით, ევროპის ტოპლიგებში საქართველოს მინიმუმ 7 ფეხბურთელი უნდა ჰყავდეს, დაახლოებით 25 ფეხბურთელი - საშუალო დონის (ჰოლანდია, ბელგია, შვეიცარია, საბერძნეთი, თურქეთი...) ევროპულ ჩემპიონატებში.

გეგმა ითვალისწინებს ასევე საქართველოს ჩემპიონატში გამართული ინფრასტრუქტურის მქონე 20 კლუბის არსებობას, 300 კვალიფიციური მსაჯის მომზადებას, კონკურენტუნარიანი საშეჯიბრო სისტემის დანერგვას, მედიის საშუალებით ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას...

ყაველაშვილის აზრით, თუ ეს ყველაფერი განხორციელდება, 2020 წლიდან ეროვნული ნაკრების დიდ საფეხბურთო ფორუმებზე სისტემატური მონაწილეობა რეალური იქნება.

მერაბ მამულაშვილი

ДИНАМО

ჩემპიონი მოდებაძეს და რეხვიაშვილს შეელია

თბილისის „დინამომ“ ახალი სეზონისთვის მზადება ახალი მწვრთნელის დანიშვნით დაიწყო. გასული პირველობის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა დიღმის ბაზაზე გუშინ პირველად აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელის **მალხაზ ჟვანიას** ასისტენტის, **რამაზ სვანაძის** ხელმძღვანელობით ივარჯიშა.

ცნობილი გახდა, რომ კლუბთან კონტრაქტები დაუსრულდათ და სხვაგან ითამაშებენ **ირაკლი მოდებაძე** და **გიორგი რეხვიაშვილი**. არ უვარჯიშიათ საქართველოს ნაკრების წევრებს - **გიორგი ლორიას, გიორგი ხიდეშელს, გიორგი პაპუნაშვილს, ირაკლი ძარიას, გიორგი პაპავას, ოთარ მარცვალაძესა** და **დავით კვირკველიას** - ამ უკანასკნელს მიკროტრავმა აწუხებს. გუნდს მოგვიანებით შეუერთდებიან ლეგიონერები - **ჩისკო** და **პატრიკ ვუო**.

კლუბთან კონტრაქტის ვადები ამოეწურათ მარცვალაძესა და კვირკველიასაც, თუმცა „დინამოს“ მათთან განშორება არ სურს.

მერაბ მამულაშვილი

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ.

აქამდე მხოლოდ სამჯერ...

დღეს, შვეიცარიის პატარა ქალაქ მეირინში, 2018-ადგილიან „სტად დე არბერზე“ საქართველოს ეროვნული ნაკრები მორიგ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს - თემურ ქეცბაიას გუნდის მეტოქე ამჯერად არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრები იქნება.
ვიდრე ჩვენს დღევანდელ მეტოქეზე ვიტყოდეთ რამდენიმე სიტყვას, კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი სასიამოვნო ტენდენციას - წლეულს საქართველოს ნაკრებმა ორი მატჩი ჩაატარა და ორივე მოიგო. იმედი დავიტოვოთ, რომ ეს სერია გაგრძელდება და აზიურ ნაკრებებთან დაპირისპირებებშიც ამჯერად უკვე დავწინაურდებით.
შეგახსენებთ, რომ საუდის არაბეთთან მატჩამდე აზიელებთან ურთიერთდაპირისპირებებში უარყოფითი ბალანსი გვქონდა, დღესდღეობით კი ასეთი სურათი გვაქვს - 6 მატჩი, 3 მოგება, 0 ფრე და 3 წაგება. აღსანიშნავია, რომ ბურთების სხვაობაშიც სრული თანაფარდობაა - 12:12.
ნურც ის დაგვავიწყდება, რომ დღევანდელი მატჩი განსაკუთრებული იქნება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელისათვისაც - თემურ ქეცბაია 36-ედ უთავკაცებს ჩვენს უპირველეს გუნდს და ამ შედეგით ნაკრების ისტორიაში აბსოლუტური რეკორდსმენი გახდება...

უცნობი ფეხბურთელები და ცნობადი მწვრთნელები

მოგეხსენებათ, დღესდღეობით საქართველოს ნაკრები ფიფას რეიტინგში 103-ე ადგილზეა, აი, რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ მეტოქეს, არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრები საგრძნობლად გვისწრებს და 67-ე ადგილზეა! თანაც, საქართველოს ვინ ჩივის, პოლონეთს, ბულგარეთს, მაროკოს, ისრაელს, ბელარუსს, გაბონს, ტოგოსა და ესტონეთს უსწრებს. არადა, არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებს არც „ადგილობრივი მასშტაბით“ და არც საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზული წარმატებებისათვის არასდროს მიუღწევია.

ყველაზე დიდ წარმატებას ამ

მე-3 გვერდზე

დიკ ადვოკაატი

კარლოს ალბერტო პარეირა

საამიროები-საქართველო. დღეს. 21:00

როი ჰოჯსონი

მე-2 გვერდზე

ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებმა 1990 წელს მიაღწია, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. თუმცა იტალიაში ჩატარებულ იმ მუნდიალზე არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებმა ჯგუფურ ეტაპზე სამივე მატჩი წააგო (კოლუმბიასთან, გფრ-სთან და იუგოსლავიასთან).

რაც შეეხება აზიის საფეხბურთო კონფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ტურნირებს, წინა მეტოქისაგან (საუდის არაბეთი) განსხვავებით, არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებს კონტინენტის თასი არასოდეს მოუგია. 1992 წელს, საამიროების მთავარმა გუნდმა ამ ტურნირზე IV ადგილი დაიკავა. იმ პერიოდში არაბულ ნაკრებს სახელგანთქმული **ვალერი ლობანოვსკი** წვრთნიდა. ამ მართლაც გენიალურმა სპეციალისტმა დროის მოკლე მონაკვეთში შეძლო იმდენი, რომ არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრები კონტინენტის ოთხ საუკეთესო გუნდში მოახვედრა.

ამ ნაკრებისთვის გაცილებით წარმატებული იყო აზიის თასის 1996 წლის გათამაშება, როცა გუნდმა ტურნირზე II ადგილი დაიკავა - ფინალურ შეხვედრაში პენალტების სერიაში წააგო საუდის არაბეთის ნაკრებთან.

იმავე საუდის არაბეთის ნაკრებისგან განსხვავებით, არაბთა გაერთიანებული საემიერობის ნაკრებში **ალ დეაიას**, **ოვაირანისა** თუ **ალ-ჯაბერის** დონის ფეხბურთელებს არასდროს უთამაშიათ. სამაგიეროდ, იმავე საუდის არაბეთის მსგავსად, ამ ქვეყნის ნაკრებში ზემოთ ნახსენები ვალერი ლობანოვსკის გარდა სხვა არაერთ გამორჩეულ და ცნობილ სპეციალისტს უმუშავია: **კარლოს ალბერტო პარეირა, მარიო ზაგალო** (ორივე - ბრაზილია), **ანტონი პეხნიჩეკი** (პოლონეთი), **ტომისლავ ივიჩი** (სერბეთი), **კარლუშ კეირუში** (პორტუგალია), **როი ჰოჯსონი** (ინგლისი), **აად დე მოსი, დიკ ადვოკაატი** (ორივე - ჰოლანდია), **ანრი მიშელი, ბრუნო მეტსიუ** (ორივე - საფრანგეთი), **სრეჩკო კატანეცი** (სლოვენია).

სხვათა შორის, სწორედ კარლოს ალბერტო პარეირას ხელმძღვანელობით მოახერხა არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებმა თავის ისტორიაში პირველად და უკანასკნელად მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა.

დღესდღეობით არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებს ადგილობრივი სპეციალისტი, 49 წლის **მახდი ალი ჰასანი** წვრთნის და საკმაოდ წარმატებულადაც: გუნდი 2012 წლის აგვისტოში ჩაიბარა, ამის შემდეგ პირველივე შეხვედრაში იაპონიასთან დამარცხდა (0:1) და მერე უკვე მართლაც შთამბეჭდავი და წარმატებული სერიაც ჰქონდა.

თავად განსაჯეთ - 2012 წლის ოქტომბრიდან ამა წლის მაისის ბოლომდე არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებმა 20 მატჩი ჩაატარა და არც ერთხელ არ დამარცხებულა! ჩვენი დღევანდელი მეტოქის წაუგებელი სერია კი სულ ახლახან, კერძოდ, 27 მაისს შეწყდა, როცა შვეიცარიის ქალაქ კარუეში არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრები დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობით (**ჰენრიხ მხითარიანი, არაზ ოზბილისი, იურა მოვსისიანი**) მოასპარეზე სომხეთის ნაკრებთან - 3:4.

ზედიზედ მესამის მოლოდინი

საქართველოს ნაკრების ისტორიაში აქამდე მხოლოდ სამჯერ მომხდარა, როცა ჩვენ უპირველეს გუნდს ზედიზედ სამი მატჩი მოუგია. პირველი ასეთი შემთხვევა 1997-98 წლებში მოხდა, როცა **დავით ყიფიანისა** და **რევაზ ძოძუაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე ჩვენმა ნაკრებმა ზედიზედ ორი ოფიციალური მატჩი მოიგო (მოლდოვასთან და პოლონეთთან), რასაც უკვე მომდევნო მწვრთნელის (**ვლადიმერ გუცაევი**) თავკაცობით ზედიზედ სამი გამარჯვება მოჰყვა: 1998 წლის დასაწყისში, მალტის ტურნირზე ლატვიას, ალბანეთსა და მალტას მოვუგეთ. სხვათა შორის, ზედიზედ 5 მატჩი საქართველოს ნაკრებს არც მანამდე და არც მერე აღარ მოუგია...

ზედიზედ სამი გამარჯვება ჩვენს ნაკრებს 2001 წლის შემოდგომაზეც ჰქონდა: **ალექსანდრე ჩივაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე ჩვენმა გუნდმა ამხანაგურ მატჩში სტუმრად ლუქსემბურგს აჯობა (3:0), მერე კი თბილისში ოთხდღიან ინტერვალში ჯერ უნგრეთს მოვუგეთ (3:1), მერე კი **ალექსანდრე იაშვილის** დუბლით ლიტვას (2:0).

აი, რაც შეეხება მესამე შემთხვევას, საქართველოს ნაკრებმა ასეთ შედეგს დღევანდელი თავკაცის, **თემურ ქეცბაიას** ხელმძღვანელობით მოახერხა: 2010 წლის შემოდგომაზე სტუმრად სლოვენიას მოვუგეთ (2:1), 2011 წლის 9 თებერვალს ნეიტრალურ მოედანზე სომხები დავჯაბნეთ (2:1), 26 მარტის მატჩი კი (თბილისში, **ლევან კობიაშვილის** ერთადერთი გოლით ხორვატები რომ დავამარცხეთ), ალბათ, ყველას გემახსოვრებათ...

გია ტუხაშვილი

ქართველები არაბებს ამ სტადიონზე დაუპირისპირდებიან

U19

ვასილ მაისურაძე

ამ თაობას ფეხბურთის თამაში შეუძლია

19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის ბოლო ტურში საქართველოს ნაკრებმა ისრაელთან 0:1 წააგო და ფინალურ ეტაპზე მოხვედრის მშვენიერი შანსი ხელიდან გაუშვა. ეს დიდი მოულოდნელობა იყო, რადგან ვასილ მაისურაძის გუნდმა მოგებებს შეგვაჩვია და ბოლო წლებში ყველაზე გამართული ქართული ნაკრები იყო.

ისრაელთან მარცხის გამო, ნიჭიერი მწვრთნელისა და მისი შეგირდების მიერ გაკეთებულ საქმეს ხაზი არ უნდა გადაესვას, პირიქით, ამ თაობას ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი ზრდა-განვითარებაში, რადგან პოტენციალი აშკარაა. ზოგიერთი ქომაგი, შეიძლება, სწორადაც შენიშნავს, რომ ისრაელის 19-წლამდელთა ნაკრების სახით, ქართველი ჭაბუკები ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის ხაზის მქონე გუნდს დაუპირისპირდნენ. მართლაც და, ისრაელმა ელიტრაუნდი ისე დაამთავრა, გოლი არ გაუშვია, სულ კი, შესარჩევიანად, 6 მატჩში 3 გოლი მიიღო და ეს სამიც მხოლოდ დანიამ გაუტანა.

მეორე უკიდურესობაშიც არ უნდა გადავვარდეთ. ისე არ უნდა მოხდეს, რომ მარცხი მხოლოდ ებრაელთა მყარ დაცვას დაბრალდეს. ნებისმიერ მარცხს საფუძვლიანი ანალიზი და შეცდომების დანახვა სჭირდება, რაც ნაკრების მწვრთნელის საქმეა.

მანამდე კი ვასილ მაისურაძე შთაბეჭდილებებს „ლელოს“ უზიარებს. გასაგებია, რომ ის მომხდარით ძლიერ გულდაწყვეტილია...

- ჯერ, ტურნირზე გუნდის გამოსვლა შევაჯამოთ. თავიდან ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო - პირველივე ტურში მასპინძელი ნაკრების დამარცხება სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იყო...

- შვეიცარიასთან პირველი შეხვედრა მართლაც უმნიშვნელოვანესი იყო. დამტკიცდა, რომ მათი მთავარი მწვრთნელი შემთხვევით არ ამბობდა - საქართველო ჯგუფის ფავორიტიაო. მასპინძლები ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. მეორე ტურიც დამაჯერებლად ჩავატარეთ - კვიპროსთან მოგება საეჭვო არ გაგვიხდია. სამწუხაროა, რომ ისრაელთან გადამწყვეტ შეხვედრაში სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეზე უკეთესი ფეხბურთი ვაჩვენეთ.

- თქვენი აზრით, რა გახდა წაგების მიზეზი?

- ვერ ვიტყვი, რომ რაღაც განსაკუთრებული დეტალი გამოგვეპარა. მაგრამ ფაქტია, დიდი უპირატესობა და საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. სამწუხაროდ, ამაში თავისი როლი ითამაშა რუმინელმა არბიტრმა მარიუს ავრამმა, რომელმაც 2012 წელს, სლოვენიაში, ჰოლანდიასთან ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ჭანტურია გაგვიგდო. ამჯერად, ვერ ვიტყვი, რომ ავრამმა ცუდად იმსაჯა, უხეში შეცდომები არ დაუშვია, მაგრამ ერთი ეპიზოდი გამოეპარა - პირველ ტაიმში პაპუნაშვილის წაქცევისთვის პენალტი არ დაგვინიშნა. თუმცა ამის მიუხედავადაც უნდა მოგვეგო. ყველამ ნახა სტატისტიკა - ჩვენ კარში 17-ჯერ დავარტყით, ებრაელებმა კი მხოლოდ 3-ჯერ და... მაინც მოგვიგეს.

- მატჩს ერთ-ერთი ებრაული არხი აჩვენებდა და ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს მეორე ტაიმში, გოლამდე, თქვენი შეგირდები ზედმეტად თავდაჯერებულები იყვნენ...

- არა მგონია, ზედმეტად თავდაჯერებულები ყოფილიყვნენ. ამ გუნდის უპირველესი პლუსი მაქსიმალური კონცენტრაციაა, მაგრამ ერთხელ მოეშვნენ და ისიც ძალიან ძვირად დაგვიჯდა. თუმცა, არა მგონია, ეს ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი ყოფილიყო, მე უფრო ასაკს მივაწერ. საერთოდ, ჩვენ ყველას გვჯეროდა, რომ არ წავაგებდით და ამ იმედს თამაშის მსვლელობაც გვიძლიერებდა. კიკაბიძეს პირველ ტაიმში ასპროცენტიანი შანსი ჰქონდა, მერე კიდევ რამდენიმე მომენტი შევქმენით... მარტო ბოლო წუთებზეც შეგვეძლო გატანა... ბერიძე კარიდან 8 მეტრში იყო და...



ვასილ მაისურაძე

მერაბ მამულაშვილი

ჭაბუკთა ლიგა

XXVIII ჯერი

1996/97 წ.წ.

გურია-ვიტ ჯორჯია	**2:1**
მეტალურგი-მერანი	**1:3**
სიონი-დილა	**1:0**
ზუგდიდი-35-ე სს	**1:3**
დინამო (თბ)-საბურთალო	**2:4**
ზესტაფონი-ტორპედო	**0:1**
სპარტაკი-ჩიხურა	**6:2**

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მეტალურგი	28	22	3	3	91-21	69
2. დინამო (თბ)	27	18	4	5	75-30	58
3. საბურთალო	28	17	6	5	66-29	57
4. ტორპედო	28	16	6	6	47-41	54
5. 35-ე სს	28	15	5	8	52-36	50
6. ვიტ ჯორჯია	28	13	8	7	69-40	47
7. დილა	28	13	8	7	48-32	47
8. მერანი	28	12	3	13	35-57	39
9. დინამო (თბ)	28	11	6	11	46-44	39
10. სიონი	28	9	6	13	41-50	33
11. სპარტაკი	28	8	6	14	41-52	30
12. ზესტაფონი	28	8	4	16	42-66	28
13. ზუგდიდი	28	5	10	13	29-47	25
14. ნ. დინამო	27	6	5	16	35-54	23
15. გურია	28	6	3	19	14-72	21
16. ჩიხურა	28	2	1	25	27-87	7

1998/99 წ.წ.

გურია-ვიტ ჯორჯია	**1:2**
მეტალურგი-მერანი	**4:0**
სიონი-დილა	**1:5**
ზუგდიდი-35-ე სს	**0:1**
ზესტაფონი-ტორპედო	**1:3**
სპარტაკი-ჩიხურა	**3:2**

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო (თბ)	27	22	4	1	113-11	70
2. 35-ე სს	28	22	2	4	67-20	68
3. საბურთალო	27	20	7	0	80-6	67
4. ტორპედო	28	18	2	8	52-27	56
5. დილა	28	16	5	7	43-30	53
6. ვიტ ჯორჯია	28	13	6	9	48-34	45
7. სპარტაკი	28	13	2	13	43-48	41
8. მეტალურგი	28	12	4	12	39-33	40
9. ზუგდიდი	28	11	6	11	38-41	39
10. ნ. დინამო	27	9	7	11	33-44	34
11. ზესტაფონი	28	7	8	13	27-37	29
12. დინამო (თბ)	27	6	8	13	24-37	29
13. მერანი	28	5	4	19	20-76	19
14. ჩიხურა	28	4	3	21	19-57	15
15. სიონი	28	3	5	20	24-90	14
16. გურია	28	3	3	22	12-91	12

საფეხბურთო ფესტივალი

მიეცით ბავშვებს აზროვნების თავისუფლება!

ანუ რატომ გახდნენ ახალკაცის ფესტივალის ტრიუმფატორები დინამო და საბურთალო?

დასრულდა ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო საფეხბურთო ფესტივალი, რომელიც 26 მაისიდან 1 ივნისამდე გრძელდებოდა. ტურნირის ფინალები „მიხეილ მესხზე“ გაიმართა, რამაც, სულ მცირე, 3 ათასამდე მაყურებელს მოუყარა თავი - იყო დიდი ემოციური ფონი, რამაც ფინალური მატჩები ამ მხრივაც გაალამაზა. საერთოდ, მსგავსი ტურნირები სამომავლო ტენდენციების გასაანალიზებლად დიდ მასალას იძლევა და ამიტომაც დავინტერესდით...

თავიდან შედეგებზე მოგიყვებით. შეიძლება ითქვას, რომ ტურნირი ორი საუკეთესო ქართული სკოლის - თბილისის „დინამოსა“ და „საბურთალოს“ დომინირებით ჩატარდა. გამონაკლისი მხოლოდ 2005 წელს დაბადებულ ბავშვთა გათამაშება იყო, რომლის ფინალშიც „დინამოს“ აკადემია რუსთავის „იმედს“ შეხვდა. ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი რუსთაველებმა გაიმარჯვეს (5:4) და მთავარ პრიზს დაეუფლნენ. მესამე ადგილზე „საბურთალო იოსებიძე“ გავიდა, რომელმაც, ასევე პენალტების სერიაში, „საბურთალოს“ სძლია (3:1).

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა 2004 წელს დაბადებულთა ფინალში, სადაც ფავორიტად ელიტლიგის გამარჯვებული „დინამოს“ აკადემია მიიჩნეოდა. **დაჩი ლორთქიფანიძის** ერთადერთი გოლით „საბურთალო“ 1:0 დაწინაურდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, დინამოელებმა მეტოქეს ვერაფრით უპასუხეს და „საბურთალომ“ 1:0 გაიმარჯვა. „აფხაზეთი-ბასა“ „ავაზას“ ძლევით (7:5) მესამე ადგილზე გავიდა.

ყველაზე საინტერესო და დაძაბული 2003 წელს დაბადებულთა ტურნირის ფინალური შეხვედრა გამოდგა, რომლის პირდაპირი რეპორტაჟიც მეორე არხის ეთერში გადაიცემოდა. აქაც ერთმანეთს „დინამოს“ აკადემია და „საბურთალო“ გადაეყარნენ.

მატჩის დასაწყისში „საბურთალო“ **გიორგი კვერნაძეს** დააწინაურა. მაგრამ თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე დინამოელმა **რაულ სიჭინავამ**, რომელიც ტურნირის ნამდვილი აღმოჩენა გახდა, ანგარიში გაათანაბრა, პენალტების სერიაში კი „დინამომ“ 5:4 გაიმარჯვა. მესამე ადგილზე გავიდა „ოლიმპიკი“, რომელმაც თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიას 4:0 მოუგო.

ცხადია, ფესტივალზე გამოვლინდნენ საუკეთესო ფეხბურთელებიც. მოზარდებს სპეციალური საჩუქრები თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ, ვეტერანმა ფეხბურთელებმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძემ** და „სალერის“ წარმომადგენლებმა გადასცეს. ტურნირს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ატარებდა და ამ ორგანიზაციის მწირი ბიუჯეტის გათვალისწინებით, წლებია, ფესტივალს თავს ნორმალურად ართმევენ. წლეულს, ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო საფეხბურთო ფესტივალზე 55 გუნდი გამოდიოდა, მათ შორის - რუსეთიდან და ყაზახეთიდან.

უკეთესადაც შეიძლებოდა...

რა თქმა უნდა, ტურნირის უკეთესად ჩატარებაც შეიძლებოდა. მაგალითად, დღის 2 საათზე, თანაც ხელოვნურ საფარზე ბავშვების თამაში რეკომენდირებული არ არის. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სტადიონების გადატვირთულობის გამო, ორგანიზატორებს სხვა გზა არ ჰქონდათ. მათ სხვაგვარი პრობლემებიც შეექმნათ. როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთი საუკეთესო სპორტკომპლექსის მოედნებზე მონაწილეები არ შეუშვეს, რაც მის მფლობელებსა და თბილისის ფედერაციას შორის დაძაბული ურთიერთობის შედეგი იყო.

და კიდევ - ცხადია, ამ ტურნირის ცქერისას, სპეციალისტები მომავლისკენ იხედებიან და ცდილობენ, ნიჭიერი ბავშვები აღმოაჩინონ. რა თქმა უნდა, ასეთები იყვნენ და ბევრმა მათგანმა მაყურებელს აზრიანი, ჭკვიანური და ლაღი თამაშით მოაწონა თავი. მაგრამ ერთი ტენდენციაც აშკარაა - რატომღაც, ბევრი მწვრთნელი ბავშვებს ჩარჩოში აქცევს და ცდილობს, მათი თითოეული ქმედება გააკონტროლოს, რითიც ბავშვს აზროვნებისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას უსპობს.

ვფიქრობთ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ უფერული თაობები მოდიან. ვითომ, „სწორი ფეხბურთის“ თამაშის სახელით, ბავშვებს იმდენად თრგუნავენ, პატარებს თამაშის საკუთარ თავზე აღების ეშინიათ. ამით მათში ინდივიდუალიზმს კლავენ. ცნობისთვის, ბრაზილიაში მწვრთნელებს ეკრძალებათ თამაშის დროს ბავშვებისთვის რაიმეს მითითება და, მით უფრო, ყვირილი. „საბურთალოსა“ და „დინამოს“ აკადემიაშიც ინერგება ასეთი პრაქტიკა და, ალბათ, ამიტომაც გახდნენ ეს გუნდები ახალკაცის ფესტივალის ტრიუმფატორები. ზოგადი ფონი კი საკმაოდ მძიმეა.

მერაბ მამულაშვილი

ასეთი ტურნირები სამომავლო ტენდენციების გასაანალიზებლად დიდ მასალას იძლევა
ფოტო: **tbff.ge**

ინტერვიუ

ლევან კობიაშვილი

ლევან კობიაშვილი

თუ არჩევნებში მონაწილეობა გადავწყვიტე, არც სახელმწიფოს და არც რომელიმე პირის დახმარება არ მჭირდება

ლევან კობიაშვილმა კარიერა ახლახან დაასრულა. 36 წლის, აწ უკვე ვეტერანმა ფეხბურთელმა, ბოლო პერიოდში არაერთხელ თქვა, რომ სურს ქართულ ფეხბურთს ემსახუროს. სხვა რომ არაფერი, მარტო ამის გამოც ის კიდევ უფრო საინტერესო რესპონდენტი ხდება ქართული მედიისთვის.

კობიაშვილმა „კვირის პალიტრას“ მისცა ინტერვიუ, რომლის შემოკლებულ ვარიანტს „ლელოს“ მკითხველსაც ვთავაზობთ...

- საქართველო-საუდის არაბეთის მატჩზე რას იტყვი?

- კარგია, რომ მოვიგეთ და ლამაზი გოლებიც ვნახეთ... ოქრიაშვილმა ულამაზესი საჯარიმო გაიტანა და მისივე პასის შემდეგ გატანილი დვალიშვილის გოლიც მნიშვნელოვანი იყო. დიდი ხანია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თავდამსხმელის გატანილი ბურთი აღარ გვინახავს! მთლიანობაში, შედეგი კარგია, აი, თამაშის ხარისხი კი...

- რაც უნდა მძიმე მოსასმენი იყოს, ლევან კობიაშვილი უკვე აღარ არის მოქმედი ფეხბურთელი. დღეს ტრიბუნიდან რომ უყურებდი საქართველოს ნაკრების თამაშს, მოედანზე გასვლის სურვილმა ხომ არ შეგიპყრო?

- ძალაუნებურად გიწევს იმაზე ფიქრი, რომ რაღაც ეტაპი დასრულდა შენს ცხოვრებაში - მოედანზე ვეღარ გახვალ, ბუცებს, ფორმას ვეღარ ჩავიცვამ... სეზონი ახალი დასრულებულია და ჯერჯერობით, მეც „ვისვენებ“ (იცინის). აი, ახალი სეზონისთვის მზადება რომ დაიწყება, მე კი ყოველდღიურად აღარ ვივარჯიშებ, მაშინ ბოლომდე გავაცნობიერებ, რომ აქტიური ფეხბურთელი აღარ ვარ და მართლაც ძალიან გამიჭირდება.

- 21-წლიანი კარიერის განმავლობაში სულ გქონდა თავისუფალი დროის ნაკლებობა, ახლა კი, პირიქით არის... ესეც უჩვეულო იქნება შენთვის.

- უჩვეულოა, მაგრამ ცოტა ხანს დავტკბები თავისუფლებით, მერე კი ისევ აქტიურად ვიქნები ჩართული ფეხბურთში. არ მინდა, ხანგრძლივი პაუზა გამომივიდეს, როცა საქმეზე ვიქნები გადართული, აქტიურ სპორტთან განშორებაც უფრო ადვილი გადასატანი იქნება...

- შარშან მითხარი, ჩემს გამოსათხოვარ მატჩს ორგანიზებას თავად გავუწევო. აზრი ხომ არ შეგიცვლია?

- რა თქმა უნდა, მაქვს ასეთი მატჩის გამართვის სურვილი, მაგრამ ამას სერიოზული დაგეგმვა და მუშაობა სჭირდება. ასე რომ, ამ ეტაპზე გამიჭირდება თქმა, როდის გაიმართება ჩემი გამოსათხოვარი მატჩი. უახლოეს მომავალში დავალაგებ გეგმებს და კონკრეტულად მეცოდინება, რა და როდის იქნება.

- გეგმები... ლევან კობიაშვილს უკვე გადაწყვეტილი აქვს სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა?

- ჩემს მომავალ კარიერაში მთავარი ამოცანა სწორედ ქართული ფეხბურთია, მინდა, ქართულ ფეხბურთში გავაგრძელო საქმიანობა, ჩემი წვლილი შევიტანო მის განვითარებაში. ასე რომ, ვმუშაობ ამ საკითხზე... დეტალებზე ლაპარაკი კი წინასწარ არ მინდა, როცა ბოლომდე დავსახავ გეგმებს და საქართველოში ჩამოვალ, დაწვრილებით მერე ვილაპარაკებ.

- კახა კალაძის განცხადება, რომ ლევან კობიაშვილიც მიიღებს მონაწილეობას სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნებში, ბევრმა ისე გაიგო, რომ სწორედ შენ ხარ დღევანდელი ხელისუფლების ფავორიტი.

- კახამ თქვა, ლევანს სურს, კენჭი იყაროს და შესაძლოა, იყოს კიდეც ერთ-ერთი კანდიდატიო... ნამდვილად მინდა, ჩემი გამოცდილება მოვახმარო ქართულ ფეხბურთს, მაგრამ თუ არჩევნებში მონაწილეობა გადავწყვიტე, არც სახელმწიფოს და არც რომელიმე პირის დახმარება არ მჭირდება! პირიქით, მიმაჩნია, რომ ქართულ ფეხბურთს სჭირდება დახმარება და ამისთვის მზად ვარ! ეს ფეხბურთია, სფერო, რომელსაც კარგად ვიცნობ. ასე რომ, კარგი იქნება, თუ მე კი არ დამეხმარება ვინმე, ყველანი დავეხმარებით ქართულ ფეხბურთს!

- ვინ არის ლევან კობიაშვილი?

- ფეხბურთელი, რომელმაც ყველაფერს თავისი შრომით მიაღწია! ყოველთვის ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, რა შემეძლო და რის უფლება არ უნდა მიმეცა თავისთვის. ასეთი მიდგომით ჩამოვყალიბდი არა მხოლოდ მოთამაშედ, პიროვნულადაც. ცოტათი თავმდაბალიც ვარ, მორცხვიც, მაგრამ რაც ვარ, ეს ვარ...

- რა მოგცა და რა დაგაკლო ფეხბურთმა?

- რაც კი გამაჩნია, ყველაფერი ფეხბურთმა მომცა. რა დამაკლო? ფეხბურთის გამო ძალიან ბევრ რაღაცაზე ვთქვი უარი... ახლა კი ისეთი რაღაცების გაკეთება შემიძლია, რაც აქამდე წარმოუდგენელი იყო. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ პირველად მოვახერხე და ჩემს გოგონას ექსკურსიაზე წავყევი (იცინის).

- რამდენიმე დღეში მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. ვის უქომაგებს ლევან კობიაშვილი?

- ბავშვობიდან ესპანური ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ და ბრაზილიაშიც ესპანეთის ნაკრებს ვუქომაგებ. თუმცა, რატომღაც მგონია, რომ ჩემპიონობა მასპინძელთა ნაკრებს დარჩება.

ესაუბრა
რატი შელეგია,
კვირის პალიტრა

ლეგიონერი

ჭანტურია უკვე ვერონაშია

ახალგაზრდა ფორვარდი მოუთმენლად ელის ლუკა ტონისთან ერთად თამაშს

TG GIALLOBLU-ს ინფორმაციით, **გიორგი ჭანტურია** უკვე ვერონაშია, სადაც ტრავმირებულ მუხლს მკურნალობს. შეგახსენებთ, რომ „კლუჟის“ პრეზიდენტმა **ლულიუ მურეშანმა** განაცხადა, რომ ჭანტურიას ტრანსფერი „ვერონაში“ უკვე მოგვარებული საქმეა. არადა, 1 ივნისს თურქული წყაროები 21 წლის ქართველი ფეხბურთელით „ტრაბზონსფორის“ დაინტერესებაზე წერდნენ და მას „ახალ შოთას“ უწოდებდნენ...

ჭანტურიამ კი „კალჩო ნიუსთან“ საუბარში განაცხადა, რომ გახარებულია იტალიაში თამაშის პერსპექტივით:

„ვერონა დიდებული ადგილია. იტალიაში თამაშის დიდი სურვილი მაქვს, განსაკუთრებით, ისეთი ვარსკვლავის გვერდით, როგორიც ლუკა ტონია“.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მოსალოდნელი ტრანსფერი

ზურაბ ხიზანიშვილი

Skysports: ხიზანიშვილს ლიდსი და ბლექბერნი ეპატიჟებიან

SKYSPORTS-ი იუწყება, რომ „ბლექბერნ როვერსისა“ და „ნიუკასლ იუნაიტედის“ ყოფილი მცველი **ზურაბ ხიზანიშვილი** ნისლიან ალბიონზე დაბრუნებას აპირებს. ხიზანიშვილის „ქაისერისფორი“ თურქული სუპერლიგიდან გავარდა, თუმცა კლუბმა ქართველ ფეხბურთელს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა.

სავარაუდოდ, ხიზანიშვილი ამას არ დათანხმდება და თავისუფალი აგენტის სტატუსს მოიპოვებს, შემდეგ კი უსასყიდლოდ რომელიმე სხვა კლუბში გადავა. წყაროს ცნობით, ხიზანიშვილის დამატება რამდენიმე თურქულ კლუბსაც სურს.

უფრო საინტერესოა ინგლისური წინადადებები. კერძოდ, მისით „ლიდსი“ და ყოფილი კლუბი „ბლექბერნიც“ არიან დაინტერესებულნი. თუმცა თავად ფეხბურთელს თურქული წინადადებები უფრო აინტერესებს, რადგან ამ ქვეყანაში თავს ბედნიერად გრძნობს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

U12. ჩემპიონთა თასი

დინამო ნახევარფინალშია

ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადში ბავშვთა ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური სერია დაიწყო, რომელიც ტურნირის გენერალური სპონსორის, „ლუკოილის“ სახელს ატარებს. მასში 2002 წელს დაბადებული ბავშვები მონაწილეობენ.

ბულგარეთში იმყოფება თბილისის „დინამოს“ აკადემიის 12-წლამდელთა გუნდი (მთავარი მწვრთნელი **რევაზ გვარაკიძე**), რომელიც თავის ასაკში ელიტლიგის გამარჯვებულია.

გვარაკიძის გუნდმა ბლაგოევგრადში ორი მატჩი გამართა. დინამოელები ჯერ ადგილობრივ „პირინს“ დაუპირისპირდნენ და **გოდერძიშვილის** გოლით 1:0 გაიმარჯვეს, მეორე შეხვედრაში კი მოსკოვის „ლოკომოტივთან“ იმავე ანგარიშით დამარცხდნენ. შემდეგ რუსებმა მასპინძლებს 4 უპასუხო გოლი გაუტანეს და პატარა დინამოელები ნახევარფინალში აღმოჩნდნენ, სადაც საბერძნეთის პაოკ-ს დაუპირისპირდებიან.

მერაბ მამულაშვილი

● სკანდალი

მსოფლიო ფეხბურთის ყატარზისი

ყატარს 2022 წლის მუნდიალის მასპინძლობა ჩამოერთმევა?

ფიფამ 2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობის უფლება ორ ისეთ ქვეყანას ანდო, რომ მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოება შავბნელმა ფიქრებმა შეიპყრო. რუსეთზე თამამად შეიძლება თქმა, რომ მას აქვს გარკვეული გამოცდილება დიდი ტურნირების მასპინძლობისთვის. სხვა თუ არაფერი, მოსკოვში ზაფხულის ოლიმპიადაც ჩატარებულა, სოჭმა კი, ავად თუ კარგად, წელს ზამთრის ოლიმპიადა მიიღო. რაც შეეხება ყატარს: რა ვიცით, ამ ქვეყნის საფეხბურთო ტრადიციებზე? არც არაფერი, თუ არ ჩავთვლით, რომ ყატარელი შეიხების საკუთრებაშია ევროპული საკლუბო ფეხბურთის ორი გრანდი - „მანჩესტერ სიტი“ და „პარი სენ-ჟერმენი“. ჰო, მაგრამ ნუთუ ეს საკმარისია? ჩვენი კითხვა რიტორიკულია.

„სანდი ტაიმსის“ ბრალდებები აზიის საფეხბურთო კონფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის **მოჰამედ ბინ ჰამამის** საბანკო ანგარიშების, გარკვეული დოკუმენტებისა და ელექტრონული მიმოწერის შესწავლას ეყრდნობა. ჩაითვლება თუ არა ეს რეალურ მტკიცებულებად, ჯერ-ჯერობით ძნელი სათქმელია. ყველამ იცის, რომ 2010 წელს ფიფას მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ყველაზე უფრო შეურაცხყოფილად თავი სწორედ კუნძულელებმა იგრძნეს. სუბიექტური განწყობილება შესაძლოა, მოქმედებს კიდეც ჩვენს ინგლისელ კოლეგებზე, თუმცა, რაც დრო გადის, სულ უფრო წარმოუდგენელი ხდება ჩანაფიქრის განხორციელება. ყველა ხვდება, რომ რა გარანტიაც არ უნდა გასცენ შეიხებმა, რვა წლის თავზე ზაფხულში ყატარში ისეთივე სიცხე იქნება, როგორც დღეს, თუ უარესი არა და ამას ვერანაირი კლიმატური კონტროლის მექანიზმებით ვერ შეებრძოლები. კიდევ უფრო აბსურდულად ჟღერს ტურნირის ზამთარში გადატანის იდეა, რადგან რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ მსოფლიოს ჩემპიონატის მნიშვნელობაზე, შეუძლებელია, საკლუბო სეზონის შეჩერება, გადატანა, გადაწევა თუ ასე შემდეგ. შეუძლებელია, რადგან თავისი მასშტაბებით ლაპარაკი გვაქვს არა მთის ანკარა წყაროზე, არამედ, ნილოსსა და ამაზონზე ერთად.

გამოსავალი ყველა სიტუაციაში არსებობს. მათ შორის ჩვენს შემთხვევაშიც - სხვა მასპინძლის არჩევა. 2022 წლამდე მთელი რვა წელი რჩება. ეს დრო განვითარებულ ქვეყანას, კარგად ორგანიზებული, არაკორუმპირებული ხელისუფლებით, თავისუფლად ეყოფა მუნდიალისთვის მოსამზადებლად. ერთმა ასეთმა უკვე დაადასტურა, რომ მზადაა, თუნდაც უახლოეს ხანებში დაიწყოს მზადების პროცესი. ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს თუ გავითვალისწინებთ, ავსტრალიას ამ მხრივ არაფერი დაეწუნება.

ყატარული ყინული დაიძრა. ფიფა, რომელიც თავადაც გრძნობდა სიტუაციის აბსურდულობას, დათანხმდა გამოძიების დაწყებას. *„არსებობს სამხილები, რომ ის ადამიანები, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა უნდა აერჩიათ, მოსყიდულები იყვნენ. საგამოძიებო უფლებამოსილებებით უკვე აღჭურვილია მაიკლ გარსია. მოდი, მისგან ოფიციალურ დასკვნას დაველოდოთ. თუკი გამოძიებით ბრალდების შინაარსი დადასტურდა, მე, როგორც ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, პირადად მოვითხოვ განმეორებით კენჭისყრას,“* - განაცხადა ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა **ჯიმ ბოისმა**.

ფიფას ვიცე-პრეზიდენტი ჯიმ ბოისი საკითხის გადახედვის მომხრეა

პირველი კანდიდატურა უკვე ცნობილია

ზემოთ ავსტრალია ვახსენეთ. „მწვანე კონტინენტის“ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა **დევიდ გელოპმა** დაადასტურა, რომ ქვეყანა მზადაა ყატარის ნაცვლად მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის. *„ცხადია, მზად ვართ, თუმცა კონკრეტულად ამ თემაზე ლაპარაკი ნაადრევი მგონია. სიტუაცია საამისოდ ჯერ არ მომწიფებულა. წესით, უახლოეს მომავალში უფრო მეტის თქმის საფუძველი მექნება. ვფიქრობ, ყატარელებს აუცილებლად ექნებათ რეაქცია მათ მიმართ გამოთქმულ სერიოზულ ბრალდებებზე,“* - აცხადებს გელოპი.

ყატარელთა რეაქციამ ნამდვილად არ დაახანა. აი, რა წერია აზიელთა ოფიციალურ განცხადებაში: *„მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში ჩვენი ქვეყანა ეთიკის უმაღლესი სტანდარტების დაცვით მოქმედებდა. ეს უფლება იმიტომ მოვიპოვეთ, რომ ჩვენი განაცხადი საუკეთესო იყო და ამასთან, ეს იყო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მსგავსი მასშტაბის ტურნირის ჩატარების პირველი მცდელობა. ვაცხადებთ, რომ ბინ ჰამამს საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია. თუკი საჭირო გახდა, აუცილებლად ვითანამშრომლებთ საგამოძიებო ჯგუფთან. ჩვენი მხრივ, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულები ვართ. ბრალდებებს კატეგორიულად უარვყოფთ“.*

სერია №2: რუსეთი 2018

„დეილი სტარი“ დარწმუნებულია, რომ ყატართან ერთად მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის საკითხიც გადაიხედება. გამოცემა ოთხი წლის შემდეგ რუსეთის მაგივრად მასპინძლობის პატივს ინგლისს უწინასწარმეტყველებს. ამერიკელი სენატორების შემდეგ კიდევ ერთი განცხადება გავრცელდა, რომელიც ფიფას ამ ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებს. ლაპარაკია NHL-ის კლუბ „ოტავა სენატორზის“ მესაკუთრე **იუჯინ მელნიკზე**. ეთნიკურად უკრაინელმა კანადელმა ბიზნესმენმა საკუთარი პოზიცია გაზეთ „ოტავა სიტიზენსის“ გვერდებზე დააფიქსირა:

„უკრაინაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ ახალი, ლეგიტიმური პრეზიდენტი აირჩია. ვლადიმირ პუტინი ამ ქვეყანაში ჰიტლერის სცენარით მოქმედებს და ნელ-ნელა ცდილობს ევროპასთან ტერიტორიულად დაახლოებას. ამას ალბათ ყველანი ვხედავთ. ჩვენ, ევროპასთან და ამერიკასთან ერთად, ყველანი უნდა გავერთიანდეთ ასეთი მზაკვრული გეგმების წინააღმდეგ. თუკი ასე არ მოვიქცევით, ის ჯერ ნახევარ უკრაინას დაიპყრობს, შემდეგ კი რუმინეთს, მოლდოვას, ბულგარეთსა და პოლონეთს მიადგება. რუსეთის ფაქტობრივი პოლიტიკა უხეშად არღვევს მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს მიერ დეკლარირებულ პრინციპებს. მოგიწოდებთ, უარი თქვათ იმ კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის შეძენაზე თუ მომსახურებაზე, რომლებიც 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სპონსორები არიან“.

● ტრანსფერი

მუდამ თქვენი რიკი ლამბერტი...

მას შემდეგ, რაც „ლივერპულში“ **რიკი ლამბერტის** ტრანსფერის გადაწყდა, ფეხბურთელმა „საუთჰემპტონის“ გულშემატკივრებს ემოციებით გაჯერებული ღია წერილით მიმართა. 32 წლის თავდამსხმელი წერს:

„საუთჰემპტონი“ ჩემი ცხოვრების ბოლო ხუთი წლის განუყრელი მეგზური იყო. ამ ხნის განმავლობაში უამრავი ოცნება ავისრულეთ და საოცარ შედეგებს მივაღწიეთ. მინდა, მადლობა ვუთხრა მარკუს ლიბრეხტს, ვინც ურთულეს წლებში შეინარჩუნა კლუბი. მადლობა ალან პარდიუს, ვინც მენდო და „სენტ მერიზე“ თამაშის საშუალება მომცა. მადლობა კლუბის პერსონალს, ვისთან ერთადაც გავიზარდე, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება. თქვენ გარეშე მე ვერასოდეს გავხდებოდი ინგლისის ნაკრების წევრი და ვერ ვითამაშებდი მსოფლიოს ჩემპიონატზე. მადლობა თანაგუნდელებს, მწვრთნელებს, ვისთან ერთადაც მიმუშავია. მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ერთი კლუბი იყო, რომელიც ყოველთვის მიყვარდა და სადაც წლების შემდეგ ვბრუნდები, თუმცა იმასაც გულწრფელად გეუბნებით, რომ ამიერიდან ჩემს გულში „საუთჰემპტონიც“ განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს.

რიკი ლამბერტი

კლუბის კეთილი ნების წყალობაა, რომ ჩემი ცხოვრების უმთავრესი ოცნება ახდა და შინ დავბრუნდი. ახლა ისევ „ლივერპულის“ ფეხბურთელი მქვია. „საუთჰემპტონს“ წინ დიდი მომავალი აქვს. მის ცხოვრებაში ახალი ეპოქა იწყება. მე მხოლოდ ის შემიძლია, მას წარმატებები ვუსურვო.

მუდამ, თქვენი რიკი ლამბერტი“.

● მუნდიალი 2014. ინგლისის ნაკრები

უეინ რუნი ოპტიმისტურადაა განწყობილი

ჰოჯსონი და ჰიმნი

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ მისი ფეხბურთელები ყოველი თამაშის დაწყების წინ ეროვნულ ჰიმნს მთელი მონდომებით შეასრულებენ და ამით საკუთარ პატრიოტიზმს კიდევ ერთხელ გაუსვამენ ხაზს. *„ძნელად შეხვდები მეტოქეს, რომლის ფეხბურთელებს ჰიმნისას ხელი გულზე უდევთ და მთელი მონდომებით არ ასრულებენ. გადავწყვიტეთ, ნაკრებების უმეტესობის ტრადიცია თავადაც დავიცვათ. ჩემი ფეხბურთელები ამაყები და ბედნიერები არიან, რომ ინგლისის ღირსებას იცავენ. ჩემთვის კი წარმოუდგენელი პატივია, ვიყო ამ ბიჭების მთავარი მწვრთნელი,“* - აცხადებს **როი ჰოჯსონი**. BBC-მ საკუთარ ვებგვერდზე გამოკითხვა ჩაატარა და გაარკვია, რომ გულშემატკივრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთელების დამოკიდებულება ჰიმნის მიმართ. გამოკითხულთა 73%-ის აზრით, ნაკრების ფეხბურთელებმა აუცილებლად უნდა იმღერონ.

რუნი: ინგლისი ჯერარნახული

„სამი ლომის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **უეინ რუნიმ** „სანდი მირორთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი თანაგუნდელების უმეტესობას დიდ სანაკრებო ტურნირებზე ასპარეზობის გამოცდილება აკლია, თუმცა ისიც დასძინა, რომ მას შემდეგ, რაც ეროვნულ ნაკრებშია, ასეთი ძლიერი გუნდი ჯერ არ უნახავს. რა შანსი აქვს ინგლისს მსოფლიოს ჩემპიონატზე? აი, რას პასუხობს ფეხბურთელი ამ შეკითხვაზე:

„არა მგონია, არსებობდეს ადამიანი, ვინც ზუსტად იწინასწარმეტყველებს იმას, თუ როგორ ვითამაშებთ ბრაზილიაში. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რატომაც ველოდები ტურნირის დაწყებას მოუთმენლად. მიჭირს პროგნოზების გაკეთება, თუმცა, გარწმუნებთ, რომ გვაქვს სათანადო პოტენციალი, რომ ჩვენი თამაშით ბევრი გავაოცოთ და, მინიმუმ, ფინალში გავაღწიოთ. ამას ვამბობ იმიტომ, რომ საკუთარი თვალით ვხედავ, რამდენად ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი. შეხედეთ თუნდაც სტარიჯს, შოუსა და ლალანას. ეს ბიჭები საოცარ ფორმაში იმყოფებიან. მერე რა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან? 2004 წელს ევროპის ჩემპიონატზე გუნდში ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ გამოცდილი თანაგუნდელების დახმარებით მაინც მაღალ დონეზე ვითამაშე. ამ ფუნქციის საკუთარ თავზე ამღები ვეტერანები ახლაც გვყავს. თუნდაც ჯერარდი და ლემპარდი“.

● ინციდენტი

აფეთქება ნიგერიაში

კვირას ნიგერიის ქალაქ მუბიში საფეხბურთო სტადიონზე აფეთქება მოხდა. ადგილობრივი პოლიციის ცნობით, შედეგები შოკის მომგვრელია - დაღუპულია 40 ადამიანი, დაშავებულთა რაოდენობაზე კი სამართალდამცავებს განცხადების გაკეთების მომენტში მონაცემები არ ჰქონდათ. „როიტერის“ ინფორმაციით, აფეთქება ღია სივრცეში მოხდა, სადაც ადგილობრივი მაცხოვრებლები ფეხბურთის საყურებლად იყვნენ შეკრებილნი. ჯერჯერობით, პასუხისმგებლობა არც ერთ დაჯგუფებას საკუთარ თავზე არ აუღია. ნიგერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის სამ რეგიონში პრეზიდენტ **ჯონათან გუდლაკის** გადაწყვეტილებით, რადიკალ ისლამისტთა ტერორისტული ორგანიზაცია „ბოკო ჰარამის“ მოქმედებათა გამო, წელიწადზე მეტია, საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. ადგილობრივ ხელისუფლებას ეჭვი არ ეპარება, რომ ეს აფეთქებაც მათ სინდისზეა. „ბოკო ჰარამი“ ნიგერიაში დასავლური ცხოვრების სტილის დამკვიდრების წინააღმდეგ გამოდის და მთელი ქვეყნის მასშტაბით შარიათის კანონების ამოქმედებას ემხრობა. ეს ორგანიზაცია ქვეყანაში მომხდარი კრიმინალური შემთხვევების აბსოლუტური უმრავლესობის უკან დგას.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ინტერვიუ. პიტერ შილტონი

დაჩაგრული და ამაყი შილტონი

პიტერ შილტონი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. მას **ფაბიენ ბარტეზთან** ერთად, დღემდე ეკუთვნის რეკორდი მუნდიალებზე გოლგაუშვებელი მატჩების რაოდენობის მხრივ, ფრანგმა და ინგლისელმა გოლკიპერებმა ათ-ათჯერ შეინახეს კარი მშრალად. სწორედ შილტონს გაუტანა **დიეგო არმანდო მარადონამ** „ღმერთის ხელად“ წოდებული სკანდალური გოლი; სწორედ შილტონი იდგა კარში იმ მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელზედაც ინგლისის ნაკრები 1966 წლის შემდეგ ყველაზე შორს წავიდა; შილტონია ის მეკარე, რომელმაც „ნოტინგემ ფორესტთან“ ერთად ზედიზედ ორჯერ სენსაციურად მოიგო ჩემპიონთა თასი...

- 1982 წლის მუნდიალი თქვენთვის პირველი იყო. როგორ გაიხსენებთ იმ მსოფლიოს ჩემპიონატს?

- კარგი მუნდიალი მქონდა, რადგან ხუთ მატჩში მხოლოდ ერთი გიოლი გავუშვი და სახლში წაუგებლები დავბრუნდით. ეს მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოვარდნის ცოტა გიჟური და სასაცილო ვარიანტი იყო - მხოლოდ ერთი გაშვებული ბურთი და არც ერთი წაგებული მატჩი. შემდეგ რასაკვირველია, იყო 1986 წელი, სადაც „ღმერთის ხელის“ გამო დავმარცხდით და 1990-ში იტალია, სადაც ისევ სულ ცოტა იღბალი გვჭირდებოდა პენალტების სერიაში. მთლიანობაში, ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჩემი შედეგები კარგია. ჩატარებული მატჩებისა და გაშვებული გოლების მხრივ რეკორდი ფაბიან ბარტეზს ეკუთვნის, მაგრამ ალბათ ის ერთპიროვნულად ჩემი იქნებოდა, რომ არა დიეგო მარადონა. კარიერის უდიდესი იმედგაცრუება კი 1974 წლის მუნდიალზე ვერმოხვედრა გახლავთ. ამის შემდეგ, რვა წელი მომიხდა ლოდინი, სანამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშებდი.

- ისევ არგენტინასთან თამაშსა და „ღმერთის ხელს“ რომ დავუბრუნდეთ, როგორია, როდესაც ასეთი ცნობილი ეპიზოდის ჩრდილშიმყოფი მონაწილე ხარ?

- ჩემი აზრით, ისეთი კარიერა მქონდა, რომელიც ცოტა სხვა მიზეზებით იმსახურებს იმას, რომ ხალხს ვახსოვდე და არა ამ ინციდენტის გამო. იმ ეპიზოდზე ძალიან ბევრი საუბარია და მეც ვლაპარაკობ ხოლმე. საწყენი და დასანანია, როდესაც ადამიანს იმ მომენტის გამო ახსოვხარ და სასიამოვნოა, როდესაც შენი კარგი თამაშითა და მიღწევებით გიხსენებენ.

- როგორ გახსენდებოდათ ხოლმე ეს მომენტი? სხვადასხვაგვარი განვითარებით თუ წარმოგიდგენიათ?

- არა, მე უბრალოდ ბურთის მოგერიებას ვაპირებდი და ის ფაქტიც, რომ მარადონამ ხელით ითამაშა და არა თავით, მეტყველებს იმაზე, რომ იგი მიხვდა, - მე პირველი ვიქნებოდი და გარისკა, ისე როგორც თავდამსხმელების უმეტესობა აკეთებს. ჩემი აზრით, ამ მომენტში ინგლისის ნაკრები და მთელი ქვეყანა მოატყუეს. ჩვენ დავიჩაგრეთ.

- ამ გოლის შემდეგ, თქვენსა და მარადონას შორის გარკვეული დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა...

- უბრალოდ, მომენტმა ძალიან ცუდი გემო დატოვა, მარადონას მატჩისშემდგომი განცხადებების გამო. ვფიქრობ, თამაშის მერე, პირდაპირ უნდა ეთქვა - ბოდიში, ხელით ვითამაშე და მთავარ მსაჯს ან ლაინსმენს ეს უნდა დაენახათ - მაგრამ მარადონა ასე არ მოიქცა და თავს დამნაშავედაც არ თვლიდა და გრძნობდა. მან მხოლოდ ძალიან დიდი ხნის მერე აღნიშნა, რომ გააზრებულად ითამაშა ხელით. ასეთი რაღაცები ხდება და მსაჯები, ლაინსმენები ცდებიან. არ ვამტყუნებ მარადონას, რადგან თუნდაც გარი ლინეკერმა, რომელიც ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენია, თქვა, რომ მეც იგივენაირად მოვიქცეოდიო, თავდამსხმელები თამაშობენ ხოლმე ასე. მე უბრალოდ მარადონას მატჩისშემდგომი საქციელი და კომენტარები არ მომეწონა.

- და მეორე გოლზე რას იტყვით? როდესაც მარადონამ მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო, ამას ალბათ ვერ წარმოიდგენდით...

- ჩემი აზრით, მენტალურად უკვე ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავით, რადგან გავიაზრეთ, რომ ვაგებდით 0:1-ს ისეთი გოლის გამო, რომელიც არ უნდა ჩათვლილიყო. ფსიქოლოგიური მომენტი მეორე გოლის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო. მარადონამ ცენტრიდან იარა, არადა, ბურთი საერთოდ არ უნდა მიეღო, რადგან ვფიქრობ, გლენ ჰოდლი მეტოქემ წააქცია და ჯარიმა უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა და ბურთი მარადონას მიუვიდა, რომელმაც შემდეგ, რეალურად, ერთი ფეხბურთელი მოატყუა, ტერი ფენვიკი, რომელსაც ყვითელი ბარათი ჰქონდა. ბოლოს კი მომენტი შესანიშნავად დაასრულა, ისე, როგორც მსოფლიო დონის ფეხბურთელს შეეფერება.



პიტერ შილტონი

- 4 წლის შემდეგ ყველანი დამუხტულები იყავით და ერთგვარი შურისძიება გსურდათ?

- დიახ, რა თქმა უნდა, დამუხტულები ვიყავით, თან ეს ჩემი ბოლო შანსი იყო, და მსოფლიოს ჩემპიონობაზე ვოცნებობდი. თუმცა ყველაფერი პატარა დეტალებისგან შედგება და იღბალი გჭირდება. მაგალითად, ეგვიპტესთან მატჩისას მეტოქეს ძალიან კარგი შანსი ჰქონდა და რომ გამოეყენებინა ჩვენ სახლში დავბრუნდებოდით. შემდეგ ფორტუნამ გაგვიღიმა კამერუნთანაც, მაგრამ გერმანელებთან ბედმა ისევ ზურგი გვაქცია.

- ფიქრობთ, რომ დამატებით დროში გერმანელებს მეტი შანსი ჰქონდათ?

- არა, რადგან პირველად გერმანიის წინააღმდეგ შეხვედრაში ვნახე, რომ ისინი თავს იცავდნენ და აშკარად პენალტების სერიისკენ მიჰყავდათ თამაში. ჩვენ კი საკმაოდ კარგად გამოვიყურებოდით და ვუტევდით. თერთმეტმეტრიანებში გერმანელები მსოფლიოში საუკეთესოები არიან, რაც არაერთხელ დამტკიცებულა, ასეთ დროს ისინი ფსიქოლოგიურად ძლიერები არიან. 4 პენალტისას მომინია კარში დგომამ და ოთხივე დარტყმა რაკეტასავით აღმოჩნდა კუთხეში. პენალტების სერიისას იღბლის იმედი გაქვს, მაგრამ... სტიუარტ პირსმა ლამის პირდაპირ ბოდო ილგნერს გაარტყა, ხოლო კრის უოდლმა გადააცილა.

- შანსი რომ გქონდეთ, „ნოტინგემ ფორესტთან“ ერთად მოგებულ ორ ჩემპიონთა ლიგას ერთ მსოფლიოს ჩემპიონობაში თუ გაცვლიდით?

- ოჰ, დაუფიქრებლად. ჩემპიონები 1966 წელს საკუთარ კედლებში გავხდით, რაც ხელის შემწყობი ფაქტორი იყო. ინგლისს მიღმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვება კი ბრწყინვალე იქნებოდა. შენ აკეთებ ყველაფერს, ბოლომდე იხარჯები, რადგან მუნდიალი მოიგო, რომელიც მხოლოდ 4 წელიწადში ერთხელ ტარდება და იქ გამარჯვება ურთულესია.

- თქვენ იმ ნაკრების წევრი იყავით, რომელმაც 1966 წლის შემდეგ საუკეთესო შედეგი აჩვენა, 1990 წელს იტალიაში ნახევარფინალში გახვედით. ამას თქვენი კარიერის წარმატებად თვლით?

- ნახევარფინალის წაგება სასიამოვნო არავისთვისაა, მაგრამ, როდესაც სამშობლოში დავბრუნდით, ორასი-სამასი ათასი ადამიანი დაგვხვდა ლუტონის აეროპორტში, არადა გვეგონა, უბრალოდ, სასტუმროში და სახლებში წავიდოდით. მთელი ქვეყანა ამაყობდა ჩვენით და ახლა წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა, რომ მოგვეგო? ასე თუ ისე, ისტორიას ვერ შეცვლი. მეც ვამაყობ იმით, რომ იმ ნაკრების წევრი ვიყავი, რომელმაც ინგლისს მიღმა საუკეთესო შედეგი აჩვენა. ასევე, იმედი მაქვს, რომ წელს ბიჭები ამ მაჩვენებელს გააუმჯობესებენ.

- ინგლისის შანსებს ოპტიმისტურად უყურებთ?

- კი, ნამდვილად ოპტიმისტურად. თუმცა პირველად არ ვიცი, კონკრეტულად რას უნდა ველოდო, რადგან როი ჰოჯსონმა ნაკრები ძალიან შეცვალა. ახლა გუნდში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რამდენიმეს მსოფლიოს ჩემპიონატზე აქამდე არასოდეს უთამაშია და ასევე უნდა ითქვას, რომ ჩვენ სამხრეთამერიკის კლიმატს მიჩვეულნი არ ვართ.

- რას გვეტყვით ჯგუფზე, რომელშიდაც ინგლისი იტალიასთან, ურუგვაისთან და კოსტა რიკასთან ერთადაა?

- მთავარია, პირველ შეხვედრას, რომელიც მანაუსში იტალიასთან გვაქვს, მაქსიმალურად მომზადებულნი შევხვდეთ. იმ მომენტისთვის მეორე და მესამე მატჩებთან შედარებით უფრო დასვენებულებიც ვიქნებით. თანაც ყველასთვის ცნობილია, რომ როგორც წესი, იტალია მძიმედ იწყებს.

- არის რომელიმე მეკარე, რომელსაც განსაკუთრებით დააკვირდებით მუნდიალზე?

- მე ყოველთვის ჯანლუიჯი ბუფონის დიდი გულშემატკივარი ვიყავი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ პირველ შეხვედრაში ის ჩვეულად კარგად არ ითამაშებს! ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატი საუკეთესოა მეკარეების შეფასებისთვის. „უემბლიზე“ ჩილეს მეკარის კლაუდიო ბრავოს თამაშმაც მიმიზიდა. მაგალითად, იგი 30-40 იარდზე აკეთებდა პასებს და მაინტერესებს, ეყოფა თუ არა თავდაჯერება იმისთვის, რომ იგივე ბრაზილიაშიც გააკეთოს.

დოსიე
პიტერ ლესლი შილტონი

დაიბადა: 1949 წლის 18 სექტემბერს
პოზიცია: მეკარე
ინგლისის ნაკრები: 125 მატჩი
ტიტულები: ჩემპიონთა თასი (2), ევროპის სუპერთასი, ლიგის თასი, ინგლისის ჩემპიონი, ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი (1978)

ბრაზილია. სერია A. IX ტური

„კრუზეირო“, ბორჟესი გოლს ზეიმობს

კრუზეირო ისევ პირველია

„კრუზეირომ“ „ჟოაო აველანჟზე“ „ფლამენგო“ გაანადგურა, რის წყალობითაც ბრაზილიის მოქმედი ჩემპიონი ისევ პირველ ადგილზე დარჩა. **მარსელო ოლივეირას** ბიჭებმა ყველაფერი პირველ ტაიმში მოაგვარეს. განსაკუთრებით **ევერტონ რიბეირო** გამოვარჩიოთ, რომელმაც გოლს პლუს პასი მიითვალა. ასევე სათქმელია, რომ მორიგი გოლი გაიტანა **რიკარდო გულარტმა**, რითაც თანაკლუბელ **მარსელო მორენოს** გაუთანაბრდა და ისინი ამჟამად ხუთ-ხუთი გოლით ბომბარდირთა დავაში ლიდერობენ. ამასობაში, **ნეი ფრანკოს** „ფლამენგო“ გასავარდნ ზონაშია და თუ გუნდი დროულად ვერ მოეგება გონს, წინა სეზონში გავარდნას სასწაულით გადარჩენილი, ამჯერად ნამდვილად ვეღარ გადარჩება.

გემახსოვრებათ, რომ „ფლას“ დარად გავარდნის პირას გახლდათ „ფლუმინენსეც“, მაგრამ, თანაქალაქელისგან განსხვავებით, „ფლუ“ ახლა ძალიან კარგად გამოიყურება. **კრისტავაო ბორჟესის** გუნდმა აბელ ბრაგას „ინტერნასიონალს“ ვერ მოუგო და მე-9 ტურში პირველი ფრე ითამაშა, მაგრამ ეს კატასტროფა არ არის - „ფლუმინენსე“ ლიდერს მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება.

ნელ-ნელა უმატებს „სანტოსი“, რომლის რიგებშიც გუნდის ახალმა ნორჩმა ვარსკვლავმა, 17 წლის **გაბრიელმა** გაიბრწყინა. მან გოლიც გაიტანა და **დიეგო კარდოსოსაც** გაატანინა. სანტოსელებმა ზედიზედ მეორედ იმარჯვეს.

შავ დღეშია „ფიგეირენსე“, გუნდი ისევ დამარცხდა და გამოკვეთილ აუტსაიდერად რჩება. უფრო გამოსარჩევი კი ის არის, რომ „ატლეტიკო პარანაენსეს“ 20 წლის თავდამსხმელმა **დუგლას კოუტინიომ** ჰეთთრიქი შეასრულა... გუნდის წაგებელი სერია კი 5 მატჩამდე გაიზარდა.

დრამატული გამოვიდა „სან პაულუსა“ და „ატლეტიკო მინეიროს“ მატჩი. მასპინძლები **ლუიშ ფაბიანომ** დააწინაურა, მაგრამ სტუმარმა ვეტერანმა **ჟოსუემ** გათანაბრება შეძლო და თითქოს, შეხვედრა ასე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ გამოცდილმა **მურისი რამალიუმ** შეცვლა გამოიცნო - **ალეშანდრე პატოს** ნაცვლად მინდორზე 82-ე წუთზე გამოსულმა **დორლან პაბონმა** ბოლო წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა. ამ მოგებით „სან პაულუმ“ მეტოქესაც გადაასწრო და ლიდერთა მარაქაშიც გაერია.

მოფერიანებულმა „ბოტაფოგომ“ ძალიან ძვირფასი ორი ქულა დააკარგვინა „კორინთიანსს“. **მანუ მენეზეშის** გუნდი **ჟადსონის** გოლით წინ იყო, მაგრამ **ედილსონმა** 87-ეზე წონასწორობა აღადგინა.

სან პაულუ-ატლეტიკო მნ. 2:1

გოლები: 1:0 ლუიშ ფაბიანო (11), 1:1 ჟოსუე (79), 2:1 პაბონი (90)

კურიტიბა-გოიასი 3:0

გოლები: 1:0 ალექსი (5), 2:0 კეირისონი (15), 3:0 დენერი (44)

ვიტორია-რესიფე 0:1

გოლი: 0:1 ნეტო ბაიანო (48)

კრუზეირო-ფლამენგო 3:0

გოლები: 1:0 რიკარდო გულარტი (16), 2:0 ევერტონ რიბეირო (18), 3:0 ბორჟესი (45+1)

ჩაპეკოენსე-ბაია 2:1

გოლები: 1:0 აბუდა (54), 2:0 ალემაო (71), 2:1 დემერსონი (86)

კორინთიანსი-ბოტაფოგო 1:1

გოლები: 1:0 ჟადსონი (25), 1:1 ედილსონი (87)

გრემიო-პალმეირასი 0:0

სანტოსი-კრისიუმა 2:0

გოლები: 1:0 გაბრიელი (11), 2:0 დიეგო კარდოსო (18)

ფიგეირენსე-ატლეტიკო პრ. 1:3

გოლები: 0:1 დუგლას კოუტინიო (45), 0:2 დუგლას კოუტინიო (53), 1:2 ევერალდო (74), 1:3 დუგლას კოუტინიო (90)

ფლუმინენსე-ინტერნასიონალი 1:1

გოლები: 0:1 ჟორჟე ენრიკე (22), 1:1 ჟეანი (31)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. კრუზეირო	9	6	1	2	18-10	19
2. ფლუმინენსე	9	5	1	3	14-8	16
3. კორინთიანსი	9	4	4	1	11-5	16
4. სან პაულუ	9	4	4	1	16:12	16
5. ინტერნასიონალი	9	4	4	1	12-9	16
6. გრემიო	9	4	3	2	7-5	15
7. გოიასი	9	4	3	2	7-7	15
8. ატლეტიკო მნ.	9	4	2	3	11-9	14
9. სანტოსი	9	3	5	1	10-5	14
10. პალმეირასი	9	4	1	4	8-10	13
11. ატლეტიკო პრ.	9	3	4	2	15-12	13
12. რესიფე	8	3	2	3	7-10	11
13. კრისიუმა	9	3	2	4	4-11	11
14. ბოტაფოგო	9	2	3	4	13-12	9
15. ბაია	8	2	2	4	7-9	8
16. ჩაპეკოენსე	9	2	2	5	7-10	8
17. კურიტიბა	9	1	4	4	8-10	7
18. ვიტორია	9	1	4	4	8-11	7
19. ფლამენგო	9	1	4	4	6-13	7
20. ფიგეირენსე	9	1	1	7	3-14	4

ბომბარდირები: 5 - რიკარდო გულარტი (კრუზეირო), მარსელო მორენო (კრუზეირო); 4 - დუგლას კოუტინიო (ატლეტიკო პარანაენსე), ლუიშ ფაბიანო (სან პაულუ), ჟადსონი (კორინთიანსი), ემერსონ შეიკი (ბოტაფოგო).

გვერდი მოამზადა
გიორგი კაკაბაძემ

● მუნდიალი 2014. ესპანეთის ნაკრები

ესპანეთის ნაკრების ტრიუმფი 4 წლის წინათ

მარკიზი და სტაბილურობა

ბრაზილიის მიღმა დარჩენილები

ესპანეთის ნაკრები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია. ბრაზილიაში ტიტულის დასაცავად ჩასული **ვისენტე დელ ბოსკეს** კრებული კარდინალურად არ იქნება განსხვავებული იმ გუნდისგან, რომელმაც 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში, ისტორიაში პირველად მოიგო მუნდიალი.

როგორც აღმოჩნდა, მარკიზი დელ ბოსკე მუდმივი ხშირი ცვლილებების მომხრე არ არის. ფაქტია - 4 წლის წინანდელი მუნდიალის მონაწილე 23 ფეხბურთელიდან 16 ბრაზილიისკენ მიმავალ თვითმფრინავში იჯდება. შესაძლოა, ეს რიცხვი სულაც 18 ყოფილიყო, რომ არა **ვიქტორ ვალდესისა** და **ხესუს ნავასის** ტრავმები.

ევრო 2012-ზე, რომელიც ასევე ესპანეთმა მოიგო, დღევანდელი შემადგენლობის 18 წევრი მონაწილეობდა! როგორც ხედავთ, „ფურია როხა“ კუს ნაბიჯებით იცვლება. პრინციპში, აქ მოქმედებს ფორმულა, რომლის მიხედვითაც გამარჯვებულებს არ ცვლიან.

პოლონეთსა და უკრაინაში მოთამაშე გუნდიდან ბრაზილიაში ვერ მოხვდნენ ნავასი, ვალდესი, **ალვარო ნეგრედო**, **ფერნანდო ლორენტე** და **ალვარო არბელოა**. სხვათა შორის, არბელოა ერთადერთი იყო მაშინდელ გუნდში, რომელმაც ყველა მატჩი ევრო 2012-ზე სასტარტოში დაიწყო. მათ ნაცვლად მიდიან - **დავიდ დე ხეა**, **სესარ ასპილიკუეტა**, **კოკე**, **დიეგო კოშტა** და **დავიდ ვილია**. დიახ, ესპანეთის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირმა ტრავმის გამო ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა.

უფრო შორს რომ „ჩავიდეთ“, გავიხსენოთ ესპანეთის ნაკრების ტრიუმფი ევრო 2008-ზე. იმ შემადგენლობიდან ამჟამინდელ გუნდში 12 ფეხბურთელია, რაც კარგზე კარგი შედეგია და გუნდის სტაბილურობაზე მეტყველებს. ესენია: **პეპე რეინა**, **იკერ კასილიასი**, **რაულ ალბიოლი**, **სერხიო რამოსი**, **ჩავი**, **ჩაბი ალონსო**, **ანდრეს ინიესტა**, **სესკ ფაბრეგასი**, **დავიდ სილვა**, **სანტი კასორლა**, **ფერნანდო ტორესი** და ვილია.

ვინ რა თქვა

მუნდიალს მიღმა დარჩენილი ხესუს ნავასი ძალიან მტკივნეულად განიცდის ბორტსმიღმა დარჩენას. *„რა თქმა უნდა, მზად ვიყავი და ეს ნაკრების ექიმმაც დაადასტურა, მაგრამ გადაწყვეტილებას მწვრთნელი იღებს და არა ექიმი. მან ასე გადაწყვიტა. პრინციპში, ის ხალხი, ვინც წაიყვანა მწვრთნელმა, ასევე ჯანზე იყვნენ. ასე რომ, ჩემი ეს არგუმენტი მთლად ვერ გამოდგება. ნაკრებს ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ. იმედია, ბიჭები შეინარჩუნებენ ტიტულს“*, - განუცხადა „სიტის“ 28 წლის გარემარბმა „მარკას“.

დანიელ კარვახალი: *„ძალიან ცუდია, რომ ვერ მოვხვდი მუნდიალზე, მაგრამ იმითაც ამაყი ვარ, რომ საოცნებო მიზანთან ასე ახლოს ვიყავი. ესპანეთის ნაკრებს ფორტუნას ღიმილს ვუსურვებ მუნდიალზე“.*

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ამბები

დორტმუნდმა დააღასტურა

ჩირო იმობილეს „დორტმუნდში“ ოფიციალურად ჩარიცხვა დროის ამბავი იყო და აი, გუშინ გერმანულმა კლუბმა 24 წლის იტალიელი თავდამსხმელი გაიფორმა. იმობილემ „ბორუსიასთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და წელიწადში 2 მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ იგი „ტორინოსა“ და „იუვენტუსის“ საკუთრებაში იყო, და თუ რამდენი გადაიხადა „დორტმუნდმა“, გასაიდუმლოებულია. თუმცა გერმანულ-იტალიური პრესის ინფორმაციით, ეს სიამოვნება ბორუსიელებს 19-20 მილიონი ევრო დაუჯდათ. იმობილე 22 გოლით სერია A-ს გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ცხადია, **ჩეზარე პრანდელის** მსოფლიოს ჩემპიონატზეც მიჰყავს.

სესკი ჩელსიში?

„ელ მუნდო დეპორტივოს „ ცნობით, ლონდონის „ჩელსი“ **სესკ ფაბრეგასის** შეძენასთანაა ახლოს. როგორც იცით, **ფრენკ ლამპარდს** „ლურჯებთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და გუნდმა მისი გაშვება გადაწყვიტა, ფაბრეგასი კი სწორედ ლამპარდის შემცვლელად ესახებათ. იქამდე გვრცელებული ინფორმაციით, „ბარსელონა“ მზად არის 27 წლის ნახევარმცველს 40 მილიონის სანაცვლოდ შეელიოს. მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებული ყოფილა.

ბანეგა პოიეტის სამიზნეა

არგენტინელი ნახევარმცველი **ევერ ბანეგა**, რომელიც ახლა „ნიუელს ოლდ ბოისში“ თამაშობს, შესაძლოა ისევ ევროპაში დაბრუნდეს. ბანეგათი, რომელიც 29 ივნისს 26 წლის გახდება, „სანდერლენდია“ დაინტერესებული, კერძოდ კი „შავი კატების“ მთავარი მწვრთნელი **გუსტავო პოიეტი**, რომელმაც გუნდი პრემიერლიგიდან გავარდნას გადაარჩინა. ურუგვაელი სპეციალისტი, რომელმაც „სანდერლენდთან“ კონტრაქტი ახლახან გაახანგრძლივა, შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს და ბანეგა მისი ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა.

ბარსამ იუვეს უარი უთხრა

ესპანურ და იტალიურ ჟურნალ-გაზეთებს თუ ვენდობით, ტურინის „იუვენტუსმა“ „ბარსელონას“ პირველი ოფიციალური შეთავაზებით მიმართა **ალექსის სანჩესის** ტრანსფერთან დაკავშირებით, მაგრამ უარი მიიღო. საქმე ის არის, რომ „ბებერ ქალბატონს“ ჩილელ თავდამსხმელში კატალონიელებისთვის 18 მილიონი ევრო შეუთავაზებია, რაც „ბარსას“ ძალიან ეცოტავა. როგორც ამბობენ, „კამპ ნოუს“ ბინადრებს სანჩესში 30-40 მილიონის აღება უნდათ. ვნახოთ, რას მოიფიქრებს „იუვენტუსი“, რომელიც პარალელურად ესპანური ფეხბურთის მეორე გრანდთან, მადრიდის „რეალთან“ ანარმოებს მოლაპარაკებებს **ალვარო მორატას** ტრანსფერის თაობაზე.

ლუკაკუ ვოლფსბურგს უნდა

ბელგიის ნაკრებისა და „ჩელსის“ ფორვარდმა **რომელუ ლუკაკუმ** კარიერა შესაძლოა, „ვოლფსბურგში“ გააგრძელოს. გერმანულ კლუბს რომ შორსმიმავალი გეგმები აქვს, კარგად მოგეხსენებათ და ალბათ ისიც იცით, რომ „მგლებსა“ და „ლურჯებს“ შორის შესანიშნავი ურთიერთობაა. სანამ მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრდება **ჟოზე მოურინიოც** საბოლოოდ მოიფიქრებს, უნდა თუ არა 21 წლის თავდამსხმელი და ლუკაკუს ბედიც მუნდიალის მერე გადაწყდება.

გიორგი კაკაბაძე

● პრეზენტაცია

ვილია ნიუ იორკში წარადგინეს

დავიდ ვილია უკვე ოფიციალურად გახდა „ნიუ იორკ სიტის“ ფეხბურთელი. 32 წლის „ელ გუახე“ ვალმოხდილი წავიდა მადრიდის „ატლეტიკოდან“, ის სეზონში 13 გოლით დაეხმარა კლუბს ჩემპიონატის მოგებაში. „ნიუ იორკ სიტი“ MLS-ში ახალი კლუბია, ვილია ამ ტურნირში 2015 წლის მარტიდან ჩაერთვება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ვილია „სიტის“ ფორმით

● მუნდიალი 2014. საფრანგეთის ნაკრები

ფრანგების სასარგებლო ფრე

ნორვეგიასთან კარგი მატჩის შემდეგ, საფრანგეთის ნაკრებს სპარინგ-პარტნიორად პარაგვაი ჰყავდა. **დიდიე დეშამმა** სკანდინავიელებთან შეხვედრაში ნათამაშები 4-3-3 შეინარჩუნა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში 3 ცვლილება გააკეთა - კარში **სტეფან რუფიეს** ნაცვლად „მამლების“ პირველი ნომერი **უგო ლორისი** იდგა, დაცვის მარჯვენა ფლანგზე **მატიე დებიუშის** მაგივრად **ბაქარი სანია** ვიხილეთ და თავდასხმაში სასტარტოში მოხვედრა დაიმსახურა **ლოიკ რემიმ**, რომელმაც ნორვეგიასთან ერთი გოლი გაიტანა და **ანტუან გრიზმანი** ჩაანაცვლა.

როგორც ჩანს, „სოსიედადის“ შემტევზე სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლებამ დადებითად იმოქმედა. თუ ნორვეგიასთან რემი გამოვიდა გრიზმანის ნაცვლად, ახლა პირიქით მოხდა და გრიზმანმაც გაიტანა, თანაც ლამაზი მოჭრილი დარტყმით. ფრანგები დიდხანს ელოდნენ გოლს და ეს ბოლოს და ბოლოს 82-ე წუთზე მოხდა, ასისტენტად **ლორენ კოშელნი** მოგვევლინა.

თითქოს დეშამის ბიჭებს უნდა მოეგოთ, მაგრამ **ვიქტორ გენესის** შეგირდებმა თამაში გადაარჩინეს. შეცვლაზე შესულმა **ხორხე როხასმა ვიქტორ კასერესს** გაატანინა, რომელმაც არეულობითა და საფრანგეთის დაცვის ჩავარდნით ისარგებლა - 1:1. მოკლედ, პარაგვაი მშვენიერ გუნებაზეა და როგორც ჩანს, კრიზისი დაძლეულია, რადგან გუნდმა ჯერ კამერუნს მოუგო, ახლა კი ფრანგებთან ითამაშა ფრე. შეგახსენებთ, რაომ სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ზონაში პარაგვაი ბოლო ადგილზე გავიდა და შესაბამისად, მუნდიალსაც ტოვებს.

ლებოდა. თუმცა მთავარი ის არის, რომ ზუსტად ისეთი ოპონენტი გვყავდა, როგორიც გვინდოდა - გუნდი, რომელიც ჩაკეტილად და აგრესიულად თამაშობდა. ბოლოს მიზანს მაინც მივაღწიეთ და გოლი გავიტანეთ, მაგრამ ეს იქამდეც უნდა გაგვეკეთებინა და უფრო მეტი უნდა გაგვეტანა, თანაც არაერთი მომენტი გვქონდა. მიუხედავად ამისა, მეტოქე თავს კარგად იცავდა და საქმე გაგვირთულა. ნაწილობრივ ძალიან კარგ ფეხბურთს ვთამაშობდით, მაგრამ ამ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ ჯერ კიდევ არის სამუშაო გარკვეულ დეტალებზე. ასევე, ჩვენს თამაშს სტაბილურობა უნდა შევძინოთ. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, ზუსტად ისეთი სტილის მატჩი გამოდგა, როგორსაც მუნდიალზე უნდა ველოდოთ“ - თქვა დეშამმა.

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი **ბლეზ მატუიდი**: *„მთლიანობაში მატჩი დადებითად უნდა შევაფასოთ. დაცვითი მეტოქის წინაშე მშვენივრად ვითამაშეთ და ფორვარდს, ოლივე ჟირუს კარგად ვიყენებდით. მომენტები გვქონდა, მაგრამ არ გაგვიმართლა. სამწუხაროა, რომ ბოლოს გავუშვით, მაგრამ მთავარია, კარგ ფორმაში ვართ“.*

„შედეგით ცოტა უკმაყოფილონი ვართ. არაერთი შანსი შევქმენით და ვერ გამოვიყენეთ. თუმცა ყველაფერი კარგად მიდის და ფსიქოლოგიურადაც მზად ვართ. ახლა ორი დღე გვაქვს დასვენებისთვის და საკუთარი ოჯახების მონახულებისთვის, რაც ასევე დადებითად იმოქმედებს ჩვენზე. ფრანკ რიბერი? ის ნელ-ნელა მომჯობინების გზას ადგას, ექიმებიც ყველაფერს ისე აკეთებენ, როგორც საჭიროა“ - თქვა მატჩისშემდგომ „მამალების“ დაცვის ბურჯმა **მამადუ სახომ**.

ბენზემა (მარცხნივ) და რიბერი ჯერ ისვენებენ

მარცხი ისრაელთან

ჰონდურასი ვახსენეთ და ჯგუფის ამ ბინადარმაც ჩაატარა ამხანაგური შეხვედრა. კოლუმბიელი **ლუის ფერნანდო სუარესის** ნაკრები ამერიკაში, კერძოდ კი ჰიუსტონში ისრაელს გაეჯიბრა და 2:4 დამარცხდა. ანგარიშითაც ადვილი მისახვედრია, რომ დაცვაში ბევრი ხარვეზი იყო. საუკეთესო ჰონდურასელთა მხრიდან „უიგანის“ ნახევარმცველი **როხერ ესპინოსა** გახლდათ. მან ჯერ თავად გაიტანა, მერე კი **კარლო კოსტლის** გაატანინა. საინტერესოა ისიც, რომ „ჰალის“ მცველმა **მეინორ ფიგეროამ** ავტოგოლი მიითვალა. 8 ივნისს ჰონდურასელებს კიდევ უფრო რთული ამხანაგური მატჩი ელოდებათ ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ.

გიორგი კაკაბაძე

● ლიგა 1

სეზონი 8 აგვისტოს დაიწყება

გადაწყდა, რომ საფრანგეთში 2014/2015 წლების სეზონი 8 აგვისტოს დაიწყება. მიუხედავად მსოფლიოს ჩემპიონატისა, ლიგა ერთის დაწყება არ გადადეს. ახალი სეზონი „ოგუს-დელანიზე“ გაიხსნება, სადაც „რეიმსი“ პსჟ-ს უმასპინძლებს. პირველი ტურის დანარჩენი შეხვედრები 9 და 10 აგვისტოს გაიმართება. აქვე, მთლიანად გადავავლოთ თვალი პირველი ტურის წყვილებს: რეიმსი-პსჟ, ბასტია-მარსელი, გენგამი-სტ. ეტიენი, ევიანი-კაენი, ლილი-მეცი, ლიონი-რენი, მონპელიე-ბორდო, მონაკო-ლორიანი, ნანტი-ლანსი, ნიცა-ტულუზი.

გიორგი კაკაბაძე

● გერმანიის ნაკრები

გერმანიის საბოლოო შემადგენლობა

ლიოვმა შმელცერი, ფოლანდი და მუსტაფი გაიმეტა

კევინ ფოლანდი (მარცხნივ), შკოდრან მუსტაფი და მარსელ შმელცერი სახლში რჩებიან

მაშასე, გერმანიის ნაკრების საბოლოო, 23-კაციანი შემადგენლობაც ცნობილია. ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** კამერუნთან ამხანაგური მატჩის (2:2) შემდეგ გაფართოებული შემადგენლობიდან სამი ფეხბურთელის გვარი გადახაზა და ფიფას საბოლოო, 23-კაციანი სია გაუგზავნა.

გერმანია-კამერუნი 2:2

გოლები: 0:1 ეტო'ო (62), 1:1 თ. მიულერი (66), 2:1 შიურლე (71), 2:2 ჩუპო-მოტინგი (78)

გერმანია (4-2-3-1): ვაიდენფელერი - ჟ. ბოატენგი, მერტეზაკერი, ჰუმელსი, დურმი (85. ჰოვედესი) - ხედირა (73. კრამერი), ტ. კროოსი - თ. მიულერი, იოზილი (64. პოდოლსკი), როისი - გიოტცე (58. შიურლე).

კამერუნი (4-1-2-2-1): იტანჯე - ჯეგუე (83. ნიომი), ნკულუ, მატიპი, ბედიმო (58. ასუ-ეკოტო) - სონგი - მბია (46. ნ'გუემი), ენო - მუკანჯო, ჩუპო-მოტინგი - ეტო'ო (92. ვებო).

მაყურებელი: 41 250

იმედგაცრუებულები მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერი**, ცენტრალური მცველი **შკოდრან მუსტაფი** და თავდამსხმელი **კევინ ფოლანდი** დარჩენენ. რეალურად, მოულოდნელი მხოლოდ შმელცერის სახლში დატოვებაა, თუმცა ლიოვის ამ გადაწყვეტილებასაც ობიექტური მიზეზი აქვს: გარდა იმისა, რომ დორტმუნდელი მარცხენა მცველი ვერ ბრწყინავდა, მას ტრავმაც აწუხებდა. შესაბამისად, ლიოვმა უპირატესობა „დორტმუნდის" მეორე მარცხენა მცველს, **ერიკ დურმს** მიანიჭა, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია.

კამერუნთან 2:2-ით უკმაყოფილო იოგიმ ჟურნალისტებს განუცხადა, ერთი ღამეც მაცადეთ, კარგად დავფიქრდები, ყველაფერს ავწონ-დავწონი და საბოლოო შემადგენლობას ორშაბათს ნაშუადღევს დავასახელებო. გუშინ კი იოგიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სახლში შმელცერს, ფოლანდს და მუსტაფის ტოვებს.

„წარმომიდგენია, როგორ გაუცრუვდათ იმედები მარსელს, კევინს და შკოდრანს. მათი ძალიან კარგად მესმის და გულით ვუთანაგრძნობ. ამ ფეხბურთელებს გადაწყვეტილების შესახებ მე და ჰანსი ფლიკმა პირადად ვუთხარით. საბედნიეროდ, სამივე ფეხბურთელს აქვს იმის შანსი, რომ მომავალ დიდ ტურნირებზე იასპარეზონ," - აღნიშნა ლიოვმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

აღსანიშნავია, რომ შმელცერს სამხრეთ ტიროლის შეკრებაზე ტრავმა აწუხებდა და სრულფასოვნად ვერ ვარჯიშობდა. მარსელმა ვერც კამერუნთან ითამაშა და იოგიც მიხვდა, რომ მისი ბრაზილიაში წაყვანა ზედმეტად სარისკო იყო. ჰოფენჰაიმელ კევინ ფოლანდს კი იმედი ჰქონდა, რომ ლიოვი ბრაზილიაში თუნდაც მარტო იმიტომ წაიყვანდა, რომ **მიროსლავ კლოზეს** შემდეგ ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც კლასიკური ცენტრფორვარდი ეთქმის, მაგრამ იოგიმ ფოლანდიც საბოლოო სიის მიღმა დატოვა. გამოდის, რომ ლიოვს მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი კლასიკური ცენტრალური თავდამსხმელი მიჰყავს, მაგრამ საქმე ისაა, რომ საჭიროების შემთხვევაში ცენტრფორვარდის პოზიციაზე **თომას მიულერს**, **მარკო როისს** და **მარიო გიოტცესაც** შეუძლიათ თამაში.

დურმს და კრამერს გაუმართლათ

როცა ლიოვმა გაფართოებული შემადგენლობა გამოაქვეყნა, ნებისმიერი გერმანელი ექსპერტი გეტყოდათ, რომ ერიკ დურმს, კრისტოფ კრამერს და **მათიას გინტერს** ბრაზილიაში გამგზავრების მცირე შანსი ჰქონდათ, მაგრამ მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. დურმს იმაში გაუმართლა, რომ შმელცერი დაშავდა, კრამერის იღბალი კი ისაა, რომ **ილქაი გიუნდოგანის** შემდეგ, **ლარს ბენდერიც** დაშავდა და იოგი ფაქტობრივად იძულებული გახდა, რომ თავი დაეზღვია და მუნდიალზე კრამერის სახით კიდევ ერთი საყრდენი ნახევარმცველი ნაეყვანა. თანაც, ამ უკანასკნელმა შეკრებაზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. აღსანიშნავია, რომ კრამერი თავიდან გაფართოებულ სიაშიც კი არ იყო და ლიოვმა მხოლოდ ლარს ბენდერის დაშავების შემდეგ გამოიძახა. აი, ასე მოულოდნელად შეახტა მიონხენგლადბახელი ბრაზილიაში მიმავალ მატარებელს. თითქმის იგივე ეხება ფრაიბურგელ გინტერსაც, რომელიც ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მცველია.

„თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობებში 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული და მჯერა, რომ ბრაზილიაში საუკეთესო შემადგენლობა მიმყავს. ვფიქრობ, რომ გამოცდილი და ახალგაზრდა მოთამაშეების იდეალური სინთეზი გვაქვს. თითოეულ პოზიციაზე ორი კარგი მოთამაშე მყავს. ამ შემადგენლობით ბრაზილიაში აბსოლუტურად თავდაჯერებულები წავალთ," - ესეც ლიოვის სიტყვებია.

გერმანიის ნაკრების განაცხადი მსოფლიოს ჩემპიონატზე

ფეხბურთელი (ასაკი)	კლუბი	თამაში/გოლი
მეკარეები		
1. მანუელ ნოიერი (28)	ბაიერნი	45/0
12. რონ-რობერტ ცილერი (25)	ჰანოვერი	3/0
22. რომან ვაიდენფელერი (33)	დორტმუნდი	2/0
მცველები		
2. კევინ გროსკროიტცი (25)	დორტმუნდი	4/0
3. მათიას გინტერი (20)	ფრაიბურგი	2/0
4. ბენედიქტ ჰოვედესი (26)	შალკე	20/1
5. მატს ჰუმელსი (25)	დორტმუნდი	29/2
15. ერიკ დურმი (22)	დორტმუნდი	1/0
16. ფილიპ ლამი (30)	ბაიერნი	105/5
17. პერ მერტეზაკერი (29)	არსენალი	97/4
20. ჟერომ ბოატენგი (25)	ბაიერნი	38/0
ნახევარმცველები		
6. სამი ხედირა (27)	რეალი	45/4
7. ბასტიან შვაინშტაიგერი (29)	ბაიერნი	101/23
8. მესუთ იოზილი (25)	არსენალი	54/17
9. ანდრე შიურლე (23)	ჩელსი	32/12
10. ლუკას პოდოლსკი (28)	არსენალი	113/46
13. თომას მიულერი (24)	ბაიერნი	48/17
14. იულიან დრაქსლერი (20)	შალკე	11/1
18. ტონი კროოსი (24)	ბაიერნი	43/5
19. მარიო გიოტცე (21)	ბაიერნი	28/7
21. მარკო როისი (25)	დორტმუნდი	20/7
23. კრისტოფ კრამერი (23)	გლადბახი	2/0
თავდამსხმელი		
11. მიროსლავ კლოზე (35)	ლაციო	131/68

● რუსეთის ნაკრები

რუსეთის ნაკრები ლეგიონერების გარეშე

კაპელომ პოგრებნიაკიც სახლში დატოვა

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რუსეთის ნაკრების საბოლოო შემადგენლობაც ცნობილია. რუსთა იტალიელმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** 23-კაციანი სია გამოაქვეყნა და ბევრისთვის მოულოდნელად ბრაზილიაში **პაველ პოგრებნიაკი** არ მიჰყავს. თავდამსხმელს, რომელიც დღეისათვის ინგლისის მეორელიგელ „რედინგში" თამაშობს, იმედი ჰქონდა, რომ „დონ ფაბიო" მუნდიალზე წაიყვანდა, მაგრამ კაპელოს სიაში მისი ადგილი არ აღმოჩნდა. ზოგადად, საინტერესო ის არის, რომ ფაბიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები მიჰყავს. თუმცა აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ რუსებს მართლა კარგი ლეგიონერები ნამდვილად არ ჰყავთ...

ამრიგად, კაპელოს გუნდი ძირითადად მოსკოვის „დინამოს" (6), სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" (6) და მოსკოვის ცსკა-ს (5) ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ნაკრები ჯგუფში სამხრეთ კორეასთან, ბელგიასთან და ალჟირთან ერთად ითამაშებს.

კაპელოს საბოლოო შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

მეკარეები: *იგორ აკინფეევი, იური ლოდიგინი, სერგეი რიჟიკოვი.*

მცველები: *ვასილი ბერეზუცკი, ვლადიმირ გრანატი, სერგეი იგნაშევიჩი, დმიტრი კომბაროვი, ალეკსეი კოზლოვი, ანდრეი სემენოვი, გეორგი შჩენიკოვი, ანდრეი იაშჩენკო.*

ნახევარმცველები: *იგორ დენისოვი, ალან ძაგოევი, ვიკტორ ფაიზულინი, დენის გლუშაკოვი, ალექსანდრ სამედოვი, ოლეგ შატოვი, რომან შიროკოვი, იური ჟირკოვი.*

თავდამსხმელები: ალეკსეი იონოვი, მაქსიმ კანუნიკოვი, ალექსანდრ კერჟაკოვი, ალექსანდრ კოკორინი.

23 კაცი კაპელომაც ჩამოთვალა, კანუნიკოვი სიაშია

● ამხანაგური მატჩი

ამერიკელთაგან ანგარიში ფაბიან ჯონსონმა გახსნა

კლინსიმ თურქეთს მოუგო

აშშ-თურქეთი 2:1

გოლები: 1:0 ჯონსონი (26), 2:0 დემპსი (52), 2:1 ინანი (90-პენ)

აშშ (4-4-2): ჰოვარდი - ჯონსონი (63. იედლინი), კამერონი, ბესლერი (46. ბრუკსი), ჩენდლერი - ზუსი (69. დისკერუდი), ჯონსი (46. ბეკერმანი), ბრედლი, დევისი (63. გრინი) - ალტიდორი, დემპსი.

აშშ-ის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მოსამზადებელი პერიოდის მეორე ტესტ-მატჩიც მოიგო. **იურგენ კლინსმანის** შეგირდებმა ამჯერად თურქეთის ნაკრები დაამარცხეს (2:1). მატჩში, რომელიც ნიუ ჯერსიში გაიმართა, ანგარიში 26 წლის **ფაბიან ჯონსონმა** გახსნა, რომელსაც აშშ-ის ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდა და როგორც ხედავთ, პირველივე შეხვედრაში გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში კლინსის შეგირდებმა სხვაობა ორამდე გაზარდეს: ამჯერად **კლინტ დემპსიმ** იხეირა. თურქებმა ერთადერთი გოლის გატანა ბოლო წუთებზე მოახერხეს - **სელჩუკ ინანმა** პენალტით იხეირა.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

ინტერს ჯაკა მოუნდა!

მილანელები გლადბახს 5 მილიონს და კუჟმანოვიჩს სთავაზობენ

გერმანული და იტალიური მედიის ინფორმაციით, მილანის „ინტერს" მიონხენგლადბახის „ბორუსიას" შვეიცარიელი ნახევარმცველის, **გრანიტ ჯაკას** გადაბირება უნდა. „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, მილანურმა კლუბმა გერმანულ გუნდს უკვე პირველი წინადადებით მიმართა: „ინტერი" მზადაა, 21 წლის ჯაკას სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო გადაიხადოს და თან „გლადბახს" 26 წლის სერბი საყრდენი ნახევარმცველი **ზდრავკო კუჟმანოვიჩიც** დაუთმოს.

ცნობისათვის, კუჟმანოვიჩი ადრე „შტუტგარტში" თამაშობდა და ბუნდესლიგის 127 მატჩში 22 გოლით და 14 საგოლე პასითაც გამოირჩა, მაგრამ 2012/2013 წლების სეზონში კრიზისი დაეწყო და შტუტგარტელებმა იტალიაში 1.2 მილიონ ევროდ გაყიდეს. „გლადბახისთვის" ეს უკანასკნელი საინტერესო ფეხბურთელია, „ბორუსიას" თავკაცი ლუსიენ ფავრი კუჟმანოვიჩს კარგად იცნობს და დიდია იმის შანსი, რომ „გლადბახი" ამ გარიგებას დათანხმდეს.

გრანიტ ჯაკა შეიძლება მილანის ინტერში აღმოჩნდეს

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● მუნდიალი 2014. იტალიის ნაკრები

ანტონიო კასანოს 10 ნომერი ერგო, მარიო ბალოტელის - 9

სკუადრა აძურა დაინოგრა

ბალოტელის კუნთი აწუხებს

ჩეზარე პრანდელიმ 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა და ბუნებრივია, ეს ამბავი იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ყველაზე აქტუალურია. სანამ უახლეს ცნობებს გადავავლებთ თვალს, ისიც ვთქვათ, რომ „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელებმა ნომრები ჩამოირიგეს...

მეკარეები: 1. **ჯანლუიჯი ბუფონი**, 12. **სალვატორე სირიგუ**, 13. **მატია პერინი**.

მცველები: 2. **მატია დე შილიო**, 3. **ჯორჯო კიელინი**, 4. **მატეო დარმიანი**, 7. **ინაციო აბატე**, 15. **ანდრეა ბარცალი**, 19. **ლეონარდო ბონუჩი**, 20. **გაბრიელ პალეტა**.

ნახევარმცველები: 5. **ტიაგო მოტა**, 6. **ანტონიო კანდრევა**, 8. **კლაუდიო მარკიზიო**, 14. **ალბერტო აკვილანი**, 16. **დანიელე დე როსი**, 18. **მარკო პაროლო**, 21. **ანდრეა პირლო**, 23. **მარკო ვერატი**.

თავდამსხმელები: 9. **მარიო ბალოტელი**, 10. **ანტონიო კასანო**, 11. **ალესიო ჩერჩი**, 17. **ჩირო იმობილე**, 22. **ლორენცო ინსინიე**.

ალშფოთებული როსი

იტალიელ სპორტულ ჟურნალისტთა მტკიცებით, მუნდიალს მიღმა დარჩენამ **ჯუზეპე როსი** არა მარტო დაამწუხრა, აღაშფოთა კიდეც. „კოვერჩიანოს“ საწვრთნელი ბაზის დატოვების დღეს, „ფიორენტინას“ ფორვარდი საშინელ ხასიათზე იყო, ჟურნალისტებს კი შემდეგი განუცხადა:

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რომ ბრაზილიაში წასვლა არ მიწევს. ცუდ ფიზიკურ ფორმაში ვარ? - ეს სრული სისულელეა და ჩემს სიტყვებზე პასუხს ვაგებ. შეგიძლიათ გაეცნოთ ფიზიკური წვრთნების ბოლო შედეგებს და ნახავთ, რომ არავის ჩამოვუარდები. ამბობენ, რომ ტრავმის შიში მაქვს და თამამად ვერ ვთამაშობ? - ამაზე დიდი სისულელე არასდროს მომისმენია. არც კაცის მოტყუებას ვერიდები და არც ბრძოლაში შესვლას, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ბევრმა ვერ დაინახა“.

ბალოტელის კუნთი აწუხებს

მარიო ბალოტელის ვარჯიშებზე ბოლომდე არ ტვირთავენ, რისი მიზეზიც კუნთის ტრავმაა. სუპერმარიოს ტკივილები აწუხებს და შესაძლოა, რამდენიმე დღით საერთოდ მოხსნან წვრთნებიდან. ექიმების მიზანია, რომ ბალოტელი 14 ივნისისთვის სრულ მზადყოფნაში იყოს, როდესაც იტალიის ნაკრები მუნდიალის პირველ შეხვედრაში ინგლისს დაუპირისპირდება. თავად ფორვარდი ოპტიმიზმს არ კარგავს:

„მცირე ტკივილები მაწუხებს, მაგრამ, როგორც ექიმები მეუბნებიან, საგანგაშო არაფერია. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებას, წესით, მზადყოფნაში უნდა შევხვდე, იქამდე კი ვარჯიშებზე სრული დატვირთვისგან თავს ვიკავებ. იტალიის ნაკრები ტრავმებმა ისედაც დაზარალა და ჯობია, აღარ გავრისკოთ“.

რომულოს უცნაური კომენტარი

იტალიის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდა „ვერონას“ ნახევარმცველი **რომულო სოუზა**, რომელსაც 23-კაციან განაცხადშიც უწინასწარმეტყველებდნენ მოხვედრას. ყველა პროგნოზით, რომულოს მუნდიალზე უნდა ეთამაშა, მაგრამ მოულოდნელად განაცხადს მიღმა დარჩა. ამ თემაზე სოუზამ ერთობ უცნაური განცხადება გააკეთა:

„ჩემი ბრაზილიაში გამგზავრება გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლო მომენტში, მე თვითონ შევიკავე თავი. საქმე ისაა, რომ ფიზიკურად მზად არ ვარ და მუნდიალზე შესაძლებლობის 70%-საც ვერ გამოვავლენდი. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალე, რომ ადგილი გაცილებით უფრო მომზადებული ფეხბურთელისთვის დამეთმო. არ იქნებოდა სწორი, რომ ბრაზილიაში წავსულიყავი და იქ გუნდი დამეღალატებინა“.

ამ თემაზე კომენტარი ჩეზარე პრანდელისაც ჰკითხეს, რომელმაც ეშმაკურად გაიღიმა და ჟურნალისტს სიტყვა სხვა თემაზე გადაუტანა. „კორიერე დელო სპორტს“ თავისი ვერსია აქვს, რომლის მიხედვითაც ბრაზილიელი რომულო სოუზა „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელებმა არცთუ თბილად მიიღეს, არაკომფორტულ ვითარებაში ჩავარდნილმა ფეხბურთელმა კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებისგან თავი შეიკავა.

ლაშა ნიკლაური

● ამბები

ჰიონესი ციხეში ჩასვეს

„ბაიერნის“ ყოფილი პრეზიდენტი **ული ჰიონესი** გუშინ ციხეში ჩასვეს. ეს ინფორმაცია ჰიონესის ადვოკატებმა ოფიციალურად დაადასტურეს. ამრიგად, ულიმ ციხეს განაჩენის გამოტანიდან 81 დღის შემდეგ მიაშურა და შეგახსენებთ, რომ ციხეში 3 წელი და 6 თვე უნდა გაატაროს. გარდა ამისა, ულის ფულადი ჯარიმაც დაეკისრა: 28.5 მილიონი ევროს ოდენობით. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ჰიონესს ასეთი უმკაცრესი განაჩენი გადასახადების დამალვის გამო გამოუტანეს.

შტუტგარტმა ჰლუსეკი გადაიბირა

„შტუტგარტმა“ **ფლორიან კლაინის** შემდეგ მომავალი სეზონისთვის კიდევ ერთი ახალწვეული გაიფორმა: შვაბებმა მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი „ნიურნბერგიდან“ **ადამ ჰლუსეკი** გადაიბირეს, რომელმაც „შტუტგარტთან“ კონტრაქტი 2018 წლამდე გააფორმა.

ჰასებე აინტრახტში

სწორედ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „ნიურნბერგიდან“ დაიმატა ახალი ფეხბურთელი ფრანკფურტის „აინტრახტმაც“: საუბარია იაპონელ ნახევარმცველ **მაკოტო ჰასებეზე**, რომლის ტრანსფერი კლუბებმა გუშინ ნაშუადღევს დაადასტურეს. ჰასებემ ფრანკფურტელებთან კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმა.

კოლაროვი ბაიერნში?

თუ იტალიურ მედიას, კერძოდ კი „სკაი იტალიას“ დავუჯერებთ, მიუნხენის „ბაიერნს“ **ალეკსანდარ კოლაროვის** გადაბირება უნდა. მარცხენა მცველი ახლა „მანჩესტერ სიტიში“ ირჯება და გასულ სეზონში ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად **გაელ კლიშისთან** უწევდა ბრძოლა, რის გამოც კლუბის გამოცვლითაა დაინტერესებული. კოლაროვს „სიტისთან“ კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

გოტფრიდ ლენცი

● მუნდიალი 2014. ბელგიის ნაკრები

გაააჩერეთ ლუკაკუ!

შვედეთი–ბელგია 0:2

გოლები: 0:1 ლუკაკუ (34), 0:2 აზარი (78)

ბელგია (4-3-3): კურტუა - ალდერვეირელდი, ვან ბუიტენი, კომპანი, ვერმალენი - ვიტსელი, დე ბრუინი, დემბელე - მერტენსი (68. ჩადლი), ლუკაკუ (74. ორიჟი), აზარი (79. ფელაინი)

მარკ ვილმოტსმა სოლნაში ის გუნდი გამოიყვანა, რომელსაც დაეყრდნობა კიდევაც მომავალ მუნდიალზე. ამ 14 ფეხბურთელს პლუს **მირალასი, ვერტონგენი** და **იანუზაი,** მივიღებთ შესანიშნავ ნაკრებს. მოკლედ, მუნდიალამდე კიდევ ერთხელ მოგვიწევს ბელგიის ნაკრების შექება, რადგან ეს გუნდი ახლა შვედეთის ნაკრებს გაუმკლავდა მისსავე მოედანზე - 2:0.

სკანდინავთა შემადგენლობა ამჯერად მეორეხარისხოვანია, რადგან შვედეთის ნაკრები მუნდიალზე ვერ მიდის. ვიტყვით, რომ მათი მთავარი ვარსკვლავი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მოედანზე არ გასულა.

ბელგიის ნაკრები მეტოქეს შეცდომებს არ პატიობს - ამიტომაც, როცა 34-ე წუთზე მასპინძელთა მცველებმა ბურთი დაკარგეს, **აქსელ ვიტსელმა** უცბად მოძებნა საჯარიმოს მისადგომებთან მყოფი **რომელუ ლუკაკუ**. 21 წლის ფორვარდმაც შესანიშნავად გაისროლა და ლუქსემბურგთან ჰეთთრიკს კიდევ ერთი გოლი მიაყოლა, ეს მისი მე-9 გოლია ეროვნული ნაკრების მაისურით.

78-ე წუთზე **ედენ აზარი** მარცხნიდან შეიჭრა მეტოქის ნახევარზე, **კევინ დე ბრუინთან** კედელი გაითამაშა და ანგარიში 2:0 გახადა. 23 წლის ნახევარმცველმა ნაკრებში მე-6 გოლი გაიტანა.

„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მომენტებში ვაჩვენეთ სათამაშო კლასი. აგრეთვე ის, რომ ყველანი ჯანზე ვართ და მოუთმენლად ველით მუნდიალს. მზადება დიდებულად მიმდინარეობს, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ძალიან ვინდომებთ“, - ეს გუნდის კაპიტნის, **ვენსან კომპანის** სიტყვებია.

„ძალიან ბედნიერი ვარ. ჩვენ ახლა მძიმე შრომით მოწეულ ნაყოფს ვიღებთ. ვარჯიშებზე იმდენი ვიმუშავეთ, რომ მუნდიალისთვის საკუთარი ძალებისა ბოლომდე ვირწმუნეთ. რაც შეეხება ჩემს სათამაშო ფორმას, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და ახლა ბევრი რამ ჩემზე იქნება დამოკიდებული, როგორ გამოვავლენ თავს მუნდიალზე“, - განაცხადა ლუკაკუმ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რომელუ ლუკაკუ (მარცხნივ) ბრწყინვალე ფორმაშია

ძიუდო

რეიტინგებში ისევ ვლიდერობთ

ავთანდილ ჭრიკიშვილი

ბაქოს "გრან პრის" დასრულების შემდეგ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც ჩვენებურთა მდგომარეობა კვლავაც მყარია. მართალია, ორ წონაში – 66-სა და 100-ში კვლავაც მძიმე ვითარება გვაქვს, ოდნავ უკან დავიწიეთ მძიმეშიც, მაგრამ ორ კატეგორიაში – 81-სა და 90-ში ისევ ლიდერებად ვრჩებით. თან, ამ წონებში უკვე ახალგაზრდებმაც სერიოზული ნაბიჯი გადადგეს განთესილთა ოქტეტისკენ.

60 კგ.

აქ ევროპის ჩემპიონი **ამირან პაპინაშვილი** კვლავაც მეორე ადგილზე რჩება 1 900 ქულით და ისევ ჩამორჩება 2200-იან იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ **ნაოჰისა ტაკატოს**. ჩვენებურს რუსთა ევროპის ორგზის ყაბარდოელი ჩემპიონი **ბესლან მუდრანოვი** მოსდევს 1 626-ით, ხუთეულში კი ბოლო ორი ადგილით მონღოლები შედიან - **ბოლდბაატარ განბატი** 1 516 ქულით და მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ამარტუვშინ დაშდავაა** 1 428-ით.

სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონი **ლუხუმ ჩხვიმიანი** უცხოეთში ჯერ ვერ აჩვენებს იმ დონის ჭიდაობას, ქვეყნის გამარჯვებულს რომ ეკადრება და 278 ქულით 44-ეა. რეიტინგში ჩვენგან მესამე აზერბაიჯანში გადასული ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბეთქილ შუკვანია** – 265 სარეიტინგო ქულა და 48-ე ადგილი. სხვათა შორის, ბოლო ხანებში ვრცელდება ხმები, რომ მას უკან დაბრუნება სურს. მას შემდეგ, რაც ის აზერბაიჯანელებმა ბაქოს "გრან პრიზე" გაფართოებულ – ოთხკაციან შემადგენლობაშიც არ დააყენეს, ჩანს, მისი პოზიციები იქ არც ისე მყარია და დაბრუნების სურვილი რეალურიცაა. მით უფრო, აზერბაიჯანის ნაკრებიდან შუკვანის მფარველი და იქ გადამყვანი ავსტრიელი **პეტერ ზაიზენბახერიც** გაუშვეს (აღსანიშნავია, რომ ის კლუბ „საგარეჯოს" სამწვრთნელო შტაბში იქნება), თუმცა ვიმეორებთ – ეს ინფორმაცია მოარულ ხმებს ეყრდნობა, ჯერჯერობით კი ვერავინ დაგვიდასტურა.

66 კგ.

სულ რაღაც ორი წლის წინ ამ წონაში ოლიმპიური ჩემპიონი გვყავდა, ერთი სეზონის შემდეგ ამას ევროპის ჩემპიონის ტიტულიც დაემატა, დღეს კი ყველაზე მწვავე საკადრო კრიზისი გვაქვს. ეს კიდევ ერთი მაგალითი, რაოდენ მნიშვნელოვანია რეზერვთან მუშაობა, 2-3 შემადგენლობის მომზადება, რაზეც სახელმწიფომ თანხები არ უნდა დაიშუროს. არადა, დღეს ხშირად ვაწყდებით ფინანსების გაუმართლებელ ეკონომიას.

ჯერჯერობით ამ წონაში ჩვენგან საუკეთესო რეიტინგი კვლავაც ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონ **ლაშა შავდათუაშვილს** აქვს, რომელიც უკვე 73-ში ჭიდაობს. მის ანგარიშზე 712 ქულაა, რაც მე-19 ადგილია. ამ წონის „მოქმედ" ქართველთაგან საუკეთესო **შალვა ქარდავაა** – 335 ქულა და 37-ე ადგილი. **ტრისტან ფეიქრიშვილი** 231-ით 52-ეა, სხვები კი ასეულშიც ვერ შედიან.

ვალერი ლიპარტელიანი

73 კგ.

ევროპის შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა **ნუგზარ ტატალაშვილმა** წლეულს გააუარესა შარშანდელი შედეგი – მეხუთეზე გავიდა, რამაც რეიტინგში ორი ადგილით დააქვეითა. მას იმდენივე ქულა დაურჩა – 718, რაც წინა რეიტინგისას ჰქონდა, მაგრამ სხვებმა გადაუსწრეს და ჩვენებურიც მე-18-ზე გადავიდა. **ზებედა რეხვიაშვილის** მაჩვენებელი უცვლელია – ისევ 642 ქულა და მე-20 ადგილი. შავდათუაშვილი 244-ით 48-ეა.

81 კგ.

ევროპის ორგზის გამარჯვებული და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი მყარად ლიდერობს სიას 2 666 ქულით. მეორეზე მისი მთავარი კონკურენტი, ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის წლევანდელი ფინალისტი **ლოის პიეტრია** 1988-ით, მესამეზე – ბრაზილიელი **ვიქტორ პენალბერი** 1 434-ით. ხუთეულში შედიან ამერიკელი **ტრევის სტევენსი** (1 392) და ლონდონის ოლიმპიადაზე ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მისი მომგები კანადელი ოლიმპიური პრიზიორი **ანტოინ ვალოის-ფორტიერი** (1128). ბაქოში ვერცხლის მოპოვების შემდეგ მე-17 ადგილამდე ამაღლდა **უშანგი მარგიანი**, რომელსაც 588 ქულა გაუხდა. ევროპის პრიზიორი **ლევან წიკლაური** 502-ით 21-ეა.

90 კგ.

კიდევ ერთი „ქართული" წონა, რომელსაც ევროპის ასევე ორგზის გამარჯვებული და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **ვალერი ლიპარტელიანი** ლიდერობს 2 286 ქულით. მეორეზე კვლავაც კუბელი მსოფლიოს ჩემპიონი **ეშლი გონსალესია** 1 930-ით, მესამეზე – გაბერძნებული ქართველი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ილიას ილიადისი** 1 371-ით, მეოთხეზე – რუსი ევროპის ჩემპიონი **კირილ დენისოვი** 1 238-ით, ხუთეულს კი 1 088 ქულით კორეელი მსოფლიოს ჩემპიონი **კიუ-ვონ ლეე** ხურავს. ერთი ადგილით უკან დაიწია **ზვიად გოგოჭურმა** – 897-ით მერვეა. მეოცემდე ავიდა 613 ქულით **ბექა ღვინიაშვილი**.

100 კგ.

ყველაზე ცუდი ვითარება ამ წონაში გვაქვს. ჩვენგან საუკეთესო სპორტიდან წასული **ლევან ჟორჟოლიანია** და ისიც 49-ეა, მოქმედთაგან კი საუკეთესო **იოსებ მსხალაძეა** – 157 ქულა და 58-ე პოზიცია. **დავით ლორიაშვილი** 139-ით 64-ეა, **გურამ თუშიშვილი** 113-ით – 77-ე.

+100 კგ.

ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონმა **ადამ ოქრუაშვილმა** ორი საფეხურით უკან დაიხია და მეოთხეა 1 832 ქულით. წინა რეიტინგის შემდეგ მას გადაუსწრეს ევროპისა და აფრიკის ჩემპიონებმა, შესაბამისად, ფრანგმა მსოფლიოს ექვსგზის, ევროპის ოთხგზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ტედი რინერიმ** (2 100) და ტუნისელმა მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანმა **ფაიცელ ჯაბალამ** (1 836), რეიტინგს კი კვლავაც ბრაზილიელი მსოფლიოს ვერცხლის და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **რაფაელ სილვა** ლიდერობს 2 110 ქულით. მეხუთეზეც ბრაზილიელია – 1 226-იანი **დავიდ მოურა**. წინა რეიტინგის შემდეგ ერთი ადგილით წინ წაინია **ლევან მატიაშვილმა** – 678 ქულა და მე-14 ადგილი.

ქალთა რეიტინგი

ქალთა რეიტინგში ჩვენთვის არსებითად არაფერი შეცვლილა ესტერ სტამის (70) მადრიდში მოპოვებული 100 ქულის გარდა. ამით ის ორმოცდაათეულში შევიდა, დანარჩენები კი ჯერჯერობით მოწინავეთა შორის არ არიან. სიებში კვლავაც 8 ჩვენებური რჩება - **სალომე აბაშიძე, მარიამ ციხელაშვილი** (ორივე - 57), **შორენა შარაძე, ნინო მარტიაშვილი** (63), **ესტერ სტამი** (70), **ნინო ოძელაშვილი** (78), **ელენე ქებაძე, ირინე ლეონიძე** (+78).

ირაკლი თავაძე



საქართველოს სპორტის უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 68 წლისა გარდაიცვალა ამავე უნივერსიტეტის ჭიდაობის კათედრის პროფესორი, ძიუდოისტთა თაობების აღმზრდელი, ქალთა ნაკრების პირველი მთავარი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოსა და სამბოში, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი

ნუგზარ გოგოლაური

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 03. 06. თბილისში — თამარაშვილის შესახვევი 12-ა (ყოფილი „მანეჟის" უკან); 04. 06 — სოფ. მანავში (საგარეჯო). დაკრძალვა 5.06 სოფ. მანავში 14 სათზე.

თარიღები

ივნისი

03. 1928. დაიბადა **სერგო გაბარაევი** — თ\ჭიდაობა

04. 1976. დაიბადა **აქვსენტი გიორგაძე** — რაგბი

05. 1954. დაიბადა **ბესიკ ლილუაშვილი** — რაგბი

05. 1961. დაიბადა **ლიანა ცოტაძე** — წყალხტომა

06. 1973. დაიბადა **გიორგი ქინქლაძე** — ფეხბურთი

07. 1911-1978 დაიბადა ალექსანდრე დოროხოვი — ფეხბურთი

07. 1936. დაიბადა **ზურაბ ჯავახაძე** — სპორტის ისტორიის მკვლევარი

07. 1939. დაიბადა **ანზორ ექსეულიძე** — ხელბურთი. გარდაიცვალა 2001 წელს

07. 1948. დაიბადა **თემურ ბენდიაშვილი** — რაგბი

07. 1982. დაიბადა **კობა კაკალაძე** — თ\ჭიდაობა

08. 1958. დაიბადა **ზურაბ სტურუა** — ჭადრაკი

ხელბურთი

მედლებისთვის ექვსეული იბრძვის

შარშან 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა 17 გუნდი ჩაება საქართველოს პირველობაში. ორი ეტაპის შემდეგ გამოვლინდა ის ექვსეული, რომელიც სამივე სინჯის მედლებისთვის იბრძოლებს. ოღონდ ფინალურ ეტაპზე ყველაფერი თავიდან იწყება, ანუ წინა ტურებში მოგროვებული ქულები გუნდებს გადამწყვეტ რაუნდში არ გადმოჰყვებათ.

სასპორტო კომპლექს "არენაში" გუშინ ჯილდოებისთვის პაექრობა დაიწყო. ასპარეზობის პირველი დღე ფავორიტებმა მოგებით აღნიშნეს: "ქარიშხალამ" იოლად სძლია "ფოთს" - 35:19, ხოლო "პეგასმა" დაძაბულ ბრძოლაში აჯობა "იმედს" - 34:30.

მესამე მატჩში გორელები შეხვედრის დასრულებამდე ათიოდე წუთით ადრე 3 ბურთით აგებდნენ პაექრობას "მამულთან", მაგრამ ბოლო წუთებში გამარჯვება ხელიდან გამოგლიჯეს მეტოქეს - 30:29.

პეგასი – იმედი 34:30

პეგასი: ზურაბიშვილი, მჭედლიძე, ნაზღაიძე- 8, ზარნაძე- 8, გაწერელია- 7, მაისურაძე- 5, გოგავა- 4, ცხოვრებაძე- 2, ტლაპიაშვილი, კალანდაძე, ხვადაგიანი, ბაბუციძე, კაჭკაჭაშვილი, გოგოლაძე, მამაგეიშვილი,

იმედი: ხარაიშვილი, როკაშვილი, კაპანაძე - რუსტამოვი 9, იობაშვილი 6, ბაინაზიშვილი 3, მიქავა 3, დვალიძე 3, მღებრიშვილი 2, თურქაძე 2, ჰუსეინოვი 1, საძაგლიშვილი 1, მელაშვილი, ჯაბანაშვილი, კვირკველია, ხარძიანი.

ქარიშხალა – ფოთი 35:19

ქარიშხალა: ხანდოლიშვილი, ფარესიშვილი, კბილაშვილი- 9, ბუღბუღაშვილი- 6, არსენაშვილი- 5, მამულაშვილი- 5, ფერაძე- 4, გოგუა- 3, კვირკველია- 3, ჭინჭარაძე, წიკლაური, ფხაკაძე, აროშიძე.

ფოთი: ზარგინავა, ჯანელიძე, ბიბილეიშვილი- 11, მიქაძე- 3, გურეშიძე- 3, გვასალია- 1, მიქაია- 1, ბაჯალაძე, ბერაია, ჯიქია, შარტავა, დიდია, ლორთქიფანიძე.

გაჯელი – გორი 29:30

მამული: დავითაშვილი, წულიაშვილი, შევჩენკო- 14, სხვიტარიძე- 6, კორაშვილი- 5, ბსმაილოვი- 3, თოდუა- 1, ტალახაძე, სამადაშვილი, არუთინოვი, კელაპტრიშვილი, სექანია, ძაგანია.

გორი: ვათიაშვილი, ჯაფარიძე, დალაქიშვილი- 7, ნიაზაშვილი- 6, ტარუაშვილი-6, მჭედლიშვილი-5, მურადაშვილი-3, ქესანაშვილი- 3, ტიელიძე, ბეთლემიშვილი, სამნიაშვილი, ღვინიაშვილი, თომაშვილი, გოზალიშვილი, გახოკიძე, ყანჩაველი.

მსაჯები: ელენე არაბული-ინა ჭკუასელი, გია წივწივაძე-გიორგი სამყურაშვილი.

3 ივნისი. "ფოთი" - "მამული", "გორი" - "პეგასი", "იმედი" - "ქარიშხალა".

4 ივნისი. "იმედი" - "გორი", "პეგასი" - "ფოთი", "ქარიშხალა" - "მამული".

5 ივნისი. "ფოთი" - "იმედი", "ქარიშხალა" - "გორი", "მამული" - "პეგასი".

6 ივნისი. "გორი" - "ფოთი", "მამული" - "იმედი", "პეგასი" - "ქარიშხალა".

ვაჟა დანელია

რეგიონი

გორელებმა ყველას აჯობეს

რუსთავის, გორის, ქუთაისის, წყალტუბოსა და ბათუმის სასპორტო სკოლის (2) ჭაბუკ ხელბურთელთა გუნდები მონაწილეობდნენ აჭარის დედაქალაქში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის - **ბენო ფირცხალაიშვილის** პირველ მემორიალში (მთავარი მსაჯი **შოთა წიტაიშვილი**), რომელიც ბათუმის სასპორტო სკოლის თანადგომით გაიმართა. განსაკუთრებით გორელებმა იყოჩაღეს - ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგეს და 10 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. გამარჯვებულებს ორი ქულით ჩამორჩნენ რუსთაველი ხელბურთელები, რომლებსაც მეორე ადგილი ერგოთ. 6 ქულით მესამე ადგილი ქუთაისელებმა დაიკავეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და თასებით დაჯილდოვდნენ.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

ისევ ინდოეთში

ამას წინათ ქართველმა დიდოსტატებმა - მერაბ გაგუნაშვილმა, ლუკა პაიჭაძემ, ლევან ფანცულაიმ და მიხეილ მჭედლიშვილმა ინდურ ბუბანეშვარში წარმატებით იასპარეზეს საჭადრაკო ფესტივალში. ისინი ისევ ინდოეთში არიან. ამჯერად მუმბაის ტურნირში ჩაებნენ. შეჯიბრებაში 19 ქვეყნის 170 წარმომადგენელი (მათ შორის - 22 დიდოსტატი) მონაწილეობს. რეიტინგფავორიტია მჭედლიშვილი, რომელმაც გუშინ სტარტზე სივა მაჰადევანი დაამარცხა. გამარჯვება იზეიმეს სხვა ჩვენებურებმაც: ფანცულაიამ აბჩიჩეკი დაჯაბნა, გაგუნაშვილმა რედი ჩაკრავარტს მოუგო, პაიჭაძემ კი დეეპაკს გაარჩერებინა საათი.

ტურნირის გამარჯვებულს 10 ტური გამოავლენს.

ვაჟა დანელია

ფარიკაობა

კვარცხლბეკზე ნაცნობი სახეები სანაკრებო პერსპექტივებით

თბილისის, რუსთავის, ზესტაფონის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთისა და ოზურგეთის ასამდე მოფარიკავე მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც დედაქალაქის ფარიკაობის დარბაზში გაიმართა. კვარცხლბეკზე, ფაქტობრივად, ნაცნობი სახეები, ანუ ფავორიტები ვიხილეთ. ასპარეზობის პირველ დღეს სარბიელი მოხმალავეებს დაეთმო. ვაჟებში ისევ ქუთაისელმა ძმებმა ბაზაძეებმა იყოჩაღეს: 18-წლამდელებში ევროპის ჩემპიონმა სანდრო ბაზაძემ ნახევარფინალში ლაშა ლოლუა (აფხაზეთი) დაამარცხა – 15:7. უფროსმა ძმამ – ბექამ, რომელიც 23-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორია, თბილისელ ლუკა ობოლაძეს დააყრევინა ფარ-ხმალი – 15:8. ფინალურ პაექრობაში სანდრომ გაიმარჯვა – 15:13.

ქალებში ქრისტინე ნოზაძე (თბილისი) ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე: ნახევარფინალში მან თანაქალაქელი ელენე ნანობაშვილს აჯობა 15:10, ფინალში კი ანა აფრასიძის (თბილისი) მძლეველ (15:7) მარი ფხაკაძეს (ქუთაისი) მოუგო ერთი ჩხვლეტით – 15:14.

რაპირა. ნახევარფინალები. ვაჟები. ლუკა ღაღანიძე (თბილისი)-გიორგი გელაშვილი (თბილისი) 15:3, სანდრო სიხარულიძე (თბილისი)-არჩილ უგულავა (აჭარა) 14:15; **ქალები.** თეონა გოგლიძე (თბილისი)-ნუცა იაგორაშვილი (თბილისი) 15:5, თინა ბოლქვაძე (აჭარა)-მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი) 6:15; **ფინალები. ვაჟები.** ღაღანიძე-უგულავა 9:15, **ქალები.** გოგლიძე-ცუხიშვილი 15:13.

დაშნა. ნახევარფინალები. ვაჟები. დავით არველაძე (ქუთაისი)-ნიკოლოზ ზურაბიშვილი (თბილისი) 15:10, დავით ელბაქიძე (თბილისი)-გიორგი ქაფიანიძე (რუსთავი) 15:12; **ქალები.** მარია ზაკირჩენკო (ქუთაისი)-მარი კეკუტია (ქუთაისი) 14:15, ქრისტინე მიქაძე (ქუთაისი)-თეონა ბერიძე (ქუთაისი) 15:13. **ფინალები. ვაჟები.** არველაძე-ელბაქიძე 15:6, **ქალები.** მიქაძე-კეკუტია 15:14.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დავით სახვაძემ** გვითხრა, რომ ეროვნული ჩეპიონატის შედეგებით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები (თითოეულ სახეობაში 4-4 სპორტსმენით), რომელიც 24-28 ივნისს თბილისში 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს. თუმცა მოხმალავე ვაჟთა გუნდის შემადგენლობა უკვე გარკვეულია. საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ **სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, ლუკა ობოლაძე** და **საბა სულამანიძე.** თბილისურ ბატალიებამდე ჩვენი მოხმალავეები (სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, ლუკა ობოლაძე და **თეოდორა კახიანი**, რომელიც ამჟამად ამერიკაში სწავლობს და იქაურ მწვრთნელ **ვეს გლონთან** ვარჯიშობს) 9 ივნისიდან სტრასბურგში უფროსების ევროპის ჩემპიონატში ჩაებმებიან. ამ შეჯიბრებისთვის ვაჟებმა სერიოზული საწვრთნელი შეკრებები გაიარეს პოლონეთსა და ბულგარეთში აშშ-ს, კორეის, ბელარუსის, პოლონეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდებთან ერთად (წვრთნებში მონაწილეობდა **ნიკა შენგელიაც,** რომელიც ნანჯინგის მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება). ვარშავის მსოფლიო გრან პრიზე სანდრო ბაზაძე 42-ე ადგილით დაკმაყოფილდა, ხოლო პლოვდივში მსგავს შეჯიბრებაში მე-8 იყო: პლეი ოფებში სძლია ფრანგ ტრისტან ლორენსს – 15:13, ამერიკელ ჯეფრი ლოსს – 15:13, ირანელ აბედინ მოჯკაფას – 15:11 და მეოთხედფინალი იტალიელ დიეგო ოკიუცისთან დათმო – 13:15. ამჟამად სანდრო ბაზაძე მსოფლიო რეიტინგში 75 ქულით მე-19 ადგილზეა. 15 ივლისიდან ქართველი მოხმალავეები ყაზანში მსოფლიოს ჩემპიონატზეც მოსინჯავენ ძალებს.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

მარცხნიდან არჩილ უგულავა, თეონა გოგლიძე და ლუკა ღაღანიძე ასპარეზობის შემდეგ

კოლეგა

იუბილარის ფოტოგამოფენა

ქართულ სპორტულ ფოტოჟურნალისტიკაში კარგადაა ცნობილი **ბადრი კეთილაძის** სახელი. 2 ივნისს ფოტოხელოვანს დაბადების 55 წელი შეუსრულდა და სწორედ ამ დღეს გაიხსნა მისი ფოტონამუშევრების გამოფენა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ამავე სამინისტროს თაოსნობით.

გამოფენის საზეიმოდ გახსნაში მონაწილეობდნენ და იუბილარს მიესალმნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი**, მისი მოადგილე **თამაზ თევზაძე**, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი,** საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი **გიორგი გორგოძე,** გაზეთ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე.** გამოფენის გახსნას დაესწრნენ სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები, კოლეგა ჟურნალისტები, ბადრი კეთილაძის მეგობრები, ოჯახის წევრები. გამოფენა წეროვანში მცხოვრები დევნილი ოჯახის ბავშვებმაც დაათვალიერეს.

მინისტრმა საპატიო სიგელი და ფასიანი საჩუქარი გადასცა იუბილარს, ელგუჯა ბერიშვილმა — სეოკ-ის სიგელი და ფულადი ჯილდო. თბილისის „დინამოს“ პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** კი კლუბის სახელობითი მაისურა უსახსოვრა. გიორგი გორგოძემ გამოაცხადა, რომ სპორტულ ფოტოჟურნალისტიკაში დაწესდება გურამ თიკანაძის პრემია და პირველი ლაურეატი გახდება ბადრი კეთილაძე, ასოციაციის საპატიო სიგელი კი მას სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეს, 2 ივლისს გადაეცემა.

გამოფენა ერთ კვირას გასტანს.

თენგიზ თომაშვილი

ჩოგბურთი

ბოლქვაძემ მხოლოდ ფინალი დათმო

მარიამ ბოლქვაძე

ნეთანიაში (ისრაელი) ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში **მარიამ ბოლქვაძემ** რუს ანასტასია პრიბილოვასთან ერთად წარმატებით ითამაშა წყვილებში. პირველ წრეში ქართულ-რუსულმა დუეტმა უკრაინელები - ანა ბოგოსლავეცი და ოლექსანდრა პისკუნი ჩამოიშორა გზიდან - 1:6, 6:4, 10:8. მერე მეორე ნომრად განთესილი ესთერ მასური (ისრაელი) და ნაომი ტოტკა (უნგრეთი) დაამარცხა - 6:4, 4:6, 10:3, ნახევარფინალში კი მასპინძელთა მე-4 ნომრებს - კატია კრივოშაკოვსა და ალონა პუსკარევსკის სძლია - 6:2, 6:0, გადამწყვეტი პაექრობა კი ბოლქვაძემ და პრიბილოვამ პია კონიგისა (ავსტრია) და ბარბორა სტეფკოვას (ჩეხეთი) ტანდემთან დათმეს - 3:6, 2:6. ერთეულებში ბოლქვაძე პირველსავე წრეში პია კონიგთან დამარცხდა.

■ ■ ■

ბუხარაში ქალთა 25.000-იანი საერთაშორისო ტურნირის ორი წრე რომ წარმატებით განვლო მე-5 ნომრად განთესილმა **ეკატერინე გორგოძემ,** ამის შესახებ უკვე ვიუწყებოდით. ქართველმა ჩოგბურთელმა მეოთხედფინალში უკრაინელ ვერონიკა კაპშაისთან წააგო - 2:6, 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

■ ■ ■

შიაულიაიში 12-წლამდელ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, როგორც გაუწყეთ, ლაშა გიორგი კიკვიძე ძირითადი ასპარეზობის სტარტზე დამარცხების შემდეგ კონსოლეიშენის შეჯიბრებაში გადაერთო, სადაც ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო: გზიდან ჩამოიშორა ნოიუს პოსკა (ლიტვა, 4:1, 4:0), ბრინჯარ ენგელბერტსონი (ისლანდია, 4:0, 4:0), ედვინას გრიგაიტისი (ლიტვა, 4:2, 4:2), გრეგორ მარიუს კლიმასკი (ესტონეთი, 2:4, 4:2, 4:0) და პირველი ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

იტალიურ ბრეშაში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან ტურნირში ითამაშებს **სოფიო შაფათავა.** პირველ წრეში იგი მე-6 ნომრად განთესილ ვიქტორია გოლუბიცს (შვეიცარია) ეთამაშება. წარმატების შემთხვევაში შეჯიბრებაზე „უალდ ქარდით“ მიწვეულ იტალიელებს - ანა-ჯულია რემონდინას და მარტინა კარეგაროს შორის უძლიერესს შეხვდება.

■ ■ ■

ადანაში (თურქეთი) დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი). სასტარტო დღე წარუმატებელი გამოდგა **ანა ქადაგიძისთვის** - ერთეულთა პირველ წრეში იგი ლიტველ აგნე კეპელიტესთან დამარცხდა - 1:6, 0:6. წყვილებში ქართველი ჩოგბურთელი მასპინძელ ერემ აკიურტთან ერთად ასპარეზობის რეიტინგფავორიტებს - ბასაკ ერაიდინსა და იპეკ სოილუს (ორივე-თურქეთი) დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

ქადრაკი

ნონა გაფრინდაშვილი

სენიორთა ჭურნირი მოიგო

ოთხი მოგება და ხუთი ყაიმი - ასეთი შედეგით დაასრულა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **ნონა გაფრინდაშვილმა** ლიხტენშტეინში სენიორ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. ქართველმა დიდოსტატმა 6,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულას მოუყარეს თავი ლასლო ეპერეშიმ (უნგრეთი) და კრისტოფ ფრიკამ (გერმანია), რომლებმაც უარესი კოეფიციენტით მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

ვაჟა დანელია

ევროპამდე თბილისი აქვთ გასავლელი

თბილისში დამთავრდა 14 და 16 წლის ჩოგბურთელ გოგონათა და ვაჟთა საქართველოს პირველობები, რომლებშიც 16-16 საუკეთესო მოთამაშე მონაწილეობდა.

14-წლამდელ ბიჭებში ჩემპიონობა მოიპოვა აღმოსავლეთ ევროპის პირველობის ფინალისტმა **ზურაბ ტყემალაძემ,** რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში იოლად სძლია **საბა ფურცელაძეს** - 6:1, 6:0. მესამე ადგილი **დავით ჭელიძეს** (სამივე-თბილისი) ერგო.

ამ ასაკის გოგონებში დაძაბული გამოდგა ფინალური ორთაბრძოლა. ამის მიუხედავად, **მარიამ დალაქიშვილმა,** რომელმაც თანატოლებში ამას წინათ ჩეხეთისა და ბაქოს საერთაშორისო ტურნირები მოიგო, ორ სეტში აჯობა აღმოსავლეთ ევროპის ფინალისტ **ანა შანიძეს** - 6:4, 6:2. ბრინჯაოს მედალი **ანა მაქაცარიას** (სამივე-თბილისი) ხვდა.

16-წლამდელ გოგონებშიც კვარცხლბეკის სამივე საფეხური დედაქალაქელებმა დაიკავეს. ფინალში **ნინო მემიშიშმა** და **ანა ახალკაცმა** თითო ხელი მოიგეს, მესამე გადამწყვეტ სეტში ნინომ 7:6 იმარჯვა და ოქროც მას დარჩა. მესამე ადგილზე **მედეა პეტრიაშვილი** გავიდა.

ბიჭებში თბილისელმა **ირაკლი მეტრეველმა** იყოჩაღა - გადამწყვეტ შეხვედრაში ქუთაისელი **ვაჟა შუბლაძე** დაამარცხა - 6:2, 6:4. მესამე იყო **გუგა თავაძე** (ქუთაისი).

მომდევნო ორშაბათიდან 14 და 16-წლამდელი ჩოგბურთელები თბილისის საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზებენ, ივლისში კი ევროპის პირად პირველობაში მოსინჯავენ ძალებს: 14-წლიანები - პლზენში (ჩეხეთი), 16-წლიანები კი მოსკოვში გაარკვევენ ურთიერთობას თანატოლებთან.

ვაჟა დანელია



ზურაბ ტყემალაძე

დიდოსტატები დაიფრინა

ფიდეს ქართველი ოსტატი **თამაზ მგელაძე** (რეიტინგი - 2198, განთესვით 86-ე) ერთადერთი ჩვენებურია, რომელიც ბულგარულ ალბენაში მოჭადრაკეთა ევროპის დიდი თასის გათამაშებაში მონაწილეობს. პირველი ორი ტური მისთვის წარმატებული აღმოჩნდა: ჯერ რუმინელ დიდოსტატ ემილიან-მირჩა პარლიგრასს (2581) გააჩერებინა საათი, გუშინ კი შავი ფიგურებით სერბი დიდოსტატი ნენად რისტიჩი (2438) დაამარცხა. დღეს მე-3 ტურში სომეხ დიდოსტატ ვლადიმირ აკოფიანს (2667) დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

ლეგიონერები

ვალენსიას ვეჭბორი ვიჭბორისკენ

სად განაგრძობს კარიერას სანიკიძე?

საქართველო, საფრანგეთი, ესტონეთი, იტალია და ესპანეთი... **ვიქტორ სანიკიძე** კარიერის პიკისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიინევს: ფრანგულ "დიჟონში" ძალიან ახალგაზრდა მოხვდა და სასტარტო ხუთეულში მოხვედრისთვის ბევრს შრომობდა. შემდეგ "ესტუდიანტესში" გადავიდა, თუმცა ესპანეთის ჩემპიონატში მისთვის საკმარისი დრო ვერ გამოინახა. ამას მოჰყვა ერთნლიანი შესვენება, ოპერაციები მუხლებზე და ესტონური "ტარტუ როკი", სადაც იოლად გადაწყდა მანამდე მწვავედ მდგარი სასტარტოში მოხვედრის პრობლემა; ესტონეთიდან იგი იტალიის "ვირტუსში" ლიდერად წავიდა, თუმცა აპენინების პირველობაზე საშუალო დონის გუნდის ძრავად ჩამოსაყალიბებლად დრო დასჭირდა და "ვირტუსის" ლიდერი ჩემპიონ "მონტეპასკიში" აღმოჩნდა;

2013-14 წლების სეზონის წინ კი ვიქტორმა სიენური კლუბი დატოვა, ესპანეთისკენ გაუწია გულმა, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე "რეალი" და "ბარსელონა" უნდა შეხვედროდა. "სარაგოსა" მისთვის სწორედ ის გუნდი აღმოჩნდა, შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში რომ შეუწყო ხელი. სანიკიძემ ესპანეთის ჩემპიონატის მეორე წრის ერთ-ერთ მატჩში "ბარსელონას" ფარისკენ "ბილიკი დაქნა" და სარაგოსელებს კატალონიელთა ძლევაში დაეხმარა. ხოლო პლეი ოფის პირველივე ეტაპზე მადრიდის "რეალთან" ორ მატჩში ჯამში 28 ქულა და 19 მოხსნა მოაგროვა. "სარაგოსა" კი ღირსეულად დაემშვიდობა ჩემპიონობაზე ოცნებას: მადრიდელებთან ერთი მატჩი 8 ქულის სხვაობით დათმო, მეორე - 6 ქულით.

მოკლედ, ან უკვე განვლილი სეზონი ვიქტორის აქტივში უნდა ჩაიწეროს და თუ მომავალ სეზონში რომელიმე ესპანურ გრანდში ვიხილეთ, "სარაგოსაში" გატარებული ერთი წლის დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ. ესპანეთის ჩემპიონატი ხომ საუკეთესო ადგილია სკაუტების დასაინტერესებლად.

დაინტერესდნენ კიდეც. ოღონდ, ჯერ "რეალიდან" და "ბარსელონადან" არაფერი ისმის. მართალია, ამ გუნდებს ბიუჯეტით "ვალენსია" ვერ შეედრება, მაგრამ რეგულარული ეტაპი "ბარსაზე" წინ, მეორე ადგილზე დაასრულა და მომავალ სეზონში ევროლიგაზე სათამაშოდაც ემზადება. რატომ ვახსენეთ "ვალენსია"? იმიტომ, რომ ეს გუნდი ვიქტორ სანიკიძის გადაბირებითაა დაინტერესებული. ამის შესახებ ინფორმაციას ესპანური სააგენტოები ავრცელებენ. იმასაც ამბობენ, სანიკიძეს "სარაგოსასთან" კონტრაქტის ვადა 1-ელ ივლისს ეწურება და განახლებას არ აპირებსო. ასეა თუ ისე, ვიქტორს არაგონულმა კლუბმა მართლაც დიდი სამსახური გაუწია, ისევე როგორც გუნდს - თავად სანიკიძემ.

ვიქტორ სანიკიძე ბურთით

- აქამდეც არაერთხელ მითქვამს - არაგონულ გუნდთან ერთად კარგი სეზონი მქონდა. შემიძლია ვიამაყო როგორც "სარაგოსათი", ასევე ჩემი თანაგუნდელებით. საოცარი ბიჭები არიან და ძალიან მიხარია, რომ ბევრი მეგობარი შევიძინე. სამწვრთნელო შტაბის, სპონსორებისა და პრეზიდენტის მიმართაც მინდა მადლიერება გამოვხატო. მათთან შესანიშნავი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ეს სეზონი და "სარაგოსა" არასოდეს დამავიწყდება, - ამბობს ვიქტორ სანიკიძე.

როგორც მოგახსენეთ, 28 წლის ქართველმა ფორვარდმა სეზონი "რეალთან" მეოთხედფინალში დაპირისპირებით დაასრულა. შეიძლება ითქვას, რომ სამეფო გუნდთან არაგონელები წინასწარვე იყვნენ განწირულები, მაგრამ იმდენად კარგად ითამაშეს, რომ მოედანი მაინც თავაწეულებმა დატოვეს:

- ყოველთვის ვცდილობ, გავიღო მაქსიმუმი წარმატებისთვის. დასანანია, რომ ესპანეთის ჩემპიონატს მეოთხედფინალში გამოვეთიშეთ, მაგრამ ამავე დროს, ბედნიერი ვარ, რომ ვუჩვენეთ გუნდური თამაში, იგრძნობოდა ერთიანობა. სწორედ ამის ხარჯზე შევუქმენით "რეალს" დიდი თავსატეხი. გამარჯვებასთან ორივე შეხვედრაში ახლოს ვიყავით. თუ არ იცით, "რეალი" რა დონის გუნდია და ისე შეხედავთ ორი მატჩის ოქმს, დარწმუნდებით, რომ ორივე შემთხვევაში თანაბარი თამაში იყო. თანაგუნდელებთან ერთად მინდა ,"სარაგოსას" ქომაგსაც დიდი მადლობა ვუთხრა. მთელი სეზონი ჩვენს გვერდში იყო და ძალიან დაგვეხმარა, - ესეც ვიქტორის სიტყვებია.

ვაჟა სიმონიშვილი

თბილისის საკალათბურთო ფესტივალი

ჰიუნდაის ოქროს ფინიში

კლუბ "ჰიუნდაის" ტრიუმფით დასრულდა 2002 წელს დაბადებულ ბავშვთა თბილისის ფესტივალი მინი-კალათბურთში. ტურნირის ორგანიზატორი "ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი", ხოლო მხარდამჭერები თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გახლდათ. ტურნირის მონაწილეებმა და გამორჩეულმა მოთამაშეებმა ფესტივალის გენერალური სპონსორისგან, "პრივატბანკისგან" ფულადი პრიზები და სპორტული ატრიბუტიკა მიიღეს.

ფინალურ მატჩში **ლაშა თოიძის** და **ირაკლი ჩერქეზიშვილის** გაწვრთნილმა "ჰიუნდაიმ" 41:29 დაამარცხა "დინამო" და ტურნირის გამარჯვებული გახდა. პირველ მეოთხედში შედარებით თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, მეორე პერიოდიდან კი მომავალმა ჩემპიონებმა უპირატესობა მოიპოვეს და ხელჩასაჭიდ ლიდერობას დაეპატრონენ - 23:17.

მატჩის ბედი ფაქტობრივად მესამე პერიოდში გადაწყდა, რომელიც ჰიუნდაელებმა 12:3 მოიგეს და დარჩენილ დროში ლიდერობა შეინარჩუნეს. შედეგად, "ჰიუნდაიმ" ფესტივალზე ზედიზედ მე-7 გამარჯვება მოიპოვა დადამსახურებული ჩემპიონი გახდა.

მესამე ადგილისთვის მატჩში "ოვერტაიმმა" 44:41 მოუგო TBH-ის და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა.

ფინალი

დინამო-ჰიუნდაი 29:41
10:12, 7:11, 3:12, 9:6
დინამო: ბიგანიშვილი (7), გელოვანი (6)
ჰიუნდაი: გოგაძე (17), ჭიჭინაძე (9)

მე-3 ადგილისთვის

TBC-ოვერტაიმი 41:44
12:20, 7:8, 8:10, 14:6
TBC: მიქაია (19), ქუტიძე (11)
ოვერტაიმი: ნ. ოთხმეზური (20), სოხაძე (10)

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი **დათა გოგაძე** (ჰიუნდაი) სპეციალური პრიზით დააჯილდოვა თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის წევრმა **ლევან წულაიამ**. მან ასევე მიიღო 200 ლარი, რომელიც დაერიცხება "პრივატბანკისგან".

მაყურებელთა სიმპათია, **ნიკა გიგოლაშვილი** (დინამო) სპეციალური პრიზით დააჯილდოვა თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის წევრმა **დათო ჩიხლაძემ**.

ფესტივალის მონაწილე 2 გოგონას - **ნინი ოთხმეზურსა** (ოვერტაიმი) და **ნინი გელაძეს** გამომცემლობა "პალიტრა L-ისგან"

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდებიდან თითო საუკეთესო მოთამაშე (**დათა გოგაძე, გიგა ბიგანიშვილი, საბა ძიგრაშვილი**) ინგლისური ენის შესწავლის ერთთვიანი უფასო ვაუჩერით დააჯილდოვა "ბრიტანული ცენტრის" მენეჯერმა **თორნიკე გიორგაძემ**.

gfb.ge

ლეგიონერები

სიყვარულით სავსე სეზონი

ქართველი მორაგბეების ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის "ტულონმა" წლეულს დუბლი შეასრულა. ევროპის ყველაზე პრესტიჟული, "ჰაინეკენის თასის" მოგების შემდეგ ტულონელებმა საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალიც მოიგეს.

პრიზი საფრანგეთის ჩემპიონის ფარი ზღვისპირა ქალაქ ტულონს გუშინ ეწვია. შინ არავინ დარჩენილა, მთელი ტულონი ქუჩაში გამოეფინა და დიდ გამარჯვებას დიდხანს ზეიმობდა.

"ასეთ რამეს არასდროს შევსწრებივარ. კაცი იფიქრებდა, ქალაქს ვინმე წმინდანი ეწვიაო. წარუშლელი შთაბეჭდილება დამრჩა. ვფიქრობ, ყოველივე ეს ამდენ წვალებად, ნერვების გლეჯვად ნამდვილად ღირდა. საფრანგეთის ჩემპიონობამ დაგვავიწყა, რომ ჩვენ ევროპის ჩემპიონებიც ვართ" - თქვა ტულონის მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა.**

ბაკის ბოთა და მამუკა გორგოძე

ცხადია, ზეიმის მთავარი ფიგურა გუნდის ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** იყო, რომელსაც ტულონელთა ბოლო დროის წარმატებებში დიდი წვლილი აქვს. მან რაგბიდან წასვლა გადაწყვიტა.

"მადლობა ყველაფრისთვის, იმისთვის, რომ პატივი მხვდა წილად ამ ქალაქის გუნდში მეთამაშა, რათა გამეგო, რა შესანიშნავია ცხოვრება" - მიმართა "ვილკომ" საზეიმოდ შეკრებილ ქომაგებს.

ვილკინსონმა, ცხადია, რაგბიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ამბავს ბურჯელალი არ ეგუება.

"ჯონი ჩვენს გუნდში მწვრთნელად იმუშავებს... თუმცა, ხანდახან სასწაულიც ხდება ხოლმე. თუ მოვინდომე, ვერაფერი შემაჩერებს, ვერაფერი" - დასძინა მან.

მოარული ხმებით, ბურჯელალი უფლებას იტოვებს დაარწმუნოს ვილკინსონი, რომ ბუცების ლურსმანზე დაკიდება ჯერ ადრეა. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, ინგლისელმა გადაწყვეტილება შეცვალოს.

რას მოიმოქმედებს ვილკინსონი, მომავალი გვიჩვენებს. "ტულონი" კი უკვე ახალი სეზონისთვის ემზადება. 10 ივნისს კლუბის პრეზენტაცია მოეწყობა, სადაც ქომაგებს გუნდის ლიდერებთან ერთად ახალ მოთამაშეებსაც წარუდგნენ. მათ შორის საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **მამუკა გორგოძეც** იქნება. ამ ღონისძიების ანონსის ამსახველ აბრაზე "ტულონის" სამხრეთაფრიკელ ლიდერთან ერთად სწორედ გორგოძეა გამოსახული, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენებური ბურჯელალის ვარსკვლავურ გუნდში რიგითი წევრი არ იქნება. აბრას ამშვენებს წარწერა - "სიყვარულით სავსე სეზონი". რას გულისხმობენ "ტულონის" ხელმძღვანელები, ალბათ, პრეზენტაციაზე გახდება ცნობილი.

მომავალ სეზონში, ცხადია, ტულონელთა მიზანი წლეულს მოპოვებული ტიტულების შენარჩუნებაა. გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა და, წესით, ფრანგული და ევროპული რაგბის მწვერვალზე ყოფნა არ უნდა გაუჭირდეს.

ამასობაში, გუნდი გამოიცვალა კიდევ ერთმა ქართველმა მორაგბემ. პირველხაზელი **გიორგი ჟღენტი**, რომელმაც გასული სეზონი პირველი დივიზიონიდან გავარდნილ "პერპინიანში" გაატარა, ბასკურ "ბაიონში" გადაბარგდა.

ტესტები

გორგოძე ლონდონიდან კეიპთაუნს გაემგზავრა

"ბორჯღალოსნების" მესამეხაზელი მამუკა გორგოძე მსოფლიოს ნაკრებშია მიწვეული. გუნდის საბოლოო შემადგენლობა მწვრთნელებმა გუშინ დაასახელეს.

მსოფლიოს ნაკრები 7 ივნისს კეიპთაუნში სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. აღსანიშნავია, რომ პლანეტის საუკეთესოთა კრებულს სწორედ სამხრეთაფრიკელი მწვრთნელები **ნიკ მალეტი** და **ალან სოლომონსი** ხელმძღვანელობენ. მათ გუნდში ახლახან "ბარბაროსების" შემადგენლობაში მოთამაშე რამდენიმე მორაგბე მიიწვიეს. ესენი არიან: **ალექსანდრ ლაპანდრი** (კლერმონი, საფრანგეთი), **ჯო ტეკორი** (ტულუზი, სამოა), **ივანდერ კრუხერი** (მეტრო რასინგი, სამხრეთ აფრიკა), **ჰოსე გეარი** (ტულუზი, ახალი ზელანდია), **რენე რენჯერი** (მონპელიე, ახალი ზელანდია) და **ფრანსუა ტრინ-დუკი** (მონპელიე, საფრანგეთი).

საგულისხმოა, რომ მსოფლიოს ნაკრებში მორაგბეები ცხრა ქვეყანამ მიავლინა. ესენია: ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, საფრანგეთი, ინგლისი, ირლანდია, სამოა, ტონგა და საქართველო.

ივნისის ტესტებისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა "ბოკეს" თავკაცმა **ჰეინკე მეიერმა.** სამხრეთაფრიკელთა გუნდში კვლავ აღდგება მეორეხაზელების უძლიერესი დუეტი, **ბაკის ბოთა-ვიქტორ მეტფილდი.** ამასთან ერთად, "ბოკეს" ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდება. ესენია: **პატრიკ ლამბიე, სტეფან ესტებესი, ფრანს მალერბი, ჩილიბოი რელეპელე, ფრიკ კირსტენი, ფრანკო ფან დერ მერვე, არნო ბოთა, პიერ სპისი** და **ხიო ეპლონი.**

მსოფლიოს ნაკრები

შერკინება: სტეფონ არმითიჯი (ტულონი, ინგლისი), ალექსანდრ ლაპანდრი (კლერმონი, საფრანგეთი), როჯერ ვილსონი (ალსტერი, ირლანდია), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საქართველო), ალისტერ ჰარგრეივსი (სარასენზი, სამხრეთ აფრიკა), ჯო ტეკორი (ტულუზი, სამოა), ივანდერ კრუხერი (მეტრო რასინგი, სამხრეთ აფრიკა), კეიგ ბარდენი (ტულონი, სამხრეთ აფრიკა), ენდრიუ ჰორი (უგუნდო, ახალი ზელანდია), სხალკ ფერერა (ტულუზი, სამხრეთ აფრიკა), სონა ტაუმოლოლო (პერპინიანი, ტონგა), ჯულიან რედელინჰაუზი (ლაიონზი, სამხრეთ აფრიკა), კარლ ჰეიმანი (ტულონი, ახალი ზელანდია).

უკანა ხაზი: ჯეიმზ ოკონორი (ლონდონ აირიში, ავსტრალია), დრიუ მიტჩელი (ტულონი, ავსტრალია), ჰოსე გეარი (ტულუზი, ახალი ზელანდია), სიტივენი სივივატუ (კლერმონი, ახალი ზელანდია), ორელიან რუჟერი (კლერმონი, ახალი ზელანდია), რენე რენჯერი (მონპელიე, ახალი ზელანდია), მეთ გიტო (ტულონი, ავსტრალია), ფრანსუა ტრინ-დუკი (მონპელიე, საფრანგეთი), რორი კოქოთი (კასტრი, სამხრეთ აფრიკა), ჯიმი ქოუანი (გლოსტერი, ახალი ზელანდია).

მამუკა გორგოძე (მარცხნივ)

სამხრეთ აფრიკა

ვილემ ალბერტსი, ბაკის ბოთა, სხალკ ბრაიტსი, სხალკ ბურხერი, მარსელ კუცია, დამიან დე ალენდე, ლოდევიკ დე იაგერი, ბისმარკ დუ პლესი, იანი დუ პლესი, ფური დუ პრი, ჯეი ჯეი ენგელბერხტი, ჯონ გუსენი, ბრაიან ჰაბანა, კორნალ ჰენდრიქსი, ფრანსუა ჰუგარი, ზან კირჩნერი, სიია კოლიზი, ვილი ლე რუ, ფანუსა ლოუ, ვიკტორ მეტფილდი, ტებიჰო ოუპა, ტყენდაი მათავარირა, ლვაზი მვოვო, კონი ოოსტჰუიზენი, რუან პინარი, ჯეი პი პიტერსენი, იან სერფონტეინი, სბურა სიტოლე, ხუთრო სტენკამპი, ფრანსუა სტეინი, მორნი სტეინი, ფლიპ ფან დერ მერვე, მარსელ ფან დერ მერვე, დუეინ ვერმულენი, კელი ვისაჯი.

საქართველოს ჩემპიონატი

B ლიგაში რვა საუკეთესო გაირკვა

საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში პირველი წრე დასრულდა. თუმცა, კიდევ დარჩა რამდენიმე გადატანილი შეხვედრა სათამაშო. A და B ჯგუფებში დაუმარცხებელი ჯერაც სამი გუნდია. ესენი არიან: თბილისის "აკადემია", თბილისის "ლელო" და ქუთაისის პირველი გუნდი.

A ჯგუფში სატურნირო ცხრილს სათავეში აკადემიელები უდგანან, რომლებიც "ლელოს" ხუთი ქულით უსწრებენ. თუმცა, ამ უკანასკნელს ერთი თამაში თადარიგში აქვს. აღსანიშავია, რომ ამ გუნდებს შორის დაპირისპირება ფრედ 20:20 დასრულდა.

"ლელოს" კვალში უდგას თბილისის "ლოკომოტივი", რომელმაც პირველი წრის ბოლო ტურის მატჩში სწორედ "აკადემიასთან" წააგო 12:23. რკინიგზელები ლელოელებს ახლა ერთი ქულით ჩამორჩებიან.

ჭაბუკთა A ლიგა

A ჯგუფი

ზავი-ყოჩები (გადაიდო) ბორჯომი-ლელო 7:61, აკადემია-ლოკომოტივი 23:12, ბათუმი-ხულიგანა (გადაიდო).

სატურნირო ცხრილი

1. აკადემია - 31 ქულა, 2. ლელო - 26, 3. ლოკომოტივი - 25, 4. წიქარა - 14, 5. ბათუმი - 13, 6. ბორჯომი - 9, 7. ყოჩები - 0, 8. ზავი - 0.

პირველი ადგილისთვის არანაკლები ბრძოლაა B ჯგუფში. აქ ლიდერი ქუთაისის პირველი გუნდია. მას კვალში უდგას რუსთავის "ხარები", რომელმაც შინ უშუალო კონკურენტი, მესამეადგილოსანი თბილისის "არმაზი" დამაჯერებლად დაამარცხა - 40:3. ქუთათურებმა კი, შინ მომდევნო ეტაპზე გასვლის კიდევ ერთ პრეტენდენტს, "არმიას" სძლიეს დაძაბულ ბრძოლაში - 18:13.

B ჯგუფი

აია2-იმერეთი 16:8, ხარები-არმაზი 40:3, აია1-არმია 18:13, იუნკრები-დედოფლისწყარო 19:18, ტორნადო-ჯვაროსნები 15:28.

სატურნირო მდგომარეობა

1. აია 1 - 38 ქულა, 2. ხარები - 35, 3. არმაზი - 29, 4. არმია - 25, 5. ჯვაროსნები - 15, 6. იმერეთი - 13, 7. აია 2 - 12, 8. ტორნადო - 11, 9. დედოფლისწყარო - 5, 10. იუნკრები - 4.

ჭაბუკთა B ლიგაში მეორე ეტაპის გათამაშება დასრულდა. ოთხ ჯგუფში ორ-ორი საუკეთესო ასპარეზობას მესამე ჯგუფურ ეტაპზე განაგრძობენ. აქ მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო თბილისის "ლელომ", რომელმაც ყველა თამაში მოიგო.

მესამე ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს ქობულეთის "პონტომ" და ხაშურის "ლეგიონმა". ფავორიტები, სავარაუდოდ, "ლელოს" გარდა თბილისის "არმია", თბილისის "თსუ" და ქუთაისის პირველი და მეორე გუნდები იქნებიან.

საინტერესო იყო ბოლო ტურში სწორედ ამ ორი ქუთაისური გუნდის დაპირისპირება. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და ქუთაისის მეორე გუნდის გამარჯვებით დასრულდა მინიმალური სხვაობით - 12:11.

ცხადია, სასიხარულოა უძლიერესთა შორის რეგიონის გუნდების, ხაშურის "ლეგიონისა" და ქობულეთის "პონტოს" გამოჩენა. ეს ქალაქები ტრადიციულ სარაგბო კერებს არ მიეკუთვნებიან და მათი გუნდების წარმატება კარგი მომავლის საწინდარია. ორივე გუნდმა მეორე ეტაპზე მხოლოდ თითო წაგება იგემეს. ძნელი სათქმელია, შეძლებენ თუ არა ისინი პლეი ოფში გასვლას. თუმცა გათამაშების ბოლოსწინა ეტაპზე მათი ასპარეზობა უკვე მიღწევაა.

ცალკე უნდა ითქვას ტურნირის მთავარ ფავორიტზე, თბილისის "ლელოზე". ამ კლუბს ასაკობრივ გუნდებში გარკვეულ ეტაპზე ჩავარდნა ჰქონდა, თუმცა, როგორც ჩანს, ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესებულია და ლელოელები აქაც ლიდერები არიან.

ჭაბუკთა B ლიგა

A ჯგუფი

არმია-ხულიგანა 34:0, ხარები-თსუ 17:14

სატურნირო მდგომარეობა

1. არმია - 19 ქულა, 2. თსუ - 16, 3. ხარები - 14, 4. ხულიგანა - 8.

B ჯგუფი

არმაზი-წიქარა 60:7, ჯვაროსნები-ლელო 3:12

სატურნირო მდგომარეობა

1. ლელო - 28 ქულა, 2. არმაზი - 16, 3. ჯვაროსნები - 13, 4. წიქარა - 0.

C ჯგუფი

აია 3-ტაო 19:5, აია2-აია1 12:11

სატურნირო მდგომარეობა

1. აია 2 - 24 ქულა, 2. აია 2 - 24, 3. აია 3 - 10, 4. ტაო - 1.

D ჯგუფი

პონტო-ადიგენი 12:0, ლეგიონი-აია 4 36:0

სატურნირო მდგომარეობა

1. ლეგიონი - 21 ქულა, 2. პონტო - 18, 3. აია 4 - 11, 4. ადიგენი - 5.

მესამე ეტაპი

A ჯგუფი

არმია (თბილისი), ლეგიონი (ხაშური), არმაზი (თბილისი), აია 1 (ქუთაისი).

B ჯგუფი

ლელო (თბილისი), აია 2 (ქუთაისი), თსუ (თბილისი), პონტო (ქობულეთი).

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ᲙᲠᲘᲕᲘ

ფროჩის გადამწყვეტი დარტყმა

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲣᲔᲛᲑᲚᲘᲖᲔ

ᲑᲐᲡᲣᲚᲘ უქმეები ძალიან მდიდარი იყო საკრივო ორთაბრძოლებით, მაგრამ მათგან გამორჩეული გახლდათ შეხვედრა, რომელიც ლონდონში ლეგენდარულ „უემბლიზე“ გაიმართა. სუპერსაშუალო წონაში WBA-სა და IBF-ის ჩემპიონი, 36 წლის ბრიტანელი **კარლ ფროჩი** (33-2-0, 24 KO) 26 წლის თანამემამულე **ჯორჯ გროუვზს** (19-2-0, 15 KO) ხვდებოდა.

პრეტენდენტი მთელი ბრძოლის განმავლობაში უნარიანად მოქმედებდა, ხშირად ასწრებდა გამოცდილ მოწინააღმდეგეს და სიზუსტეშიც სჯობდა მას. თუმცა ფროჩი უფრო აქტიური და „ჯიუტი“ ჩანდა. გადამწყვეტი აღმოჩნდა მერვე რაუნდი, როცა კარლს მარჯვნიდან უზუსტესი დარტყმა გამოუვიდა - პირდაპირ ყბაში მოარტყა გროუვზს. პრეტენდენტმა ცოტა ხნით გონება დაკარგა, ფეხი გადაუბრუნდა და ისე დაეცა რინგზე. გროუვზმა წამოდგომა სცადა, მაგრამ რეფერის უკვე მიცემული ჰქონდა ბრძოლის დასრულების ნიშანი. ამ მოკრივეებს შორის პირველი ბრძოლისგან განსხვავებით, ამჯერად ჯორჯს უკმაყოფილება არ გამოუხატავს ასეთი ვერდიქტის გამო. შეგახსენებთ, რომ ნოემბერში ფროჩმა ასევე ვადაზე ადრე დაამარცხა გროუვზი, რაც ბევრმა საკამათოდ მიიჩნია.

შვიდი რაუნდის შემდეგ დარტყმების რაოდენობით სამიდან ორი მსაჯი ფროჩს ანიჭებდა მინიმალურ უპირატესობას: 67:66, 67:66, ერთმა კი მოგება გროუვზს მისცა: 65:68.

ბრძოლის შემდეგ კარლმა განაცხადა, რომ ნოკაუტის მომტანი დარტყმა საუკეთესოდ მიაჩნია საკუთარ კარიერაში. რაც შეეხება მის შემდეგ მეტოქეს, ფროჩთან ბრძოლის სურვილი გამოთქვეს ამავე წონაში WBC-ის ჩემპიონმა, ავსტრალიელმა **საკიო ბიკამ** და საშუალო წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მექსიკელმა **ხულიო სესარ ჩავესმა**.

ᲡᲮᲕᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ

სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ფილიპინელმა **ნონიტო დონერმა** ნახევრადმჩატე წონაში WBA-ის სუპერჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი **სიმპივე ვეტიეკა** დაამარცხა. მეორე რაუნდში ფილიპინელს წარბი გაუსკდა, მაგრამ გააგრძელა ბრძოლა სწრაფ ტემპსა და აგრესიულ სტილში. უკვე მეოთხე რაუნდში აფრიკელი ნოკდაუნში აღმოჩნდა. ვეტიეკა წამოდგა და რაუნდის ბოლომდე გაძლო, რის შემდეგაც რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა. ექიმმა დონერის დაზიანება შეამოწმა და მიიჩნია, რომ ფილიპინელს არ შეეძლო შეხვედრის გაგრძელება. ბრძოლის რეგლამენტით, გამარჯვებული მსაჯების ჩანაწერებით უნდა გარკვეულიყო - იმ მომენტისთვის სამივე არბიტრს დონერის უპირატესობა ჰქონდა დაფიქსირებული - 39:36. ასე რომ, მან კარიერაში მეოთხე წონით კატეგორიაში მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

■ ■ ■

პირველ უმჩატეს წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი, სომეხი **ვიკ დარჩინიანი** ნახევრადმჩატე წონაში WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონთან **ნიკოლას უოლტერსთან** დამარცხდა. უკვე მეორე რაუნდში იამაიკელმა უძლიერესი აპერკოტით ნოკდაუნში გაგზავნა ვეტერანი. დარჩინიანმა წამოდგომა შეძლო, მაგრამ უფრო ახალგაზრდა მოკრივის უპირატესობა აშკარა იყო. მეხუთე რაუნდში სომეხი ისევ აღმოჩნდა ნოკდაუნში, ცოტა ხნის შემდეგ კი 38 წლის მოკრივემ ნოკაუტიც მიიღო. დარჩინიანის მორიგი დაცემის შემდეგ, რეფერის თვლაც არ დაუწყია, ისე შეწყვიტა ბრძოლა. ეს სომეხი მოკრივისთვის ზედიზედ მეორე წაგება იყო.

■ ■ ■

40 წლის ავსტრალიელმა მოკრივემ **სემ სოლიმანმა** საშუალო წონაში IBF-ის ჩემპიონი, ბოსნიელი გერმანელი **ფელიქს შტურმი** დაამარცხა. სოლიმანს ბრძოლის დიდი ნაწილი უპირატესობა ჰქონდა, წარმატებით უსხლტებოდა ჩემპიონის შეტევებს და კარგი კომბინაციებიც გამოსდიოდა. მთელი ბრძოლის განმავლობაში შტურმმა ვერ იპოვა ნორმალური შეტევის განხორციელების საშუალება. 12 რაუნდის შემდეგ მსაჯებმა ავსტრალიელის დიდი უპირატესობა დააფიქსირეს: 118:110, 119:109, 118:110. სოლიმანმა წაართვა საჩემპიონო ქამარი გერმანელს. ეს მოკრივეები გასული წლის თებერვალშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც სოლიმანმა გაიმარჯვა, მაგრამ მას მოგება წაართვეს სისხლში აკრძალული პრეპარატის აღმოჩენის გამო.

ᲙᲚᲘᲩᲙᲝᲔᲑᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲔᲡ

ᲝᲠᲘ დღის წინ, უკრაინის დედაქალაქ კიევის ოლიმპიურ სპორტკოპლექსში ძმები **კლიჩკოების** მუზეუმის გახსნის ცერემონია გაიმართა.

უკრაინელმა მოკრივეებმა მუზეუმს დაახლოებით 70 ექსპონატი გადასცეს: საკუთარი საჩემპიონო ქამრები, ხალათები, საკრივო ამუნიცია, რომლითაც პროფესიულ კარიერაში უმნიშვნელოვანეს ბრძოლებს ატარებდნენ. ექსპოზიციის მთავარი ექსპონატი გახდა IBF-ისა და IBO-ის საჩემპიონო ქამარი.

გარდა ამისა, ვიტალიმ უკრაინის გმირის კუთვნილი ვარსკვლავი გადასცა მუზეუმს, ვლადიმირმა კი ოლიმპიური მედალი, რომელიც 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაზე მოიპოვა.

სექტემბრამდე სტუმრებს უფასოდ შეეძლებათ კლიჩკოს პრიზების დათვალიერება.

ᲰᲝᲙᲔᲘ. NHL. ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲛᲐᲭᲩᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘᲡᲐᲐ

ᲰᲝᲙᲔᲘᲡ გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ „ჩიკაგოსა“ და „ლოს ანჯელესის“ სერიის მეშვიდე შეხვედრას. „მეფეებმა“ მიმდინარე პლეი ოფში ვერც ერთი სერია ვერ მოიგეს უფრო ნაკლები რაოდენობის მატჩებში და ყოველთვის ფანტასტიკურ ბრძოლისუნარიანობას ავლენდნენ. ჟურნალისტები მუდმივად იხსენებდნენ შარშანდელ გათამაშებას, როცა „ჩიკაგომ“ „დეტროიტთან“ სერიაში 1:3-დან შეძლო გამარჯვება. აგრეთვე ყურადღებას ამახვილებდნენ „კინგზის“ ფორვარდის **ჯასტინ უილიამსის** ფენომენზე. მას მეშვიდე მატჩების მთავარ სპეციალისტს უწოდებდნენ. კარიერის განმავლობაში ამ ჰოკეისტმა ექვს ასეთ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 12 ქულა (6+6) დააგროვა.

თავად თამაშმა გაამართლა მაყურებლის მოლოდინი და ის დასავლეთი კონფერენციის ორი უძლიერესი გუნდის დაპირისპირების კულმინაციად იქცა. მასპინძლებს უკეთ გამოუვიდათ სასტარტო წუთები და პირველი პერიოდის შუა ნაწილისთვის ორი შაიბით დაწინაურდნენ: **ბრენდონ საადს** თითქმის ნული კუთხიდან გამოუვიდა წარმატებული დარტყმა, „ბლეკჰოქსის“ კაპიტანმა **ჯონათან ტეივზმა** კი დამატებისას გამოიყენა რიცხვობრივი უპირატესობა. „ლოს ანჯელესს“ ისღა რჩებოდა, აემუშავებინა თავისი მთავარი კოზირი - ფანტასტიკური სათასო ხასიათი, რომელმაც არაერთხელ გადაარჩინა „კინგზი“ პლეი ოფის მარათონულ დისტანციაზე. ტემპის ოდნავ მომატების შემდეგ, ყოველგვარი ზედმეტი დაძაბულობის გარეშე სტუმრებმა **ჯეფ კარტერისა** და უკვე ნახსენები უილიამსის წყალობით აღადგინეს თანაფარდობა. ამის შემდეგ „ჩიკაგო“ კიდევ ორჯერ გავიდა წინ და ორჯერვე კალიფორნიელებმა გაათანაბრეს ანგარიში.

ოვერტაიმი ამ შესანიშნავი სერიის მშვენება გამოდგა. „ჩიკაგო“ პირველივე წუთებიდან წინ წავიდა, მაგრამ „კინგზის“ მეკარემ **ჯონათან კუიკმა** რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია და გაუძლო ზეწოლას. ამის შემდეგ „ლოს ანჯელესმა“ შეძლო თამაშის გათანაბრება და მეტოქისთვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენება. „მეფეებს“ ერთადერთი მომენტი ეყოთ მატჩისა და მთლიანად სერიის თავის სასარგებლოდ დასასრულებლად. „კინგზის“ მცველის **ალეკ მარტინესის** შორეულმა დარტყმამ ჩიკაგოელი **ნიკ ლედისგან** შეიცვალა მიმართულება და შაიბა მასპინძლების კარში აღმოჩნდა.

რაც შეეხება ჯასტინ უილიამსს, მან ორი ქულა (1+1) დააგროვა თავის მორიგ მეშვიდე მატჩში და გაუთანაბრდა ყველა დროის ლიდერებს - **გლენ ანდერსონს** (7 გოლი მეშვიდე მატჩებში) და **დაგ გილმორს** (13 ქულა).

„ლოს ანჯელესი“ გახდა პირველი გუნდი ისტორიაში, რომელმაც სტენლის თასის ფინალამდე მიაღწია ისე, რომ სამივე სერიის მეშვიდე მატჩი მოიგო მეტოქის მოედანზე.

ახლა წინ არის ფინალური სერია „ნიუ იორკ რეინჯერსთან“. ეს არის პირველი შემთხვევა მიმდინარე პლეი ოფში, როცა „კინგზს“ საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება.

ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲔᲠᲘᲐ

4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ
7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ
9 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ-ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ
11 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ-ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ
13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ*
16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ-ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ*
18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ*

ᲩᲘᲙᲐᲒᲝ–ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ 4:5 (Ო)

3:2, 1:1, 0:1, 0:1

�გᲝᲚᲔᲑᲘ: 1:0 საადი-6 (Თ. კეინი-11, შოუ-6), 2:0 ტეივზი-9 (Თ. კეინი-12, სიბრუკი-12), 2:1 ჯ. კარტერი-9 (დ. ბრაუნი-7, ტოფოლი-6), 2:2 ჯასტინ უილიამსი-7 (ვოინოვი-5, დ. კინგი-5), 3:2 შარპი-4 (კრუგერი-3), 3:3 ტოფოლი-7 (მეტ გრინი-2, დ. კინგი-6), 4:3 შარპი-5 (საადი-10), 4:4 გაბორიკი-12 (დ. ბრაუნი-8, კოპიტარი-19), 4:5 მარტინესი-4 (ჯასტინ უილიამსი-11, მეტ გრინი-3).

ᲡᲔᲠᲘᲐ: 3-4



კინგზი ფინალში გასვლას ზეიმობს

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

ეუხენიო ლაფიტა

ᲙᲣᲑᲐᲛ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ, კუბის დედაქალაქ ჰავანაში გარდაიცვალა მსოფლიო სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი **ეუხენიო ხორხე ლაფიტა**. ის 81 წლის იყო. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში სათავეში ედგა კუბის ფრენბურთის ფედერაციას. 2002 წელს, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ლაფიტა სპორტის ამ სახეობაში XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად აღიარა.

ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით კუბის ქალთა ნაკრები რეგიონული დონის ტურნირების მონაწილიდან მსოფლიოს საუკეთესო გუნდად ჩამოყალიბდა და დომინირებდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. კუბელმა ქალებმა მოიგეს სამი ოლიმპიადა, მსოფლიოს ორი ჩემპიონატი, მსოფლიოს სამი თასი, ორი გრანპრი, მსოფლიოს ჩემპიონთა თასი, პანამერიკული თამაშების ორი ტურნირი და Norceca-ს ხუთი ტიტული.

ლაფიტა პაუზის გარეშე 28 წელი ხელმძღვანელობდა ეროვნულ გუნდს - 1968-1996 წლებში. ატლანტას ოლიმპიადის მოგების შემდეგ, ლაფიტამ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა და ეროვნული ფედერაციის გენერალური მენეჯერი და კუბის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი გახდა. მაგრამ 2000 წელს ლეგენდა ნაკრებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტის რანგში დაბრუნდა, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე კი ერთპიროვნულად ხელმძღვანელობდა გუნდს, თუმცა ოთხი თვის შემდეგ სამუდამოდ დატოვა სამწვრთნელო სამუშაო და ფედერაციას ჩაუდგა სათავეში.

ᲪᲣᲠᲕᲐ

ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲨᲐᲠᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲠᲣᲡᲘ მოცურავეების მიერ ანტისადოპინგო კანონის რეგულარულად დარღვევის გამო, ქვეყნის ცურვის ფედერაცია დისკვალიფიკაციის ზღვარზე იმყოფება. ამის შესახებ აცხადებს რუსეთის სპორტის მინისტრი **ვიტალი მუტკო**.

„საერთაშორისო არენა ზე ანტისადოპინგო წესების დარღვევის რიცხვი კატასტროფულ ზღვარს მიუახლოვდა. კიდევ ერთი-ორი დარღვევა და ჩვენი ქვეყნის ფედერაცია დისკვალიფიკაციას მიიღებს“, - განაცხადა მუტკომ.

ბოლო დროს ყველაზე სკანდალური შემთხვევა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს **იულია ეფიმოვას** უკავშირდება. 2014 წლის მაისში ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ სპორტსმენი 2015 წლის თებერვლამდე ჩამოაშორა ტურნირებს, რისი მიზეზიც დოპინგის გამოყენება გახდა.

ეფიმოვას დოპინგ-ტესტში, რომელიც 2013 წლის 31 ოქტომბერს აიღეს, ანაბოლური სტეროიდების კვალი აღმოჩნდა. დისკვალიფიკაციის გამო მას მოუწევს მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება, რომელიც 2015 წელს რუსეთში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

იულია ეფიმოვა

ბოგბურთი. როლან გაროსი

შარშანდელი ფინალი მეოთხედფინალში

როლან გაროსზე გუშინ დასრულდა მერვედფინალური ეტაპი და ჯერჯერობით ამ დონემდე ყველაზე დამაჯერებლად **რაფაელ ნადალმა** მიაღწია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ესპანელს მეოთხედფინალამდე არც ერთი განთესილი მეტოქე არ შეხვედრია. ეს იმის ბრალია, რომ ბადის იმ მეოთხედში, რომელშიც რაფა იმყოფება, ნაადრევად გამოეთიშნენ ბრძოლას **ჰაასი**, **დიმიტროვი** და სხვები.

გუშინ, ნადალი პირველად ხვდებოდა 23 წლის სერბ **დუშან ლაიოვიჩს** და საათსა და 32 წუთში მოიგო - 6:1, 6:2, 6:1. ერთადერთი, რაც სერბმა ამ მატჩში მოახერხა ის იყო, რომ მესამე სეტში 0:5-ზე ბრეიკი შეასრულა, მაგრამ იქვე ნადალმა „მშრალი“ ანგარიშით მოიგო მეტოქის მოწოდება. რაფამ ცხრიდან შვიდი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და 42 უნებლიე შეცდომა დაუშვებინა ლაიოვიჩს.

ნადალის შემდეგი მეტოქე **დავიდ ფერერი** იქნება. მას გუშინ 2 საათი და 51 წუთი ებრძოდა სამხრეთაფრიკელი **კევინ ანდერსონი**, რომელმაც წელს ATP-ის ორი ტურნირის ფინალში თამაში მოასწრო.

ესპანელმა შესანიშნავი სტატისტიკა დააფიქსირა და ანდერსონს წარმატების მინიმალური შანსები ჰქონდა. ფერერის ანგარიშზე 9 ეისი და 42 „ვინერსი“ იყო, გარდა ამისა, მხოლოდ 24 უნებლიე შეცდომა დაუშვა და პირველ მოწოდებაზე ქულების 72 პროცენტი აიღო. დავიდი ზედიზედ მეათედ გავიდა „დიდი სლემის“ ტურნირების მეოთხედფინალში.

ასე რომ, მეოთხედფინალში შედგება შარშანდელი ფინალის რემატჩი. 2013 წელს, ნადალმა გადამწყვეტ მატჩში მხოლოდ რვა გეიმი გაიმეტა ფერერისთვის, თუმცა ამ უკანასკნელმა წელს აუღო რევანში თანამემამულეს, როცა მონტე კარლოს მასტერსზე მეოთხედფინალში დაამარცხა ნადალი. ეს იყო ფერერის პირველი მოგება გრუნტზე რაფას წინააღმდეგ ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ჩოგბურთელთა ურთიერთშეხვედრებში ანგარიშია 21:6 ნადალის სასარგებლოდ, მაგრამ დავიდმა ბოლო სამიდან ორჯერ მოუგო მსოფლიოს პირველ ჩოგანს.

■ ■ ■

გუშინ ჩატარებული კიდევ ორი მატჩის შემდეგ ბოლო მეოთხედფინალური წყვილი დააკომპლექტეს ფრანგმა **გაელ მონფილმა** და ბრიტანელმა **ენდი მარეიმ**.


რაფა ნადალი

მონფილსის მეტოქე იყო **სტენ ვავრინკას** მძლეველი **გილერმო გარსია ლოპესი**. ფრანგი პირველ ორ სეტში შტორმივით იყო - ექვსი ბრეიკ-პოინტიდან ხუთი გამოიყენა და ესპანელს მხოლოდ ორი გეიმი დაანება, მესამეშიც საქმე იოლ გამარჯვებამდე მიდიოდა, მაგრამ გარსია ლოპესმა ერთი ბრეიკი შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა 6:5-ზე მატჩში მეშვიდე ბრეიკით მონფილსმა ყველა იმედი მოუსპო ესპანელს.

გაელი მეოთხედ გავიდა როლან გაროსის მეოთხედფინალში. იგივე შედეგი აქვს მის მომავალ მეტოქეს ენდი მარეის. ბრიტანელმაც სამ სეტში მოუგო გუშინ **ფერნანდო ვერდასკოს** და „დიდი სლემის“ ტურნირების მეოთხედფინალში ზედიზედ მეცამეტედ გავიდა.

ურთიერთშეხვედრებს რაც შეეხება, მარეი მინიმალური ანგარიშით უგებს მონფილს - 3:2.

1/8 ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-დუშან ლაიოვიჩი (სერ) 6:1, 6:2, 6:1; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 19) 6:3, 6:3, 6:7(5), 6:1; **გაელ მონფილსი (საფ, 23)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 6:0, 6:2, 7:5; **ენდი მარეი (ბრიტ, 7)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 24) 6:4, 7:5, 7:6(3).

1/4 ფინალი

ნადალი (ესპ, 1)-ფერერი (ესპ, 5); მონფილსი (საფ, 23)-მარეი (ბრიტ, 7); ბერდიხი (ჩეხ, 6)-გულბისი (ლატ, 18); რაონიჩი (კან, 8)-ჯოკოვიჩი (სერ, 2).

ჰალეპის მორიგი ნაბიჯი


ანდრეა პეტკოვიჩი

გუშინ ქალებსაც ოთხი მერვედფინალი ჰქონდათ. მორიგი ნაბიჯი გადადგა წარმატებისკენ რუმინელმა **სიმონ ჰალეპმა**. სხვათა შორის, ქალთა ბადეში დარჩენილ მოთამაშეებს შორის მას ყველაზე მაღალი განთესვის ნომერი აქვს.

ჰალეპს არ აქვს „დიდი სლემის“ ტურნირებზე მეორე კვირას თამაშის გამოცდილება, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია **სლოუნ სტივენსის** 6:4, 6:3 დამარცხებაში. ამერიკელმა მხოლოდ პირველ სეტში იბრძოლა და ბრეიკით 3:2-ს იგებდა, მაგრამ ამის შემდეგ რუმინელმა მყარად მოიპოვა ინიციატივა, რომელიც ბოლომდე ხელიდან არ გაუშვა.

მატჩის შემდეგ ჰალეპმა განაცხადა, რომ მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და უფრო შორს გასვლას გეგმავს. ამისთვის მას მეოთხედფინალში **სვეტლანა კუზნეცოვას** დამარცხება სჭირდება

■ ■ ■

ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ იტალიელი **სარა ერანი** ისევ ფორმაშია და როლან გაროსზე შარშანდელ შედეგს - ნახევარფინალს მიუახლოვდა.

ერანის სერიოზული მეტოქე ჰყავდა სერბი **ელენა იანკოვიჩის** სახით, რომელიც ფავორიტების კრახის შემდეგ პარიზში მინიმუმ ფინალს გეგმავდა, მაგრამ არ გამოუვიდა. არადა, სერბი ახლოს იყო პირველი პარტიის მოგებასთან, როცა 6:5-ზე სეტბოლი მიიღო, თუმცა შანსი ვერ გამოიყენა. მეორე სეტში იანკოვიჩმა სასტარტო გეიმი საკუთარ მოწოდებაზე „მშრალი“ ანგარიშით წააგო და მართალია, შემდეგ ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ ამას ზედიზედ სამი გეიმის წაგება მოჰყვა.

ერანის მეტოქე გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩისა** და ჰოლანდიელი **კიკი ბერტენსის** მატჩში უნდა გარკვეულიყო. ამ ჩოგბურთელებს გაუმართლათ, რადგან არ მოუწიათ ნაადრევად გავარდნილი **ნა ლის**, **კაროლინ ვოზნიაცკისა** და **ანასტასია პავლიუჩენკოვას** წინააღმდეგ თამაში, რაც შეეხება მათ დაპირისპირებას, პირველი სეტი ძალიან იოლად ბერტენსმა მოიგო, მეორე - პეტკოვიჩმა, გადამწყვეტი სეტი კი ნერვების თამაში აღმოჩნდა და გერმანელმა უმძიმესი სიტუაციიდან გამოძრომა მოახერხა, როცა 4:5 ჩამორჩენის შემდეგ ზედიზედ სამი გეიმი აიღო და 2011 წლის შემდეგ პირველად გავიდა „დიდი სლემის“ ტურნირის მეოთხედფინალში.

1/8 ფინალი

სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 27)-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 23) 6:3, 6:4; **სიმონა ჰალეპი (რუმ, 4)**-სლოუნ სტივენსი (აშშ, 15) 6:4, 6:3; **სარა ერანი (იტა, 10)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 6) 7:6(5), 6:2; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 28)**-კიკი ბერტენსი (ჰოლ) 1:6, 6:2, 7:5.

1/4 ფინალი

მუგურუსა (ესპ)-შარაპოვა (რუს, 7); ნავარო (ესპ, 14)-ბუშარი (კან, 18); კუზნეცოვა (რუს, 27)-ჰალეპი (რუმ, 4); ერანი (იტა, 10)-პეტკოვიჩი (გერ, 28).

საუკეთესო მარიას ცხოვრებაში

როლან გაროსის მსვლელობისას რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** ჟურნალისტებთან ისაუბრა ბულგარელ **გრიგორ დიმიტროვთან** ურთიერთობაზე. მარიამ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ბულგარელი ჩოგბურთელის ადამიანურ და სათამაშო თვისებებს.

„გრიგორი - ძალიან მზრუნველი და ყურადღებიანი ადამიანია. ჩემი ძალიან კარგად ესმის, რადგან პროფესიონალი სპორტსმენია. ის საუკეთესოა, რაც კი ჩემს ცხოვრებაში აქამდე მომხდარა. მე ის ძალიან მიყვარს.

ვფიქრობ, ბევრი ეჭვით აფასებს დიმიტროვის სათამაშო თვისებებს. ის ძალიან ნიჭიერია და სრულიად დაიმსახურა თავისი წარმატება. მე კი, ჩემი მხრივ, ყოველთვის ვცდილობ, რომ მის გვერდით ვიყო და მხარი დავუჭირო“, - მოჰყავს შარაპოვას სიტყვები ESPN-ს.

როლან გაროსზე მარია შარაპოვა უკვე მეოთხედფინალშია გასული, დიმიტროვი კი პირველი წრიდან გამოეთიშა საფრანგეთის ღია პირველობას.

მარია და გრიგორი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი	
ევრო 2014	
UNDER 19	
ირლანდია-სერბეთი	1:3
ისლანდია-თურქეთი	3:4
დანია-გერმანია	0:4
ესპანეთი-ლიტვა	2:0
ბელგია-პორტუგალია	2:3
უელსი-საბერძნეთი	3:0
შვეიცარია	
აიკ-ბრომაპიოკარნა	4:2
ნორჩოპინგი-გეფლე	1:0
ჰაკენი-გიოტეგორგი	1:1
II დივიზიონი	
სირიუსი-ჰამარბიუ	2:1
ირლანდია	
დანდალკი-უნივერსიტი	5:2
სტ. პატსი-დროგედა	6:0
II დივიზიონი	
კოუ რამგლერსი-ლონგფორდი	0:0

ავსტრია	
II დივიზიონი	
ტიმ ვიენი-აუსტრია (ზ)	2:2
პარნდორფი-ლინცერი	0:1
ისლანდია	
რეიკიავიკი-ფრამი	3:2
ვალური-ფილკირი	1:0
ბრეიდაბლიკი-სტიარნანი	1:1
ნორვეგია	
II დივიზიონი	
სანდეფიორდი-ჰამ კამი	3:0
კალათბურთი	
ესპანეთი	
ვალენსია-სევილია	87:84
იტალია	
მონტეპასკი-რომა	91:67
საფრანგეთი	
სტრასბური-ლიმოჟი	68:74

კალათბურთი

მგლები ლავს არ თმობენ

„მინესოტა ტიმბერვულვზის“ პრეზიდენტმა **ფლიპ სონდერსმა** მკაფიოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ ამ აპირებს თავისი ლიდერის **კევინ ლავის** გაცვლას. მისი თქმით, ის ფაქტი, რომ ცოტა ხნის წინ კალათბურთელი ბოსტონს სტუმრობდა და იქ „სელტიქსის“ ლიდერ **რაჟონ რონდოს** შეხვდა, არაფერს ნიშნავს.

„ლავს მოქმედი კონტრაქტი აქვს „მინესოტასთან“, - ამბობს სონდერსი. - *ჩვენ გვინდა, რომ მომავალ სეზონში კევინმა სწორედ „ტიმბერვულვზს“ მოუტანოს სარგებლობა და არა რომელიმე სხვა გუნდს. რაც შეეხება მის ვიზიტს ბოსტონში, მოთამაშეებს შეუძლიათ თავისუფალი დრო იქ გაატარონ, სადაც მოესურვებათ“.*

ვარსკვლავური ფორვარდის გადაბირებით დაინტერესებულნი არიან: „ბოსტონი“, „ჰიუსტონი“, „ლეიკერსი“, „გოლდენ სტეიტი“ და „ფინიქსი“. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ლავმა არაერთხელ განაცხადა „მინესოტას“ დატოვების სურვილის შესახებ.

2013-14 წლების სეზონში კევინმა 77 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 26.1 ქულა, 12.5 მოხსნა და 4.4 შედეგიანი პასი დააგროვა.

კევინ ლავი

ამბები

ოკლაჰომა სკოტს არ გაუშვებს

როგორც ESPN იტყობინება, „ოკლაჰომას“ ხელმძღვანელობა არ აპირებს მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **სკოტ ბრუქსის** დათხოვნას იმის მიუხედავად, რომ ამ სპეციალისტმა ვერ შეძლო გუნდის გაყვანა NBA-ის ფინალურ სერიაში.

„თანდერის“ შეფები ენდობიან ბრუქსს და მას კიდევ ერთ შანსს მისცემენ იმისთვის, რომ **კევინ დურანტი** და **რასელ უესტბრუკი** ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანოს.

„ოკლაჰომამ“ რეგულარულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა დასავლეთ კონფერენციაში (59 მოგება - 23 წაგება), პლეი ოფში კი „თანდერმა“ კონფერენციის ფინალამდე მიაღწია და იქ 2:4 წააგო სერია „სან ანტონიოსთან“.

სიეტლში NBA ძალიან უნდათ

ბიზნესმენ **კრის ჰანსენს** იმედი აქვს, რომ ქალაქ სიეტლში NBA-ის გუნდს დააბრუნებს, - წერს Yahoo! Sports. ადრე ის ამ პროექტის განხორციელებას საკუთარ პარტნიორთან **სტივ ბალმერთან** ერთად აპირებდა, მაგრამ ამ უკანასკნელს „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ შეძენა აქვს განზრახული, რამაც ხაზი გადაუსვა მათ ერთობლივ პროექტს.

ჰანსენმა განაცხადა, რომ უკვე იპოვნა ახალი პარტნიორები და ისინი დაეხმარებიან NBA-ის კლუბის სიეტლში დაბრუნებაში. შეგახსენებთ, „სიეტლ სუპერსონიქსი“ 1967-2008 წლებში თამაშობდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, მაგრამ შემდეგ გუნდი ოკლაჰომაში გადავიდა.

პარკერი მაიამისთვის მზად იქნება?

„სან ანტონიო სპურსის“ ძირითადი გამთამაშებელი **ტონი პარკერი** იმედოვნებს, რომ მოასწრებს ფინალური სერიის პირველი მატჩისთვის მწყობრში ჩადგომას. „მაიამი ჰიტთან“ პირველი შეხვედრის თარიღია - 6 ივნისი.

ფრანგი კალათბურთელი იძულებული იყო, ფეხის ტრავმის გამო გამოეტოვებინა „ოკლაჰომასთან“ სერიის მეექვსე მატჩის მეორე ტაიმი. უახლოეს დღეებში პარკერი ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშებს და ოპტიმალური ფორმის დაბრუნებას ეცდება.

სიახლე

ჩრდილოკორეაში ლეგალური დოპინგი გამოიგონეს

ჩრდილოეთ კორეის მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა ახალი სასმელი გამოიგონეს, რომელიც სოკოებისგან მზადდება და ის აუმჯობესებს სპორტსმენების ფიზიკურ შესაძლებლობებს და ეხმარება მათ დაღლილობის მოხსნაში.

ამის შესახებ წერს გაზეთი Guardian კორეის ცენტრალურ სახელმწიფო სატელეგრაფო სააგენტოზე დაყრდნობით. სასმელი მიკრობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა გამოიგონეს. *„მათ იპოვეს სოკოების კალკირების ხერხი და შექმნეს ფუნქციონალური სასმელი,* - მოჰყავს ბრიტანულ გამოცემას ოფიციალური სააგენტოს შეტყობინება. - *ეს არის ნატურალური სასმელი, რომელიც ამაღლებს სპორტსმენთა ფიზიკურ მონაცემებს და ხელს უწყობს აღდგენით პროცესს“.*

ამასთან, არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, რის ხარჯზე მოქმედებს სასმელი და როგორია მისი გემო. ასევე არ არის ცნობილი, ხელმისაწვდომი იქნება თუ არა ის ქვეყნის მოქალაქეებისთვის. გამოცემის მონაცემებით, ადრე ჩრდილოკორეულმა პრესამ დაწერა იმის შესახებ, რომ პხენიანში გაიხსნა სოკოების გაშენების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 2013 წლის ოქტომბერში ეს ცენტრი მოინახულა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერმა **კიმ ჩენ ინმა** და განაცხადა, რომ ინსტიტუტის წყალობით ჩრდილოეთ კორეა სოკოს წარმოებაში მსოფლიოს ლიდერი გახდება.

● კალათბურთი

სტერლინგს შეყვარებული გაულახეს

ორიუცნობი მამაკაცი ფიზიკურად გაუსწორდა „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ მფლობელის **დონალდ სტერლინგის** მეგობარ გოგონას - **ვივიან სტივიანოს**. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ქალის გამო მოხვდა რასისტულ სკანდალში სტერლინგი.

ეს ინფორმაცია სტივიანოს ადვოკატმა ერთ-ერთი რადიოს ეთერში გამოაცხადა. მისი თქმით, ორი თეთრკანიანი მამაკაცი 31 წლის სტივიანოს საღამოს 7 საათზე დაესხა თავს, როცა ის მანჰეტენზე მდებარე სასტუმროდან გამოდიოდა. *„ამ ადამიანებმა ზუსტად იცოდნენ, ვინ იყო მსხვერპლი. მათ ცემა დაუწყეს სტივიანოს და სიტყვიერ შეურაცხყოფასაც აყენებდნენ. საბედნიეროდ, მან გაქცევა მოასწრო“*, - ამბობს ადვოკატი.

სტივიანო და სტერლინგი

მან აგრეთვე განაცხადა, რომ ქალი საავადმყოფოში მიიყვანეს. *„მისი სახის ნაწილი ჩაწითლებული იყო. გარდა ამისა, ძალიან შეშინებული ჩანდა“*, - დაამატა ადვოკატმა. მისივე თქმით, სტივიანოს სერიოზული ტრავმები არ მიუღია. უახლოეს ხანში სტერლინგის მეგობარი პოლიციაში განაცხადებს მომხდარის შესახებ.

სტივიანო და მისი ადვოკატი ნიუ იორკში ტელეარხ CNN-ის პროგრამაში მონაწილეობისთვის ჩავიდნენ, რომელიც სამშაბათს უნდა გასულიყო ეთერში. ადვოკატმა განაცხადა, რომ ინციდენტის მიუხედავად, გადაღება მაინც შედგება.

● მოტოგრანპრი

მარკესი კინაღამ დაამარცხეს

ექვსიდან ექვსი - ასეთი შედეგი აქვს მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატზე „ჰონდას“ პილოტს **მარკ მარკესს**. მეექვსე ეტაპი იტალიის გრანპრი იყო, რომელსაც „მუჯელოს“ ავტოდრომმა უმასპინძლა.

ამ გრანპრის სცენარი დიდად არ განსხვავდებოდა წინა რბოლებისგან. სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ რბოლაში პირველობის ბედი არა დისტანციის შუაში, არამედ ბოლო წრეზე გადაწყდა.

მარკესმა ისევ მოიგო პოული და ისევ არ გამოუვიდა სტარტი. მას ორმა კონკურენტმა - **ხორხე ლორენსომ** და **ანდრეა იანონემ** - გაუსწრო. ეს უკანასკნელი ცოტა ხნით სათავეში ედგა პელოტონს, მაგრამ ვერ გაუძლო ლორენსოსა და მარკესის შეტევებს. პირველობა სწორედ ამ პილოტებმა გაითამაშეს. მარკესმა სწორ მონაკვეთზე ორჯერ გაუსწრო „იამაჰას“ წევრს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ლორენსომ მოსახვევებში დაიბრუნა ლიდერობა. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა გადამწყვეტი შეტევა ბოლო წრეზე განახორციელა და ამჯერად, არა მხოლოდ წინ გასვლა, არამედ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებაც შეძლო.

მარკ მარკესი

მარკესმა ჩემპიონატში მეექვსე გამარჯვებას მიაღწია და გაზარდა უპირატესობა გენერალურ კლასიფიკაციაში. მეორე ადგილით კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო ლორენსოც, რომელმაც დაგვანახა, რომ ლიდერთან ბრძოლა შესაძლებელია, მესამეზე კი ადგილობრივი პუბლიკის კერპი **ვალენტინო როსი** აღმოჩნდა.

და აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მსოფლიოს რეკორდი, რომელიც კვალიფიკაციის დროს დამყარდა. უკვე ნახსენებმა იანონემ „დუკატის“ მოტოციკლით სიჩქარის აბსოლუტური რეკორდი დააფიქსირა, როცა ტრასის ერთ-ერთ მონაკვეთზე საათში 349.6 კილომეტრი განავითარა.

იტალიის გრანპრი

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 23 წრე; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - +0,121; 3. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +2,688; 4. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - +14,046; 5. **პოლ ესპარგარო** (ესპ, Yamaha Tech 3) - +15,603; 6. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - +17,042; 7. **ანდრეა იანონე** (იტა, Ducati Pramac) - +17,129; 8. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - +27,407...

საერთო ჩათვლა

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 150 ქულა; 2. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 97; 3. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 96; 4. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 65; 5. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - 63; 6. **პოლ ესპარგარო** (ესპ, Yamaha Tech 3) - 49; 7. **ალეშ ესპარგარო** (ესპ, Forward Yamaha) - 44; 8. **შტეფან ბრადლი** (Honda LCR) - 39...

● ფორმულა 1

კარგ ამბავს ველარ გავიგებთ?

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი სამედიცინო დელეგატი **გერი ჰარტსტეინი** მიიჩნევს, რომ **მიხაელ შუმახერი** ვერასოდეს გამოვა კომიდან. ნეიროქირურგის მრავალწლიანი პრაქტიკიდან და სტატისტიკური დაკვირვებიდან გამომდინარე, პროფესორი ფიქრობს, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის შესახებ კარგ ამბებს ველარასოდეს მოვისმენთ.

„კარგი ამბები რომ არსებობდეს, აუცილებლად შეგვატყობინებდნენ. ვერ ვხედავ მიზეზებს, რის გამოც მიხაელის გარემოცვა გულშემატკივრებს პოზიტიურ ინფორმაციებს დაუმალავდა. ტრავმის მიღებიდან დღემდე ხუთი თვე გავიდა. სტატისტიკა ერთმნიშვნელოვანია და ის მიგვანიშნებს იმის შესახებ, რომ ძალიან დაბალია იმ პაციენტების პროცენტი, რომლებიც ასეთი ვადის შემდეგ გონს მოვიდნენ. თითქმის არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ მიხაელის შესახებ კარგ ამბებს ვერასდროს გავიგებთ. და ასეთ სიტუაციაში შუმახერის ოჯახის ყოველ მომდევნო პრეს-რელიზს შიშით უნდა ველოდოთ“, - განაცხადა ჰარტსტეინმა.

ფერარი 20 მილიონს გაპოდის

იტალიური საჯინიბო „ფერარი“ მზად არის „რედ ბულის“ მთავარ კონსტრუქტორს **ედრიან ნიუის** ასტრონომიული ხელფასი - სეზონში 20 მილიონი ევრო გადაუხადოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბრიტანელი სპეციალისტი „ფერარიში“ გადასვლას დათანხმდება, - იტყობინება „გაძეტა დელო სპორტი“. აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ბევრ პილოტს არ აქვს ასეთი ხელფასი.

ადრიან ნიუი ფერარის ბოლიდთან

გარდა ამისა, „სკუდერიას“ ხელმძღვანელობა მზად არის, სრული ტექნიკური თავისუფლება მისცეს ნიუის „ფერარის“ ახალი სერიული მოდელის პროექტზე მუშაობისას, რაც ყოველთვის ძალიან აინტერესებდა ედრიანს. ჭორები იმის შესახებ, რომ იტალიელებს სურთ „რედ ბულის“ წამყვანი სპეციალისტის გადაბირება, უკვე რამდენიმე თვეა ვრცელდება, მაგრამ ახლა ეს ინტერესი ფინანსური წინადადებითაა გამყარებული.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ISSN 2233-3827

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38);** მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

ჰალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**